

„მრეწვრკინიგზა“ –

წართმეული და დაუბრუნებელი ქონება



სამართლებრივი დასკვნა და
რეკომენდაციები

ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“
იანვარი, 2021 წ.
ქ. თბილისი

**კვლევის პროცესში მონაწილეობდა
ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ გუნდი**

*არჩილ კაიკაციშვილი, ორგანიზაციის ხელმძღვანელი;
ნიკა გოგბერაშვილი, მთავარი იურისტი (22.07.2020 მდე)
ანა ფუტკარაძე, სტრატეგიული სამართალწარმოების იურისტი
ნიკა მენოვნიშვილი, იურისტი/საერთაშორისო ურთიერთობების
მენეჯერი*

*თამარ ციხიშვილი, იურისტი/ანალიტიკოსი;
ლია ლემონჯავა, იურისტი სამართალწარმოების საკითხებში
(01.06.2020 მდე)
ბერდია ჯაჭანიძე, იურისტი*

*მარიამ ხიზანიშვილი
ფინანსური მენეჯერი*

© ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“

ორგანიზაციის საქმიანობისა და განხორციელებული/მიმდინარე
კვლევების, პროექტებისა და ახალი ამბების შესახებ, ვრცლად
შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.barristers.ge

FB: www.facebook.com/AkhalgazrdaAdvokatebi

<http://www.youtube.com/youngbarristers>

მისამართი: საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ #171

ორგანიზაციის ტელეფონი: 2 90 78 77, 599 291202

ორგანიზაციასთან კომუნიკაცია – 599 291202

ელექტრონული ფოსტა: Pryoungbarristers@gmail.com

ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“ ს/კ 401973094

დაარსების თარიღი: 09 ივლისი, 2012 წელი

მომსახურე ბანკი: სს საქართველოს ბანკი,

ანგარიშის ნომერი: GE31BG000000161544925GEL



კვლევის შინაარსი:

1 შესავალი

2. ს.ს. „მრეწველნიგზა“: ქონების დათმობის პროცესი

3. საქმე საქართველოს საერთო სასამართლოებში

3.1. სამოქალაქო სარჩელი 2014-2018 წლებში

3.2 სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება

3.3. ადმინისტრაციული სარჩელი 2018-2020 წლებში

4 დავა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან

5 აღიარებითი სარჩელი: სამართალწარმოება 2020

6 დასკვნა

7. რეკომენდაციები

1. შესავალი

ორგანიზაცია ფართო საზოგადოებისთვის აქვეყნებს მორიგ კვლევას და სამართლებრივ შეფასებას, რომელიც დაკავშირებულია საქართველოში ბიზნესისა და საკუთრების უფლების ხელყოფის ფაქტთან, სისტემური დანაშაულის შემთხვევასთან, რაც ჩვეულებრივი ნორმა აღმოჩნდა 2012 წლის 1 ოქტომბრამდე სახელმწიფოს მკაცრი და ადამიანის უფლების დამრღვევი პოლიტიკისთვის, რა დროსაც უკანონოდ განხორციელდა სააქციო საზოგადოება „მრენვრკინიგზას“ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების (*მინის ნაკვეთები და შენობა-ნაგებობები*) სახელმწიფოს მხრიდან წართმევა, რამაც 2014 წლის აუდიტორული დასკვნის თანახმად, მთლიანობაში შეადგინა 778,515,00 ლარის ღირებულების ქონება.

2012 წლის 1 ოქტომბრის შემდგომ, სამართლიანობის აღდგენის პროცესში, უფლებადამდგენი ცალმხრივი გარიგებების სასამართლოს გზით გაუქმების მიუხედავად, სააქციო საზოგადოება სახელმწიფოსგან ისევ მოითხოვს ქონებრივ უფლებებში აღგენას, მიღებული ქონებრივი ზიანისა და ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებისთვის (დანაშაულისთვის) დაზარალებულად ცნობას, სახელმწიფო კი, როგორც მოთხოვნაზე, ასევე შემთხვევაზე – სდუმს.

ორგანიზაციის მიზანი შესწავლილი საქმე გახდეს საჯარო ინტერესის საგანი, გამოძვინარეობს სტრატეგიული სამართალწარმოებისა და საქმისწარმოების იდეიდან, ვინაიდან 2013-2020 წლებში, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“, არაერთი კვლევა და დასკვნა გამოაქვეყნა, რომელიც შეეხებოდა საკუთრების უფლების ხელყოფის, ბიზნესისა და მოქალაქის წინაშე ჩადენილ შემთხვევებს და ორგანიზაცია, ამ მიმართულებით, კვლავ აგრძელებს დაკვირვებისა და შესწავლის პროცესს. ორგანიზაციის მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ 2004-2012 წლებში, მოქალაქეებმა სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ, 5 634 ქონება დათმეს. სახელმწიფოს უსასყიდლოდ, ჩუქების ფორმით გადაეცა 369 ერთეული ქონება, მიტოვების გზით და სხვა სამართლებრივი ფორმით კი _ 1941. საერთო ჯამში, სახელმწიფომ მიიღო 2310 ქონების განკარგვის უფლება¹. წინამდებარე საქმეც სწორედ ამ შემთხვევების

¹ http://www.barristers.ge/ge/page/news_item/493

თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს, რა დროსაც, სააქციო საზოგადოება და მისი დირექტორი, იძულებული გახდა, სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ დაეთმო (*მიტოვების ფორმით*) ქ. თბილისში, ლილოს სამრეწველო ზონაში მშენებლობის სამინისტროს მიღების საიზოლაციო სანარმოს ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ქონება, ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 6448.00კვ.მ, ქ. თბილისში, ლილოს სამრეწველო ზონაში, მშენებლობის სამინისტროს №1 სახლმშენებელი კომბინატის ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ქონება, ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 10705.00კვ.მ და ქ. თბილისში, ვაიროს ქ. №36-ში მდებარე უძრავი ქონება, ნაკვეთის ფუნქცია არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 47906.00კვ.მ. თავისი შენობა-ნაგებობებით.

საქართველოს მთავრობის პოლიტიკური ნების შესაბამისად, არსებული მძიმე მემკვიდრეობის ფონზე, 2015 წლიდან ჩამოყალიბდა საქართველოს გენერალური პროკურატურის სტრუქტურული ერთეული – სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი. სწორედ აღნიშნული დეპარტამენტი განიხილავს და ამ დრომდე, არ არის მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილება ს.ს. „მრეწვრკინიგზას“ საჩივარზეც. მესაკუთრემ ჩადენილი გამოძიების მოთხოვნით საქართველოს პროკურატურას 2012 წლის 26 ნოემბერს, საქართველოში ხელისუფლების ცვლილებიდან მცირე დროში მიმართა.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“, წინამდებარე კვლევის ფარგლებში, 2020 წლის 3 აგვისტოსა² და 2020 წლის 2 ოქტომბერს³, ორი წერილით მიმართეს საქართველოს პროკურატურას და ს.ს. „მრეწვრკინიგზას“ საქმეზე შემდეგი სახის ინფორმაციის უზრუნველყოფა მოითხოვეს:

1. გთხოვთ, მოგვანოდოთ ს.ს. „მრეწვრკინიგზას“ საქმეზე 2012-2020 წლის 31 ივლისის მდგომარეობით, ყველა განცხადების ასლი ან/და პროკურატურის წერილობითი პასუხის ასლი, რომელიც წარდგენილ იქნა პროკურატურის მიმართ და გაგზავნილ იქნა პროკურატურის

² ა(ა)იპ «ახალგაზრდა ადვოკატების» 2020 წლის 3 აგვისტოს წერილი #205 საქართველოს გენერალური პროკურორ ირაკლი შოთაძის მიმართ;
³ ა(ა)იპ «ახალგაზრდა ადვოკატების» 2020 წლის 2 ოქტომბრის წერილი #235 საქართველოს გენერალური პროკურორ ირაკლი შოთაძის მიმართ;

მხრიდან კომპანიის დირექტორის, ან უფლებამოსილებაზე პასუხისმგებელი პირების ან/და წარმომადგენლის მიმართ;

2. გთხოვთ, მოგვანოდოთ ინფორმაცია, რა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები განახორციელა პროკურატურამ „მრეწვრკინიგზას“ საქმეზე, ვინ არის ამჟამად საქმის გამოძიებაზე პასუხისმგებელი პირი, სისხლის სამართლის კოდექსის რომელი მუხლით მიმდინარეობს ძიება (მოკვლევა), დაიკითხნენ თუ არა საქმესთან შემხებლობაში მყოფი პირები და როდის, რატომ არ არის ს.ს. „მრეწვრკინიგზა“ საქმეზე დაზარალებულად ცნობილი, რა აბრკოლებს საქმეზე შემაჯამებელ გადაწყვეტილების მიღებას?

2020 წლის 16 აგვისტოს⁴ თბილისის პროკურატურის წერილით „მრეწვრკინიგზას“ წარმომადგენელს ეცნობა, რომ „თბილისის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს წარმომებაშია სისხლის სამართლის #082088083 საქმე, ყალბი დოკუმენტების გამოყენებით სახელმწიფოს კუთვნილი მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მოპოვების ფაქტებზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით. აღნიშნულ საქმეზე ერთ-ერთ ეპიზოდად დართულია ს.ს. „მრეწვრკინიგზასთან“ დაკავშირებული მასალები, რომელზეც შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ არის. რაც შეეხება საქმეზე დართული დოკუმენტაციისა და სხვადასხვა სახის ინფორმაციის მონოდების საკითხს, მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, ვინაიდან საქმეზე არ წარმოადგენთ მხარეს, ვერ დაკმაყოფილდება თქვენი აღნიშნული მოთხოვნა“. ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ პროკურატურის მხრიდან წარმოდგენილი დასახელებული გამოხმაურება, მისი ბუნდოვანების გამო, დამატებით კითხვებს აჩენს და ორგანიზაცია აგრძელებს გარემოებების სრულფასოვნად დადგენის მიზნით შესაბამის კომუნიკაციას.

პროკურატურის განუული საქმიანობის 2019 წლის ანგარიშის მიხედვით, სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მიერ 2015-2019 წლებში გამოვლენილი იქნა მოქალაქეთათვის ქონების იძულებით ჩამორთმევის 171 ფაქტი, დაზარალებულად იქნა ცნობილი 335 პირი და მხილებული იქნა 46 საჯარო მოხელე.

⁴ 2020 წლის 16 თებერვლის თბილისის პროკურატურის #13/01-59644 წერილი;

სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის შექმნიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში დაზარალებულად ცნობილი 335 პირიდან, 256 პირს, პროკურატურის შემეჯამებელი გადანყვეტილების შედეგად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დაუბრუნდა დაახლოებით 53,500,000 ლარის ღირებულების უძრავი და მოძრავი ქონება⁵. პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტში შესულია 4710 განცხადება/საჩივარი, საიდანაც განხილულთაგან 604 განცხადება/საჩივარი ეხება ქონების იძულებით დათმობის და ჩამორთმევის ფაქტებს. აღნიშნული დეპარტამენტი იძიებს 307 სისხლის სამართლის საქმეს, რომელიც ეხება ქონების იძულებით დათმობის/ჩამორთმევის და არასათანადო მოპყრობის ფაქტებს⁶. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა შესახებ საქართველოს 2014 წლის ანგარიშის მიხედვით, 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ბევრმა პირმა და ბიზნესების ყოფილმა მფლობელმა განაცხადა, რომ სააკაშვილის ადმინისტრაციის ოფიციალურმა პირებმა უკანონოდ წაართვეს საკუთრება. სახალხო დამცველმა დაადასტურა, რომ საქმეების რაოდენობა წინა ადმინისტრაციის დროს საკუთრების არასწორი ჩამორთმევის თაობაზე ათასობით იყო⁷.

წინამდებარე კვლევაში გადმოცემულია სააქციო საზოგადოების საქმიანობა, განხილულია საკუთრების უფლების დათმობის პროცესი, წარმოდგენილია საერთო სასამართლოებში 2014-2020 წლებში წარმოებული და მიმდინარე სარჩელების შედეგები და მნიშვნელობა, მომზადებულია დასკვნა და სარეკომენდაციო წინადადებები. ორგანიზაციამ კვლევაზე მუშაობა 2020 წლის დასაწყისში დაასრულა და ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობაც დაიგეგმა, თუმცა მსოფლიო პანდემიის – ახალი კორონავირუსის შედეგად განვითარებული მოვლენების გამო, შეცვლილი ცხოვრების პირობებში, კვლევის გამოქვეყნება 2020 წლის მანძილზე ვერ მოხერხდა. შესაბამისად, გამოცემა ფართო საზოგადოებისთვის 2021 წლის იანვრიდან გადება ცნობილი. კვლევა აღმასრულებ-

⁵ საქართველოს პროკურატურის 2019 წლის საქმიანობის ანგარიში, საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 15 მაისის #13/25416 წერილი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მიმართ.

⁶ საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. გვ. 555.

⁷ <https://ge.usembassy.gov/wp-content/uploads/sites/165/2016/09/hrr2014geo.pdf> გვ. 33.

ბელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებასთან ერთად, მიენოდებათ საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ გააგრძელებს სამოქალაქო ადვოკატირების პროცესს და საზოგადოებას საჯარო აქტიურობების გზით გააცნობს საქმეზე დამდგარ შედეგებს.



2. ს.ს. „მრეწვრკინიგზა“: ქონების დათმობის პროცესი

სააქციო საზოგადოების შექმნისა და შემდგომი განვითარების ისტორია ასეთია: საქართველოს ყოფილი მშენებლობის სამინისტროს მიერ მის სისტემაში შემავალი წარმოება-დანესებულებების სატრანსპორტო საამქროები, რკინიგზის მისასვლელი ლიანდაგებით და მოძრავი შემადგენლობებით, 1979-1980-იან წლებში ბალანსზე გადაეცა სამრეწველო რკინიგზის ტრანსპორტის რესპუბლიკურ გაერთიანება „მრეწვრკინიგზას“, რომელიც დაფუძნდა მის შემადგენლობაში, როგორც რკინიგზის სატრანსპორტო საუნწყებო ორგანიზაცია.

1993 წლის 1 აპრილს შედგა ძირითად საშუალებათა პასიური ნაწილის (შენობა-ნაგებობათა და სხვა) ღირებულებების შეფასების აქტი, რომლითაც განისაზღვრა „მრეწვრკინიგზის“ ობიექტები და მათი ადგილმდებარეობა. 1994 წლის 27 დეკემბრის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კოლეგიის დადგენილებით, დამტკიცდა შეფასების აქტი. სანესდებო კაპიტალში, მათ შორის შეტანილ იქნა რკინიგზის ჩიხები, რკინიგზის ხაზობრივი ნაგებობები (სალიანდაგო მეურნეობა) და მის ქვეშ და ე.წ. „გასხვისების ზოლში“ არსებული მიწის ფართობები⁸.

1995 წლის 29 თებერვლის თბილისის სამგორის რაიონის გამგეობის #137-ე განკარგულებით, სამრეწველო გაერთიანება „მრეწვრკინიგზის“ და მის საბალანსო ქონების ბაზარზე დაფუძნდა სააქციო საზოგადოება „მრეწვრკინიგზა“⁹. საზოგადოების ხელახალი რეგისტრაცია განხორციელდა 1996 წლის 21 აგვისტოს #7ა/5-31 თბილისის სამგორის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილებით¹⁰. ორგანიზაცია მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებულია შემდეგი უნიკალური კოდით: 208145390.

საქართველოში 1998 წლის 12 ნოემბრიდან ამოქმედდა კანონი „ფიზიკური პირებისა და ვერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ვერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“. დასახელებული კანონის საფუძველზე, ს.ს. „მრეწვრკინიგზამ“ 1998 წლის 24 ნოემბერს წერილით მიმართა თბილისის მუნიციპალიტეტის პრემიერს (*მაშინდელი თანამდებობრივი დასახელება – ავტ*) და შემდგომი რეგისტრაციის მიზნით, მოთხოვნილ იქნა ქ. თბილისში, რკინიგზის

⁸ 1993 წლის 1 აპრილის ფორმა „მრეწვრკინიგზის“ ძირითად საშუალებათა პასიური ნაწილის (შენობა-ნაგებობათა და სხვა) ღირებულებების შეფასების აქტი.

⁹ 1995 წლის 29 თებერვლის თბილისის სამგორის რაიონის გამგეობის #137 განკარგულება.

¹⁰ 1996 წლის 21 აგვისტოს #7ა/5-31 თბილისის სამგორის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილება

ჩიხების შესაბამისს მიწის ნაკვეთებზე დამაგრება. საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს 1998 წლის 24 ივლისის #06-506/7-8 წერილით, აღიარებულ იქნა, რომ რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში მიწის ნაკვეთებზე განლაგებული ჩიხები შეტანილიყო საწარმოს ღირებულების შეფასების აქტში 1993 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კოლეგიის დადგენილებით 1994 წლის 27 დეკემბერს და ირიცხებოდა ს.ს. „მრეწვერკინიგზას“ საწესდებო კაპიტალში, რითაც ყველგან მიწის ნაკვეთები, რომელზედაც განლაგებულიყო სალიანდაგე მეურნეობები (ჩიხები), აღირიცხა და დარეგისტრირდა სააქციო საზოგადოების სახელზე. შესაბამისად, მიწის გეგმა-წითელი ხაზები გაიცა ქ. თბილისის მერიის არქიტექტურისა და ქალაქის პერსპექტიული განვითარების საქმეთა დეპარტამენტის მიერ, საკუთრების სარეგისტრაციო მონშობა გასცა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის თბილისის სახელმწიფო რეგისტრატურამ და აღნიშნული მონშობა დაამტკიცა საქართველოს პრეზიდენტმა 1999 წლის 16 მაისის #327 ბრძანებულებით.

ს.ს. „მრეწვერკინიგზას“ საკუთრებად, სამ დამოუკიდებელ უძრავ ქონებად შენობა-ნაგებობებთან ერთად, აღიციხული იქნა შემდეგი მიწის ნაკვეთები და მიენიჭათ მათ შემდეგი საკადასტრო კოდი: ს/კ 01.19.21.002.006 ქვეშ 47906.00 კვ.მ, ს/კ 01.19.26.004.032 ქვეშ 10705.00 კვ.მ და ს/კ 01.19.26.004.035 ქვეშ 6448.00 კვ.მ მიწის ფართობი და შენობა-ნაგებობები. მთლიანობაში, საკუთრებაში აღირიცხა 65,059 კვ.მ და მათ მიმართ გაცემული იქნა შესაბამისი გეგმა-ნახაზ(ებ)ი. შესაბამისად, მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების 2008 წლის 1 ივლისისა და 2009 წლის 17 ნოემბრის ამონაწერის თანახმად, დადგენილია შემდეგი უფლებრივი მდგომარეობა:

1. ქ. თბილისში, ლილოს სამრეწველო ზონაში მშენებლობის სამინისტროს მიწების საიზოლაციო საწარმოს ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ქონება, საკადასტრო კოდით: №01.19.26.004.035, **2000 წლის 22 ნოემბრიდან საკუთრების უფლებით აღრიცხული იყო სს „მრეწვერკინიგზის“ სახელზე.** ნაკვეთის საკუთრების ტიპი – საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 6448.00კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: 4
2. ქ. თბილისში, ლილოს სამრეწველო ზონაში, მშენებლობის სამინისტროს №1 სახლმშენებელი კომბინატის ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ქონება, საკადასტრო კოდით: №01.19.26.004.032, **2000 წლის 04 სექტემბრიდან საკუთრების უფლებით აღრიცხული იყო სს „მრეწვერკინიგზის“ სახელზე.** ნაკვეთის საკუთრების ტიპი – საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია – არასა-

სოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 10705.00კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: 4

3. ქ. თბილისში, კაიროს ქ. №36-ში მდებარე უძრავი ქონება, საკადასტრო კოდით: №01.19.21.02.006, **2003 წლის 01 ივლისიდან საკუთრების უფლებით აღრიცხული იყო სს „მრენვრკინიგზის“ სახელზე**. ნაკვეთის საკუთრების ტიპი – საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 47906.00კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: 2, შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი – შენობა-ნაგებობები.

ს.ს. „მრენვრკინიგზა“ თავის საქმიანობას შეუფერხებლად ახორციელებდა, თუმცა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ (23 ნოემბერი, 2003) თავი იჩინა სახელმწიფოს მხრიდან იმგვარმა მოქმედებებმა, რამაც სააქციო საზოგადოებასთან ურთიერთობები გაამწვავა. შპს „საქართველოს რკინიგზამ“ ს.ს. „მრენვრკინიგზასთან“ შეთანხმებისა და ნებართვის გარეშე დაიწყო სააქციო საზოგადოების სახელზე რიცხული ლიანდაგებით სარგებლობა და ტვირთბრუნვა. ს.ს. „მრენვრკინიგზამ“ კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით, ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნით, შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიმართ, როგორც სამგორის რაიონის, ასევე ქ. თბილისის პროკურატურაში წარადგინა საჩივარი. სახელმწიფოს საწარმოსა და სააქციო საზოგადოების მენეჯმენტს შორის სადავო საკითხების გამო, ჩამოყალიბდა რთული ურთიერთობები, თუმცა საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის ნაცვლად, სახელმწიფომ ს.ს. „მრენვრკინიგზის“ იძულება და არამართლზომიერი გზით, უძრავი ქონებების დასაკუთრების სურვილი გამოხატა. შესაბამისად, იმ მოტივით, რომ სააქციო საზოგადოების სახელზე რიცხული უძრავი ქონებების რეგისტრაცია არ მოხდა კანონის სრული დაცვით, ფაქტზე ქ. თბილისის პროკურატურის ანტიკორუფციულ საგამოძიებო ნაწილში, 2011 წლის მაისში, დაიწყო საგამოძიებო მოქმედებები და აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

2011 წლის 20 მაისს, ქ. თბილისის პროკურატურის ანტიკორუფციული საგამოძიებო ნაწილის უფროსი გამომძიებლის გელა ბარამაშვილის მიერ მოწმის სახით დაიკითხა სააქციო საზოგადოება „მრენვრკინიგზის“ დირექტორი და 63% წილის მფლობელი ჯუმბერ შენგელია.

ჯუმბერ შენგელიას ნების საწინააღმდეგოდ მოუწია განმარტება იმის შესახებ, რომ 47 906 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 35 706 კვ. მ მიწის ნაკვეთის ფართობის მესაკუთრე სააქციო საზოგადოება არ იყო, რადგანაც აღნიშნულ ფართს საზოგადოება თითქოსდა ფლობდა სამართლებრივი საფუძვლების გარეშე და საზოგადოების რეალურ საკუთრებას წარმოადგენდა მხოლოდ თავდაპირველი, 12 200 კვ. მ მიწის ფართობი, რაც აღრიცხული იყო ტექნიკურშიც და საზოგა-

დოებამ მიიღო მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1995 და 1998 წლის დადგენილებებით. ჩვენება სრულდება იმ დათქმით, რომ ჯუმბერ შენგელია ნებაყოფლობით აცხადებდა აღნიშნული 47 906 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 35 706 კვ.მ მიწის ნაკვეთზე სახელმწიფოს სასარგებლოდ სააქციო საზოგადოების საკუთრების უფლების მიტოვებას. აგრეთვე, ჯუმბერ შენგელია ჩვენების დასასრულს აცხადებდა, რომ სურდა სახელმწიფოს სასარგებლოდ ნებაყოფლობით მიეტოვებინა სააქციო საზოგადოების საკუთრების უფლება ს.კ 01.19.26.004.032 – 10705 კვ.მ მიწის ფართობსა და ს/კ 01.19.26.004.035 – 6448 კვ.მ მიწის ფართობზე, რომელიც მდებარეობდა ლილოს სამრეწველო ზონაში¹¹.

ჯუმბერ შენგელია საგამოძიებო ნაწილში აიძულეს ადგილიდან დაერევა საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ნანა ორაგველიძისთვის, რათა ამ უკანასკნელს მოეხდინა სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის დოკუმენტური გაფორმება დირექტორის მიერ მითითებულ მიწის ფართობების მიტოვებაზე. შესაბამისად, შედგა საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი #3¹². ჯუმბერ შენგელია სახელმწიფოს სასარგებლოდ ქონებების მიტოვებას შემდეგი არგუმენტით ხსნის – ვინაიდან მიწის ნაკვეთები, ფაქტობრივად, მათე წელია იყო გამოუყენებელი, ადრე სხვადასხვა ორგანიზაციები ასრულებდნენ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებს, ხოლო ს.ს. „მრეწვერკინიგზა“ აწარმოებდა მათთვის სამშენებლო მასალების მიწოდებას. ორგანიზაციებმა შეიცვალეს სამუშაო პროფილი და უკვე აღარ საჭიროებდნენ ს.ს. „მრეწვერკინიგზის“ მომსახურებას, მიწის ნაკვეთებზეც არ იყო განთავსებული, როგორც აშენებული, ასევე მშენებარე შენობა-ნაგებობები. ამიტომაც, მიწის ნაკვეთების მოვლა-პატრონობა უარყოფითად მოქმედებდა საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე და შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე დგებოდა წინდადადება მათი სახელმწიფოს მიმართ უსასყიდლოდ გადაცემაზე. ამდენად, სამეთვალყურეო საბჭომ ერთხმად მიიღო ქონებების სახელმწიფოს სასარგებლოდ მიტოვებისა და უსასყიდლოდ გადაცემის გადაწყვეტილება¹³.

2011 წლის 23 მაისს, ჯუმბერ შენგელიამ №882011241835, №882011241842 და №882011241853 სარეგისტრაციო განცხადებებით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა №01.19.26.004.035, №01.19.26.004.032 და №01.19.21.02.006

¹¹ 2011 წლის 20 მაისის ქ. თბილისის პროკურატურის ანტიკორუფციული საგამოძიებო ნაწილში ს.ს. „მრეწვერკინიგზის“ დირექტორის ჯუმბერ შენგელიას მონშის სახით დაკითხვის ოქმი.

¹² ოქმში აღნიშნულია, რომ სხდომას ესწრებოდნენ: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ნ. ორაგველიძე, წევრები: ი. ლაშხი, ჯ. მუზავეი, გენ. დირექტორი ჯ. შენგელია, მთ. ინჟინერი ა. ათუაშვილი, მთ. ბუღალტერი ლ. ტიშჩენკო. დღის წესრიგით განისაზღვრა ერთი საკითხი: ს.ს. „მრეწვერკინიგზას“ ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) სახელმწიფოს სასარგებლოდ მიტოვება.

¹³ 2011 წლის 20 მაისის ს.ს. „მრეწვერკინიგზას“ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი #3

საკადასტრო კოდების მქონე უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების მიტოვების რეგისტრაცია, რომელსაც სხვა დოკუმენტებთან ერთად, ასევე ერთვოდა სს „მრეწვრკინიგზის“ სამეთვალყურეო საბჭოს 2011 წლის 20 მაისის №3 სხდომის ოქმი და განცხადება¹⁴. აღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2011 წლის 25 მაისს მიღებულ იქნა №882011241835-03, №882011241842-03 და №882011241853-03 გადაწყვეტილებები რეგისტრაციის შესახებ, რომლებითაც დაკმაყოფილდა განცხადებლის მოთხოვნა და განხორციელდა №01.19.26.004.035, №01.19.26.004.032 და №01.19.21.02.006 საკადასტრო კოდის მქონე უძრავ ნივთებზე სს „მრეწვრკინიგზის“ საკუთრების უფლების მიტოვების რეგისტრაცია¹⁵.

2011 წლის 15 ივნისს, საზოგადოების სამსახურეობრივ მისამართზე, საზოგადოების დირექტორთან შეხვედრის მიზნით გამოცხადდნენ გლდანი-ნაძალადევის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლები, თუმცა ჯუმბერ შენგელია მათ ვერც სამსახურეობრივ მისამართზე და ვერც სახლში ნახეს. მას შემდეგ, რაც ჯუმბერ შენგელიასთან კონტაქტი შედგა, სამმართველოს უფროსმა ლევან კოპალიანმა და მისმა მოადგილე გიორგი ონიანმა დირექტორს, დაპატიმრების მუქარით მოსთხოვეს პოლიციის სამმართველოში გამოცხადება და ჯუმბერ შენგელია და ნანა ორაგველიძე აიძულეს ხელი მოეწერათ კაიროს ქუჩა #36-ში ს.ს. „მრეწვრკინიგზის“ საკუთრებად რიცხული ქონებიდან შპს „საქართველოს რკინიგზის“ სასარგებლოდ 1285 კვ.მ მიწის ნაკვეთის ფართობის გამიჯვნის გამოყოფაზე¹⁶.

2011 წლის 15 ივნისს მიღებულ იქნა ს.ს. „მრეწვრკინიგზის“ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი #4, რომლის დღის წესრიგს წარმოადგენდა საზოგადოების ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) გამიჯვნა. ოქმში აღნიშნულია, რომ მოისმინეს საზოგადოების დირექტორის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ვინაიდან საზოგადოების საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთებზე: ქ. თბილისში, კაიროს ქ. #36-ში მდებარე 47906 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.19.21.02.006) ნაწილზე, კერძოდ, 35705 კვ.მ-ზე, ასევე ლილოს სამრეწველო ზონაში #1 სმკ ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.19.26.004) 1070 კვ.მ და ლილოს სამრეწველო ზონაში, მიღების საიზოლაციო საწარმოს ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ

¹⁴ 2011 წლის 23 მაისის სს „მრეწვრკინიგზის“ დირექტორ ჯუმბერ შენგელიას განცხადებები სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ

¹⁵ 2011 წლის 25 მაისის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილებები.

¹⁶ 2012 წლის 26 ნოემბრის ს.ს. „მრეწვრკინიგზის“ დირექტორის ჯუმბერ შენგელიას საჩივარი საქართველოს მთავარ პროკურორს, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრსა და საქართველოს იუსტიციის მინისტრს.

01.19.26.004.035) 6448 კვ.მ განხორციელდა ს/საზოგადოების საკუთრების უფლების მიტოვება და ისინი უსასყიდლოდ გადაეცა სახელმწიფოს საკუთრებაში, უნდა მომხდარიყო უძრავი ნივთების (მიწის ნაკვეთების) გამიჯნვა ნოტარიულად, არსებული კანონმდებლობის მიხედვით¹⁷.

2011 წლის 16 ივნისს ნოტარიულად დამოწმდა ჯუმბერ შენგელიას თანხმობა, რომლითაც ნებას გამოთქვამდა 47,906 კვ.მ მიწის ნაკვეთს და მასზე დამაგრებულ შენობა-ნაგებობას თანასაკუთრებიდან გამოყოფოდა 1285 კვ.მ და განსაზღვრულიყო სახელმწიფო საკუთრებად. საქართველოს პროკურატურაში წარდგენილი საჩივრით, ჯუმბერ შენგელია აღწერს სანოტარო ბიუროში განვითარებულ მოვლენებს, შპს „საქართველოს რკინიგზის“ იურიდიული სამსახურის მაშინდელი უფროსის, შსს გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის მთავარი სამმართველოს მაშინდელი უფროსისა და უფროსის მაშინდელი მოადგილის ადგილზე ჩართულობას და აღნიშნავს, რომ ნოტარიუსის მონაწილეობით, დაპატიმრების მუქარით, იძულებული გახდა ხელი მოეწერა სანოტარო ბიუროში გამზადებულ თანხმობის დოკუმენტს¹⁸. „თანახმა ვარ, რომ სახელმწიფოს წილი თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან, რომელიც შეადგენს 47906 კვ.მ მიწის ნაკვეთს და მასზე დამაგრებულ შენობა-ნაგებობას გამოყოფის შემდეგ დარჩენილ 46621 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობებში სახელმწიფოს წილი განისაზღვროს ქონების მიმტოვებლის წილის პროპორციულად“ – აღნიშნულია თანხმობის წერილში¹⁹.

ა) №01.19.26.004.035 საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები:

2011 წლის 02 დეკემბერს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელმა №882011587513 სარეგისტრაციო განცხადებით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა №01.19.26.004.035 საკადასტრო კოდის მქონე უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია, კერძოდ, მასზე სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

¹⁷ 2011 წლის 15 ივნისის ს.ს. „მრეწველკინიგზის“ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი #4.

¹⁸ 2012 წლის 26 ნოემბრის ს.ს. „მრეწველკინიგზას“ დირექტორის ჯუმბერ შენგელიას საჩივარი საქართველოს მთავარ პროკურორს, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრსა და საქართველოს იუსტიციის მინისტრს.

¹⁹ 2011 წლის 16 ივნისის ს.ს. „მრეწველკინიგზის“ დირექტორ ჯუმბერ შენგელიას ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა. ნოტარიუსი: მარიკა გოგოლაძე.

აღნიშნულ განცხადებას თან ერთვოდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2011 წლის 02 დეკემბრის №05/28253 მიმართვა და დანართი №1, რომლითაც სამინისტრო ითხოვდა საჯარო რეესტრის ამონაწერებში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას, კერძოდ, №1 დანართში წარდგენილი 6 (ექვსი) ერთეული მიტოვებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირებას, რომელთა შორის იყო №01.19.26.004.035 საკადასტრო კოდის მქონე უძრავი ნივთი.

აღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2011 წლის 05 დეკემბერს მიღებულ იქნა №882011587513-03 გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ, რომლის თანახმად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლის განცხადება დაკმაყოფილდა და ქ. თბილისში, ლილოს სამრეწველო ზონაში, მშენებლობის სამინისტროს მიწების საიზოლაციო სანარმოს ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ნივთზე, დარეგისტრირდა სახელმწიფოს საკუთრების უფლება.

შესაბამისად, ქ. თბილისში, ლილოს სამრეწველო ზონაში, მშენებლობის სამინისტროს მიწების საიზოლაციო სანარმოს ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდით: №01.19.26.004.035, 2011 წლის 05 დეკემბრიდან საკუთრების უფლებით აღირიცხა სახელმწიფოს სახელზე. ნაკვეთის საკუთრების ტიპი – საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო-სამეურნეო, დაბუსტებული ფართობი: 6448.00კვ.მ., ნაკვეთის წინა ნომერი – 4.

2011 წლის 26 დეკემბერს სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა №882011631812 სარეგისტრაციო განცხადებით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა №01.19.26.004.035 საკადასტრო კოდის მქონე უძრავი ნივთის თვითმმართველ ერთეულზე გადაცემა.

აღნიშნულ განცხადებას თან ერთვოდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში დამატებითი ქონების სახით გადაცემის შესახებ“ 2011 წლის 8 დეკემბრის №1-1/2588 ბრძანება და დანართი №1, რომლის თანახმად, თვითმმართველ ქალაქ თბილისს დამატებითი ქონების სახით საკუთრებაში გადაეცა დანართი №1-ში მითითებული №01.19.26.004.035 საკადასტრო კოდის მქონე უძრავი ქონება.

აღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2011 წლის 29 დეკემბერს მიღებულ იქნა №882011631812-03 გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ, რომლის თანახმად, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენლის განცხადება დაკმაყოფილდა და ქ. თბილისში, ლილოს სამრეწველო ზონაში, მშენებლობის სამინისტროს მიღების საიზოლაციო სანარმოს ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ნივთზე, დარეგისტრირდა ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლება.

შესაბამისად, ქ. თბილისში, ლილოს სამრეწველო ზონაში, მშენებლობის სამინისტროს მიღების საიზოლაციო სანარმოს ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდით: №01.19.26.004.035, 2011 წლის 29 დეკემბრიდან საკუთრების უფლებით აღირიცხა ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის სახელზე. ნაკვეთის საკუთრების ტიპი – საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 6448.00კვ.მ., ნაკვეთის წინა ნომერი – 4.

ბ) №01.19.26.004.032 საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები:

2011 წლის 02 დეკემბერს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელმა №882011587511 სარეგისტრაციო განცხადებით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა №01.19.26.004.032 საკადასტრო კოდის მქონე უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია, კერძოდ, მასზე სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

აღნიშნულ განცხადებას თან ერთვოდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2011 წლის 02 დეკემბრის №05/28253 მიმართვა და დანართი №1, რომლითაც სამინისტრო ითხოვდა საჯარო რეესტრის ამონაწერებში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას, კერძოდ, №1 დანართში წარდგენილი 6 (ექვსი) ერთეული მიტოვებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირებას, რომელთა შორის იყო №01.19.26.004.032 საკადასტრო კოდის მქონე უძრავი ნივთი.

აღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2011 წლის 05 დეკემბერს მიღებულ იქნა №882011587511-03 გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ, რომლის თანახმად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი

განვითარების სამინისტროს წარმომადგენლის განცხადება დაკმაყოფილდა და ქ. თბილისში, ლილოს სამრეწველო ზონაში, მშენებლობის სამინისტროს №1 სახლმშენებელი კომბინატის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ნივთზე, დარეგისტრირდა სახელმწიფოს საკუთრების უფლება.

შესაბამისად, ქ. თბილისში, ლილოს სამრეწველო ზონაში, მშენებლობის სამინისტროს №1 სახლმშენებელი კომბინატის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდით: №01.19.26.004.032, 2011 წლის 05 დეკემბრიდან საკუთრების უფლებით აღირიცხა სახელმწიფოს სახელზე. ნაკვეთის საკუთრების ტიპი – საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო-სამეურნეო, დაბუსტებული ფართობი: 10705.00კვ.მ., ნაკვეთის წინა ნომერი – 4.

გ) №01.19.21.002.006 საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები:

2011 წლის 03 ივნისს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელმა №882011264218 სარეგისტრაციო განცხადებით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა ქ. თბილისში, ვაიროს ქ. №36-ში მდებარე №01.19.21.002.006 საკადასტრო კოდის მქონე უძრავ ნივთზე სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

აღნიშნულ განცხადებას თან ერთვოდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2011 წლის 10 მაისის №05/9230 მიმართვა, რომლითაც სამინისტრო ითხოვდა ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ მიტოვებული უძრავი ქონებების სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირებას, რომელთა შორის იყო №01.19.21.002.006 საკადასტრო კოდის მქონე უძრავი ნივთი.

აღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2011 წლის 03 ივნისს მიღებულ იქნა №882011264218-03 გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ, რომლის თანახმად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლის განცხადება დაკმაყოფილდა და ქ. თბილისში, ვაიროს ქ. №36-ში მდებარე, 47906 კვ.მ ფართობის, №01.19.21.002.006 საკადასტრო კოდის მქონე უძრავი ნივთის ნაწილზე, ვერძოდ, 35705 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და მასზე მდგომ შენობა-ნაგებობებზე დარეგისტრირდა სახელმწიფოს საკუთრების უფლება.

შესაბამისად, ქ. თბილისში, ვაიროს ქ. №36-ში მდებარე მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდით: №01.19.21.002.006, 2011 წლის 03 ივნისიდან თანასაკუთრების უფლებით აღირიცხა სს „მრეწვრკინიგზის“ (12201 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები) და სახელმწიფოს (35705 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები) სახელზე. ნაკვეთის საკუთრების ტიპი – თანასაკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 47906.00კვ.მ., ნაკვეთის წინა ნომერი – 2, შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი – შენობა-ნაგებობები.

2011 წლის 21 ივნისს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელმა №882011294211 სარეგისტრაციო განცხადებით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა ქ. თბილისში, ვაიროს ქ. №36-ში მდებარე №01.19.21.002.006 საკადასტრო კოდის მქონე უძრავი ნივთის დაყოფის საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია. აღნიშნულ განცხადებას თან ერთვოდა ორი მიწის ნაკვეთის საკადასტრო ამომვითი ნახაზი შესაბამისი ელექტრონული ვერსიებით, სს „მრეწვრკინიგზის“ დირექტორის – ჯუმბერ შენგელიას 2011 წლის 16 ივნისის სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2011 წლის 21 ივნისის №05/12833 მიმართვა.

აღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2011 წლის 22 ივნისს მიღებულ იქნა №882011294211-05 გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ, რომლის თანახმად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლის განცხადება დაკმაყოფილდა და ქ. თბილისში, ვაიროს ქ. №36-ში მდებარე, №01.19.21.002.006 საკადასტრო კოდის მქონე უძრავი ნივთი დაიყო №01.19.21.002.153 და №01.19.21.002.154 საკადასტრო კოდების მქონე უძრავ ნივთებად.

შესაბამისად, ქ. თბილისში, ვაიროს ქ. №36-ში მდებარე მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდით: №01.19.21.002.153, თანასაკუთრების უფლებით აღირიცხა სს „მრეწვრკინიგზის“ (12201 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები) და სახელმწიფოს (34420 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები) სახელზე. ნაკვეთის საკუთრების ტიპი – თანასაკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 46621.00კვ.მ., ნაკვეთის წინა ნომერი – 01.19.21.002.006, შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი – შენობა-ნაგებობები, ხოლო, ქ. თბილისში, ვაიროს ქ. №36-ში მდებარე მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდით: №01.19.21.002.154 2011 წლის 22 ივნისიდან საკუთრების უფლებით აღირიცხა სახელმწიფოს სახელზე.

ნაკვეთის საკუთრების ტიპი – საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 1285.00კვ.მ., ნაკვეთის წინა ნომერი – 01.19.21.002.006.

2012 წლის 26 ნოემბერს, პოლიტიკური ხელისუფლების ცვლილების შემდგომ, ს.ს. „მრეწვერკინიგზამ“ საჩივრით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს, საქართველოს იუსტიციის მინისტრსა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს. მოთხოვნილ იქნა საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა²⁰.

2014 წლის 20 თებერვალს, ს.ს. „მრეწვერკინიგზამ“ საერთო სასამართლოების წესით, დაიწყო დარღვეული უფლებებისთვის სამართლებრივი ბრძოლა. კვლევაში დეტალურადაა განხილული 2014-2020 წლებში წარმოებული სარჩელების მდგომარეობა და შედეგები, რომელზედაც ახლა არ შევჩერდებით.

²⁰ 2012 წლის 26 ნოემბრის ს.ს. „მრეწვერკინიგზის“ განცხადება/საჩივარი საქართველოს მთავარი პროკურორის, საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიმართ.

3. საქმე საქართველოს საერთო სასამართლოებში

3.1. სამოქალაქო სარჩელი 2014-2018 წლებში

2014 წლის 25 თებერვალს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ წარმოებაში მიიღო სააქციო საზოგადოება „მრენვ-რკინიგზას“ სარჩელი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, მესამე პირების: სსიპ ქონების მართვის სააგენტოს, ე. თბილისის თვითმმართველი ერთეული – თბილისის მერიისა და შპს „საქართველოს რკინიგზას“ მიმართ, დავის საგანზე: უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვების შესახებ განცხადებების, სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმისა და მინის ნაკვეთის გამიჯვნის შესახებ თანხმობის ბათილად ცნობაზე. სარჩელსა და მასზედ თანდართული მასალების საფუძველზე გამოიცა სადავოდ გამხდარი გადაწყვეტილებების მიღებისთვის არსებული ფაქტები, საკუთრების უფლების ფლობისა და დაკარგვის გარემოებები და მოთხოვნილ იქნა მათი გაუქმება.

2014 წლის 23 სექტემბრის სხდომაზე, სასამართლომ არ დააკმაყოფილა ს.ს. „მრენვრკინიგზის“ შუამდგომლობა საქმიდან მოსამართლის აცილების მოთხოვნაზე.

მხარის მითითებით, სასამართლოს მიკვრდობულობას ადასტურებდა სარჩელისა და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება. სასამართლომ მიიჩნია, რომ ს.ს. „მრენვრკინიგზის“ მოთხოვნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს გარდა, სხვა პირების მიმართ არ იყო მიმართული, რაც წარმოადგენდა სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველს, სასამართლოს მიერ სარჩელის მიღებაზე უარის თქმა კი არ შეიძლება გამხდარიყო სასამართლოს აცილების საფუძველი. ამასთან, სასამართლომ არ დააკმაყოფილა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შუამდგომლობა არასათანადო მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლის თაობაზე. სამინისტროს მიაჩნდა, რომ სათანადო მოპასუხე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო უნდა ყოფილიყო²¹.

2014 წლის 6 ოქტომბრის სხდომაზე, სასამართლომ დააკმაყოფილა ს.ს. „მრენვრკინიგზის“ შუამდგომლობა მოწმეთა გამოძახებისა და დაკითხვის

²¹ 2014 წლის 23 სექტემბრის სასამართლოს მოსამზადებელი სხდომის ოქმი

თაობაზე. სასამართლო სხდომაზე მონმის სახით გამოძახებულ იქნენ: ნანა ორაგველიძე, ალექსანდრე ათუაშვილი, ჯულიეტა მუზავეი და იუზა ლაშხი²². აღნიშნული პირები წარმოადგენდნენ ს.ს. „მრენვრკინიგზას“ თანამშრომლებსა და მენეჯმენტის წევრებს.

2014 წლის 27 ოქტომბრის სხდომაზე, სასამართლომ დააკმაყოფილა ს.ს. „მრენვრკინიგზის“ შუამდგომლობა მონმეთა გამოძახებისა და დაკითხვის თაობაზე. სასამართლო სხდომაზე მონმის სახით გამოძახებულ იქნა გიორგი ონიანი²³. სასამართლომ არ დააკმაყოფილა სააქციო საზოგადოების შუამდგომლობა მონმის სახით გიორგი თორიძის გამოძახებასა და დაკითხვაზე. ამავე სხდომაზე დაკმაყოფილდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შუამდგომლობა და საქმეში მესამე პირად ჩაებნენ: ქ. თბილისის მერია და ს.ს. „საქართველოს რკინიგზა“.

2014 წლის 18 ნოემბრის სხდომაზე, სასამართლომ დააკმაყოფილა ს.ს. „მრენვრკინიგზის“ შუამდგომლობა მონმეთა გამოძახებისა და დაკითხვის თაობაზე. სასამართლო სხდომაზე მონმის სახით გამოძახებულ იქნა გელა ბარამაშვილი²⁴.

2014 წლის 2 დეკემბრის სხდომაზე, სასამართლომ დააკმაყოფილა ს.ს. „მრენვრკინიგზის“ შუამდგომლობა მონმეთა გამოძახებისა და დაკითხვის თაობაზე. სასამართლო სხდომაზე მონმის სახით გამოძახებულ იქნა ავთანდილ ტყებუჩავა.²⁵

2014 წლის 16 დეკემბრის სხდომაზე, სასამართლომ მოსამზადებელი სხდომა გადაზარდა მთავარ სხდომაში. სასამართლომ მიიჩნია, რომ მონმის სახით გელა ბარამაშვილის გამოუცხადებლობა ხელს არ უშლიდა საქმის გარემოებათა ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას²⁶.

2014 წლის 23 დეკემბრის სხდომაზე, სასამართლომ დაასრულა საქმის განხილვა და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გადადო ერთი თვის ვადით²⁷.

2015 წლის 20 იანვარს სასამართლომ ს.ს. „მრენვრკინიგზის“ სარჩელი დააკმაყოფილა ნაწილობრივ.

²² 2014 წლის 6 ოქტომბრის სასამართლოს მოსამზადებელი სხდომის ოქმი.
²³ 2014 წლის 27 ოქტომბრის სასამართლოს მოსამზადებელი სხდომის ოქმი.
²⁴ 2014 წლის 18 ნოემბრის სასამართლოს მოსამზადებელი სხდომის ოქმი.
²⁵ 2014 წლის 2 დეკემბრის სასამართლოს მოსამზადებელი სხდომის ოქმი.
²⁶ 2014 წლის 16 დეკემბრის სასამართლოს მთავარი სხდომის ოქმი.
²⁷ 2014 წლის 23 დეკემბრის სასამართლოს მთავარი სხდომის ოქმი.

1. ბათილად იქნა ცნობილი სს „მრეწვრკინიგზას“ სამეთვალყურეო საბჭოს 2011 წლის 20 მაისის №3 სხდომის ოქმი სს „მრეწვრკინიგზას“ საკუთრებაში არსებულ შემდეგ უძრავ ქონებაზე: 1) მდებარე – თბილისი, ვაიროს ქ. №36, მიწის ნაკვეთის ფართობი – 35 705 კვ.მ., უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №01.19.21.002.006; 2) მდებარე – თბილისი, ლილოს სამრეწველო ზონაში, მშენებლობის სამინისტროს №1 სახლმშენებელი კომბინატის ტერიტორია, მიწის ნაკვეთის ფართობი – 10 705 კვ.მ., უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №01.19.26.004.032; 3) მდებარე – თბილისი, ლილოს სამრეწველო ზონაში, მიწის საიზოლაციო სანარმოს ტერიტორია, მიწის ნაკვეთის ფართობი – 6 448 კვ.მ., უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №01.19.26.004.035, სახელმწიფოს სასარგებლოდ საკუთრების უფლების მიტოვების შესახებ;
2. ბათილად იქნა ცნობილი სს „მრეწვრკინიგზას“ დირექტორის ჯუმბერ შენგელიას 2011 წლის 23 მაისის განცხადებები სს „მრეწვრკინიგზას“ საკუთრებაში არსებულ შემდეგ უძრავ ქონებაზე: 1) მდებარე – თბილისი, ვაიროს ქ. №36, მიწის ნაკვეთის ფართობი – 35 705 კვ.მ., უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №01.19.21.002.006; 2) მდებარე – თბილისი, ლილოს სამრეწველო ზონაში, მშენებლობის სამინისტროს #1 სახლმშენებელი კომბინატის ტერიტორია, მიწის ნაკვეთის ფართობი – 10 705 კვ.მ., უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №01.19.26.004.032; 3) მდებარე – თბილისი, ლილოს სამრეწველო ზონაში, მიწის საიზოლაციო სანარმოს ტერიტორია, მიწის ნაკვეთის ფართობი – 6 448 კვ.მ., უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №01.19.26.004.035, სახელმწიფოს სასარგებლოდ საკუთრების უფლების მიტოვების შესახებ;
3. მოსარჩელეს უარის ეთქვა თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე, მდებარე – თბილისი, ვაიროს ქ. №36, უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №01.19.21.002.006, გამიჯვნის შესახებ სს „მრეწვრკინიგზას“ სამეთვალყურეო საბჭოს 2011 წლის 15 ივნისის №4 სხდომის ოქმის ბათილად ცნობაზე;
4. მოსარჩელეს უარი ეთქვა თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე, მდებარე – თბილისი, ვაიროს ქ. №36, უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №01.19.21.002.006, გამიჯვნის შესახებ სს „მრეწვრკინიგზას“ დირექტორის ჯუმბერ შენგელიას 2011 წლის 15 ივნისის თანხმობის ბათილად ცნობაზე.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე მხარის მიერ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დგინდებოდა ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, აუცილებელია სადავო გარიგებების იძულებით დადებულ გარიგებად მიჩნევისათვის. ს.ს. „მრენვრკინიგზას“ წარმომადგენელი სარჩელს ასაბუთებდა და ცალმხრივი გარიგებების გაუქმებას სწორედ იძულებით დადებული გარიგებების გამო მოითხოვდა, მაგრამ სასამართლო დასკვნა ემყარება შემდეგ მოსაზრებებს:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, *გარიგების დადების მიზნით იმ პირის იძულება (ძალადობა ან მუქარა), რომელმაც დადო გარიგება, ანიჭებს ამ პირს გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლებას მაშინაც, როცა იძულება მიმდინარეობს მესამე პირისგან.*

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 86-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, *გარიგების ბათილობას იწვევს ისეთი იძულება, რომელსაც თავისი ხასიათით შეუძლია გავლენა მოახდინოს პირზე და აფიქრებინოს, მის პიროვნებას ან ქონებას რეალური საფრთხე ემუქრება.*

სასამართლომ განმარტა, რომ იძულება წარმოადგენს გარიგების ბათილად ცნობის საფუძველს, რაც შეიძლება გამოიხატოს ძალადობასა და მუქარაში, რა დროსაც აშკარა უნდა იყოს გარიგების მხარის მხრიდან ან მესამე პირისგან ისეთი მოქმედება, რომლის ზეგავლენითაც ხდება გარიგების დადება. ძალადობაში იგულისხმება ფიზიკური იძულება, ხოლო მუქარის დროს კი იძულების განხორციელების ფაქტით გამოწვეული შიში აიძულებს პირს თავისუფალი ნების გარეშე, რაიმეს შიშით, დადოს გარიგება. ამდენად, იძულების ფაქტი მოიცავს, როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ იძულებასაც. ამასთან, ყველანაირი მუქარა არ შეიძლება გახდეს გარიგების ბათილად ცნობის საფუძველი, იძულება უნდა იყოს ისეთი სახის, რომ შეეძლოს გავლენის მოხდენა პირზე, უნდა აფიქრებინოს, რომ მის პიროვნებას, რეალური საფრთხე ემუქრება. ამ დროს მხედველობაშია მისაღები იმ პირის ასაკი, სქესი და ცხოვრებისეული გამოცდილება, რომლის მიმართაც ხორციელდება იძულება.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე მხარე მიუთითებდა ფსიქოლოგიურ გენოლაზე, რაც სს „მრენვრკინიგზის“ ყოფილი დირექტორისთვის სისიხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების მუქარაში გამოიხატებოდა. მითითებული გარემოებების დადასტურების მიზნით, სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხული იქნენ: სს „მრენვრკინიგზის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები – ალექსანდრე ათუაშვილი, იუზა ლაშხი, ჯულიეტა მუზავეი,

ჯუმბერ შენგელიას ადვოკატი – ავთანდილ ტყებუჩავა და შსს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე გიორგი ონიანი.

აღსანიშნავია, რომ მონშეთა ნაწილისთვის (იუზა ლაშხი, ჯულიეტა მუზავეი, ალექსანდრე ათუაშვილი) ჯუმბერ შენგელიას მიმართ განხორციელებული შესაძლო იძულების შესახებ ინფორმაცია ცნობილი გახდა თავად ჯუმბერ შენგელიასგან. ამდენად, მითითებული მონშეების ჩვენებს სასამართლო სადავო გარემოებების დამადასტურებელ პირდაპირი სახის მტკიცებულებად ვერ მიიჩნევდა. რაც შეეხება მონშე ნანა ორაგველიძის და ადვოკატ ავთანდილ ტყებუჩავას მიერ მიცემულ ჩვენებს, ისინი მიუთითებდნენ, რომ მონშის სახით დაკითხვისას, გამომძიებელი ჯუმბერ შენგელიას დაემუქრა მოსალოდნელი სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ ს.ს „მრენვრკინიგზა“ მის საკუთრებაში არსებული ქონების ნაწილს არ მიატოვებდა სახელმწიფოს სასარგებლოდ.

ამდენად, სასამართლოს აზრით, მოცემულ შემთხვევაში, შესაფასებელია ის საფრთხე, რომელიც ემუქრებოდა ს.ს „მრენვრკინიგზის“ ყოფილ დირექტორს, თუ ს.ს „მრენვრკინიგზა“ სახელმწიფოს სასარგებლოდ არ მიატოვებდა საკუთრების უფლებას მისი კუთვნილი უძრავი ქონების ნაწილზე. აღსანიშნავია, რომ ს.ს „მრენვრკინიგზის“ დირექტორი ჯუმბერ შენგელია მონშის სახით იყო დაკითხული ქ. თბილისის პროკურატურის მიერ დაწყებულ გამოძიებასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ გამოძიების შედეგად გამოიკვეთებოდა ჯუმბერ შენგელიას მიერ რაიმე სახის სისხლის-სამართლებრივი დანაშაულის ჩადენის ფაქტი, ერთადერთი, რაც მას დაემუქრებოდა იყო ის, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, წარსდგებოდა სასამართლოს წინაშე და მის მიმართ გამოტანილი იქნებოდა გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენი, რაც სრულიად კანონიერი მოქმედებაა.

სასამართლოს განმარტებითვე, იძულების რეალურობის განსაზღვრისას, ასევე მნიშვნელოვანია, თუ ვისი მხრიდან ხორციელდება ეს იძულება და ასეთი პირისგან შესაძლებელია თუ არა იმ მუქარის შესრულება, რაც შეიძლება საფუძვლად დაედოს გარიგების დადებას ანუ პირს, რომელსაც ემუქრებიან, უნდა შეექმნას განცდა (შთაბეჭდილება), რომ მისთვის ზიანის მომატანი მოქმედების დადგომა დამოკიდებულია მუქარის განმხორციელებელი პირის ნებაზე²⁸. მხოლოდ მითითება ობიექტურად არსებულ იძულების მდგომარეობაზე საკმარისი არ არის. გარდა ამისა, კონკრეტული საშუალების გამოყენება, გარკვეული მიზნის მისაღწევად უნდა არღვევდეს/ენიანააღმდეგებოდეს „ყველა

²⁸ BGH 2, 287/95, LM Nr 23.

სამართლიანად მოაზროვნე ადამიანის ქცევის წესს (მორალისა და მწიფობის განცდას)²⁹ .“

სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე მხარის მითითების მიხედვით, შესაძლო სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ მუქარა მომდინარეობდა გამომძიებლისგან. აღსანიშნავია, რომ შესაძლოა დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, სისხლისამართლებრივი დევნის და საბოლოოდ, პასუხისმგებლობის დაკისრების პროცედურებს განსაზღვრავს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. ამავე კოდექსის მიხედვით, სისხლისამართლებრივ დევნას ახორციელებს შესაბამისი საგამომძიებო ორგანო, თუმცა აღკვეთი ღონისძიების სახით, წინასწარი პატიმრობის შერჩევა და სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება სხვა უწყების – სასამართლოს კომპეტენციაა. ამდენად, გამომძიებელი არ წარმოადგენდა იმ სტატისის მქონე პირს, რომელსაც შეეძლო ერთპიროვნულად გადაეწყვიტა პირისთვის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების და დაპატიმრების საკითხი.

სასამართლოს განმარტებით, არც სისხლისამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანოს კომპეტენციას განეკუთვნება პირის დაპატიმრების საკითხის გადაწყვეტა. შესაბამისად, გამომძიებლისგან მომდინარე შესაძლო მუქარა – სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ, არ შეიძლება მიჩნეულიყო უპირობოდ დაპატიმრების რეალურ საფრთხედ. აღსანიშნავია, რომ მუქარის რეალურობის აღქმა, დასახელებული სპეციფიკური სიტუაციის გათვალისწინებით, დამოკიდებულია გარკვეული საკითხების ცოდნასთან, თუმცა კონკრეტულ შემთხვევაში, შესაძლოა მუქარის რეალურობის აღქმის შეფასებისას მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მოწმის სახით დაკითხვისას, ჯუმბერ შენგელია წარმოდგენილი იყო პროფესიონალი ადვოკატით. სასამართლო დაეყრდნო, რომ მოწმის სახით დაკითხულმა ადვოკატმა განმარტა, რომ არ არსებობდა ჯუმბერ შენგელიას სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემის საფუძველი და ამის შესახებ მან თავის დაცვის ქვეშ მყოფს განუმარტა. ამდენად, სასამართლოს აზრით, გამომძიებლის მხრიდან შესაძლო სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე განცხადება ვერ იქნებოდა მიჩნეული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 86-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ მუქარად.

სასამართლოს განმარტებით, სადაო გარიგებების, როგორც იძულებით დადებული გარიგებების, კვალიფიკაციისთვის, მოსარჩელე მხარეს უნდა დაედასტურებინა, რომ თუ არ მოხდებოდა სახელმწიფოს სასარგებლოდ ქონების

²⁹ BGH 25, 217, NJW 83, 384 BAG NJW 70, 775.

მიტოვება, ჯუმბერ შენგელიას მიმართ განხორციელებოდა უკანონო სისხლისამართლებრივი დევნა და უკანონოდ მიცემული იქნებოდა პასუხისგებაში. მითითებული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები კი განსახილველ საქმეში წარმოდგენილი არ ყოფილა.

რაც შეეხება ქონების გამიჯვნის ნაწილში გაფორმებულ გარიგებებს, მითითებულ საკითხთან დაკავშირებით მოწმის სახით დაკითხული იქნენ ნანა ორაგველიძე და გიორგი ონიანი. მოწმის სახით დაკითხვისას, სასამართლოს განმარტებით, ნანა ორაგველიძემ ვერ მიუთითა, კონკრეტულად რაში გამოიხატა ჯუმბერ შენგელიას მიმართ იძულების ფაქტი. გარდა ამისა, ჯუმბერ შენგელისთან ქონების გამიჯვნის შესახებ კომუნიკაციის და სანოტარო აქტის შედგენისას, მასში მონაწილეობის ფაქტი საერთოდ უარყოფილი იქნა მოწმის სახით დაკითხული გიორგი ონიანის მიერ. ამასთან, სასამართლო საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ სადავო გარიგებები ბათილია არა იძულების, არამედ მართლწინააღმდეგობის და ამორალურობის საფუძველით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის მიხედვით, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.

სამართლებრივ სახელმწიფოში მართლწესრიგის არსებობას უზრუნველყოფს, როგორც კანონი, ასევე მორალური ქცევის სტანდარტი. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში კერძო ავტონომიისა და თავისუფალი კონტრაქტების პრინციპი მოქმედებს, გარიგება, რომელიც საზოგადოებაში „საყოველთაოდ მიღებულ ქცევის სტანდარტს“ ეწინააღმდეგება, ამორალურ გარიგებად მიიჩნევა და შესაბამისად, ბათილად ითვლება – განმარტა სასამართლომ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის მიზანია, თავიდან იქნეს აცილებული ისეთი გარიგებები, რომლებიც ფორმალურად კანონსაწინააღმდეგო არ არის, თუმცა, თავისი არსით, საზოგადოებრივ მართლწესრიგს არღვევს და სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტთა თანაცხოვრებას აუარესებს, რაც საბოლოოდ, სამოქალაქო ბრუნვას აფერხებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, *სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები.* აღნიშნული ნორმა მხოლოდ დეკლარაციული ხასიათის არ არის და ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის დამრღვევისათვის პასუხისმგებ-

ლობის დაკისრების მოთხოვნის დამოუკიდებელ საფუძველს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ მისი დარღვევა უმეტეს შემთხვევაში, დადებულ გარიგებას მართლსაწინააღმდეგოდ და ამორალურად აქცევს.

გარიგების მართლსაწინააღმდეგობისა და ამორალურობის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა მხარეთა ნებას ენიჭება, თუმცა, აუცილებელი არ არის მხარეთა ნება თანმხვედრი იყოს, ანუ გარიგების დადების ამორალური და მართლსაწინააღმდეგო მოტივი და მიზანი ორივე მხარეს ამოძრავებდეს. გარიგების ამორალურად და მართლსაწინააღმდეგოდ მიჩნევის მიზნებისათვის საკმარისია გარიგების ერთ-ერთი მხარის არამართლზომიერი, ამორალური განზრახვა.

გარიგების ამორალურად და მართლსაწინააღმდეგოდ კვალიფიკაციისთვის მნიშვნელოვანია გარიგების ნეგატიური, კანონსაწინააღმდეგო ან ამორალური შედეგის დადგომა. აღსანიშნავია, რომ ისეთი სამართალურთიერთობის არსებობისას, როდესაც ამავე ურთიერთობის მხარეებს შორის ნდობისა და კეთილსინდისიერების სტანდარტი მაღალია, სამართალურთიერთობის საფუძველი მორალურად ყოველთვის გამართლებული უნდა იყოს. ყველა იმ სამართალურთიერთობაშიც კი, რომელშიც სახელმწიფო მონაწილეობს, ნდობისა და კეთილსინდისიერების ხარისხი განსაკუთრებით მაღალია.

უფრო მეტიც, მიუხედავად სამართალურთიერთობის კერძო სამართლებრივი ბუნებისა, კერძო სამართლის სუბიექტების მხრიდან კონტრაგენტი ძლიერი მხარის, სახელმწიფოს ქმედებების მიმართ კანონიერი ნდობის პრინციპი მოქმედებს. შესაბამისად, სახელმწიფოს მონაწილეობით დადებული გარიგებების მიმართ კანონშესაბამისობის და მორალური სტანდარტების დაცვის პრეზუმცია არსებობს, აღნიშნული პრეზუმცია კი შეცილებისთანავე ქარწყლდება და მტკიცების ტვირთი ბრუნდება.

სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს მონაწილეობით დადებული კერძო-სამართლებრივი გარიგების შეცილების შედეგად, მტკიცების ტვირთი სახელმწიფოზე გადადის. სწორედ სახელმწიფომ უნდა ამტკიცოს კერძო პირთა დადებული გარიგების ნამდვილობა, კანონისა და ზნეობის ნორმებთან შესაბამისობა. აღნიშნული დასკვნა ეფუძნება, სახელმწიფოს, როგორც გარიგების ძლიერი მხარის ვალდებულებას, განსაკუთრებული პასუხისმგებლობით დაიცვას ყველა პირის ქონებრივი უფლებები. კონსტიტუციის შესაბამისად, სახელმწიფო გვევლინება საკუთების უფლების უპირობო დამცველად და მისი ვალდებულებაა თითოეული პირის უფლებების დაცვა, მისთვის უსასყიდლოდ ქონების გადაცემის გარიგების შედავების დროს მას მოეთხოვება ამტკიცოს, რომ გარიგება არ ეწინააღმდეგება არც კანონს და არც

ზნეობრივ ნორმებს და შესაბამებოდა მორალურ სტანდარტებს. გარიგების მორალთან შესაბამისობის თვალსაზრისით, შეფასებულ უნდა იქნეს მისი მოტივი და მიზანი, ასევე მისი დადების დრო, თუმცა, აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ შემცილებელი გარიგების ბათილობის საფუძვლების (ფაქტების) მითითებებისგან თავისუფლდება.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე მხარე მიუთითებდა, რომ სადავო გარიგებები უნდა გაუქმებულიყო, როგორც იძულებით დადებული გარიგებები, თუმცა სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული გარიგებები ბათილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის საფუძველზე უნდა გამხდარიყო (ს.ს. „მრეწვერკინიგზას“ სამეთვალყურეო საბჭოს 2011 წლის 20 მაისის სხდომის ოქმი, ს.ს. „მრეწვერკინიგზას“ დირექტორის 2011 წლის 23 მაისის განცხადება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს)

სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლზე, რომლის მიხედვითაც, საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს, თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების გამოყენებით აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპენტენციაში და მხარის მიერ არასწორი ნორმატიული საფუძვლის მითითება არ შეიძლება გახდეს სარჩელზე უარის თქმის საფუძველი, თუმცა სასამართლოს აღნიშნული დისკრეტია უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ მოჰასუხეს არ შეეზღუდოს კონკრეტულ საკითხზე შესაგებლის წარდგენის კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილება. საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში.

სარჩელისგან განსხვავებული სამართლის ნორმების გამოყენება არ გულისხმობს გარიგების შეცილების საფუძვლის შეცვლას. მხარის განმარტება მასზედ, რომ მასთან გარიგება იძულების წესით დადეს, სარჩელის ფაქტობრივი შემადგენლობის ნაწილია და არა – ნორმატიული საფუძველი.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო გარიგების ბათილობის ნორმატიული საფუძვლის შეცვლა, მონინააღმდეგე მხარეს (სახელმწიფოს) არც მატერიალურ და არც პროცესუალურ-სამართლებრივი საფუძველით არათანაბარ მდგომარეობაში არ აყენებდა. ამ თვალსაზრისით, საქმის განხილვისას, მოჰასუხე მხარეს (სახელმწიფოს) მიეცა საშუალება მიეთითებინა და

დაესაბუთებინა, თუ რა მოტივი და მართლზომიერი მიზანი შეიძლება ჰქონოდა სადავოდ გამხდარ გარიგებას. ამდენად, სადავო გარიგების ბათილობის წინაპირობების არსებობა, სასამართლომ შემდეგი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლივი ანალიზის შედეგად დადგინდა:

- 2011 წლის 20 მაისს, ქ. თბილისის პროკურატურის ანტიკორუფციული ნაწილის მიერ მოწმის სახით დაკითხვა სს „მრეწვრკინიგზას“ დირექტორი ჯუმბერ შენგელია. იმავე დღეს – 2011 წლის 20 მაისს, სს „მრეწვრკინიგზას“ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ს.ს „მრეწვრკინიგზას“ მიერ მის საკუთრებაში არსებული ქონების ნაწილზე სახელმწიფოს სასარგებლოდ საკუთრების უფლების მიტოვების თაობაზე.
- 2011 წლის 23 მაისს, ს.ს „მრეწვრკინიგზას“ დირექტორმა ჯუმბერ შენგელიამ განცხადებით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ს.ს „მრეწვრკინიგზას“ სამეთვალყურეო საბჭოს 2011 წლის 20 მაისს #3 სხდომის ოქმში მითითებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მიტოვების რეგისტრაციის მოთხოვნით.
- აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას, ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ს.ს „მრეწვრკინიგზას“ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმში გაფორმებულია ჯუმბერ შენგელიას მოწმის სახით დაკითხვის შემდეგ იმავე დღეს, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების დარეგისტრირება განხორციელდა დაკითხვიდან სამი დღის შემდეგ.

სასამართლოს შეფასებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის საქმეზე, რომლის ფარგლებშიც მოწმის სახით იქნა დაკითხული ჯუმბერ შენგელია, რაიმე სახის სამართლებრივი შედეგი არ დამდგარა. მხარეებს შორის არ გამხდარა სადავო ის გარემოება, რომ ქონების უსასყიდლოდ სახელმწიფოსთვის გადაცემის ანუ 2011 წლის შემდეგ, სისხლის სამართლის საქმეზე რაიმე სახის საგამოძიებო მოქმედება სახელმწიფო ქონების უკანონოდ დაუფლების ფაქტის და შესაძლო დანაშაულის ჩამდენ პირთა გამოვლენის მიზნით, არ განხორციელებულა. შესაბამისად, არ დადგენილა სახელმწიფოსთვის ზიანის მიყენების ფაქტი. აღნიშნულის საფუძველზე, სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ სადავო გარიგების საფუძველზე, ქონების უსასყიდლოდ გადაცემა არ შეიძლება მიჩნეულ იქნას სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებად.

სასამართლომ მხედველობაში მიიღო, ასევე მოჰასუხე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლის განმარტება იმის შესახებ, რომ უძრავი ქონების ნაწილზე საკუთრების

უფლების მიტოვების მოტივი შესაძლოა ყოფილიყო ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულის გამოსწორება *(სასამართლოს 2014 წლის 16 დეკემბრის სასამართლოს სხდომის ოქმი, 15:23-04-15:24:12სთ)*.

სასამართლო თვლის, რომ შესაძლოა ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულის გამოსყიდვა, რაც კერძო პირის მხრიდან სახელმწიფოსათვის ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემაში გამოიხატება, არ შეიძლება განხილულ იქნეს მორალური კატეგორიის გარიგებად, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ქონებაზე საკუთრების უფლების მიტოვებამდე კომპანიის დირექტორი დაკითხულ იქნა საგამოძიებო ორგანოს მიერ. **სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმეზე „გუზინსკი რუსეთის წინააღმდეგ“** მითითებულ საქმეზე, სადაც განიმარტა, რომ სისხლის-სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის ეტაპზე, სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების დადება, რომელიც დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებას არ ემსახურება, მაღალი ალბათობით, ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგს არ წარმოადგენს, რადგან სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება გარიგების გაფორმების მაპროვოცირებელი გარემოებაა, რაც ნების გამოვლენის თავისუფლებას იმთავითვე გამორიცხავს.

განსახილველ შემთხვევაში, მართალია, ჯუმბერ შენგელია სისხლისამართლებრივ პასუხისგებაში მიცემული არ ყოფილა, მაგრამ იმ ვითარებაში, როდესაც მიმდინარეობს გამოძიება სადავო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მოპოვების კანონიერების შემოწმების მიზნით და კომპანიის დირექტორის მოწმის სახით დაკითხვიდან რამდენიმე საათში ხდება სადავო ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის გადანყვეტილების მიღება, სწორედ სახელმწიფოს მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ის მოქმედებდა კეთილსინდისიერად და მისი ქცევა შეესაბამებოდა მორალურ სტანდარტებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენდა, რომ სადავო გარიგებები ჯუმბერ შენგელიას მიმართ გამოტანილი განაჩენის ან მასთან გაფორმებული საპროცესო შეთანხმების ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც, თავისი არსითა და ჩადენილი დანაშაულის სპეციფიკის გათვალისწინებით, სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ემსახურებოდა, ასეთ ვითარებაში, მითითებული გარიგებები მართლსაწინააღმდეგო და ამორალურ გარიგებებად არ განიხილებოდა. ამავე დასკვნის საფუძველს იძლევა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილება საქმეზე „ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ“.

აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ თუ საპროცესო შეთანხმების უკანონობა არ დადასტურდება, ქონებრივი პასუხისმგებლობა, რომელიც აღნიშნული საპროცესო შეთანხმების შედეგად დადგა, არ შეიძლება ცალკე იქნეს გამოყოფილი და როგორც პასუხისმგებლობის დამოუკიდებელი სახე, უკანონოდ მიჩნეული. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ იგივე დასკვნა გააკეთა საქმეზე, „გალსთიანი სასომხეთის წინააღმდეგ“. ამდენად, თუ ქონებრივი პასუხისმგებლობა საპროცესო შეთანხმების ან განაჩენის არსებითი შემადგენელი ნაწილი ან მისი თანმდევი შედეგია, აღნიშნული პასუხისმგებლობა საპროცესო შეთანხმების და განაჩენის კანონიერების პირობებში, არამართლზომიერად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული, მით უფრო, თუ ცალსახად დგინდება, რომ ქონებრივი პასუხისმგებლობა, რომელიც სახელმწიფოსათვის ქონების უსასყიდლოდ გადაცემაში გამოიხატება, სახელმწიფოსათვის დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ემსახურება.

განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა ახსნა-განმარტებისა და გამოკვლევული მტკიცებულებების საფუძველზე ცალსახად დადგინდა, რომ სს „მრენვ-რკინიგზას“ საკუთრებაში არსებული ქონების ნაწილზე, სახელმწიფოს სასარგებლოდ საკუთრების უფლების მიტოვება, არ წარმოადგენდა სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, ვინაიდან, არც მითითებული დროისთვის და არც დავის განხილვის დროისთვის სს „მრენვ-რკინიგზის“ დირექტორის მიერ მიტოვებული ქონების გამოყენებით რაიმე სახის დანაშაულის ჩადენის ფაქტი საამისოდ უფლებამოსილი ორგანოს მიერ დადგენილი არ არის. ასეთ პირობებში კი, შესაძლოა ჩადენილი დანაშაულის გამოსყიდვის მიზნით სახელმწიფოსათვის ქონების გადაცემა, სამოქალაქო სამართლებრივ კონტექსტში, წარმოადგენს ბათილ გარიგებას. იმ შემთხვევაში, თუ მივიჩნევთ, რომ ქონებაზე საკუთრების უფლების მიტოვება განხორციელდა ჩადენილი დანაშაულის გამოსყიდვის მიზნით, მაშინ სადავო გარიგებები წარმოადგენს ამორალურ გარიგებებს, ხოლო თუ მივიჩნევთ, რომ შესაძლოა ჩადენილი დანაშაულის, სახელმწიფო ქონების უკანონოდ მითვისების, ფაქტზე გამოძიება და შესაბამისი სამართლებრივი პროცედურები არ გაგრძელდა ქონებაზე საკუთრების უფლების მიტოვების გამო, მაშინ სადავო გარიგებები არამართლზომიერია.

რაც შეეხება ს.ს. „მრენვრკინიგზას“ მოთხოვნას სამეთვალყურეო საბჭოს 2011 წლის 15 ივნისს #4 სხდომის ოქმისა (საბჭომ სს „მრენვრკინიგზას“ დირექტორს დაავალა განეხორციელებინა სახელმწიფოს და საზოგადოების თანასაკუთრებაში არსებული ქონების გამიჯვნა) და 2011 წლის 16 ივნისს ჯუმბერ შენგელიას მიერ გაცემული თანხმობის ბათილად ცნობის თაობაზე (საზოგადოების დირექტორმა გამიჯვნის შესახებ და სახელმწიფოსთვის

1285 კვ.მ ფართის საკუთრებაში გადაცემაზე თანხმობა დაამონმა ნოტარიული წესით), სასამართლომ ბათილ გარიგებებად არ ცნო და აღნიშნა, რომ ეს სადავო გარიგებები, არ წარმოადგენდა იძულებით დადებულ გარიგებას. ამასთან, მითითებული გარიგებები ვერც ამორალურ და კანონსაწინააღმდეგო გარიგებად დაკვალიფიცირდებოდა, ვინაიდან ისინი ეხებოდა თანასაკუთრებაში არსებული და 2011 წლის 20 მაისის გარიგებების საფუძველზე მიტოვებული ქონების გამიჯვნას. გარიგებებო განხორციელდა უკვე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის (თანასაკუთრების) საფუძველზე და მათ ამორალური ან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი არ გააჩნდა. (შესაბამისად სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა).

2015 წლის 4 მარტს, პროცესის მონაწილე მხარეების მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 20/01/2015 წლის გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო წესით (2015 წლის 9 მარტს საქმე გადაგზავნილ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოში).

2015 წლის 23 მარტის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით, ს.ს. „მრენვრკინიგზას“ სააპელაციო საჩივარზე დადგინდა ხარვეზი. სააქციო საზოგადოებას მკაფიოდ უნდა მიეთითებინა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის რომელი პუნქტის შეცვლას მოითხოვდა და რა სახით³⁰ (სასამართლომ მიიღო განჩინება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივრების განსახილველად უხარვეზოდ მიღების შესახებ).

2015 წლის 6 აპრილს, ს.ს. „მრენვრკინიგზის“ წარმომადგენელმა განცხადებით მომართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ხარვეზის გასწორების (შეცვლის) თაობაზე³¹. განცხადების წარმოდგენილ ტექსტში მხარის მიერ აღინიშნა შემდეგი: „სადავოდ მიგვაჩნია სასამართლო გადაწყვეტილების სამართლებრივი შეფასება მუხლი 6.1. მიგვაჩნია, რომ სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად, მოსამართლის დასაბუთებულობასთან ერთად, დასაბუთებულად და დამტკიცებულად უნდა იქნეს მიჩნეული აგრეთვე, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებების მიღებისას მოსარჩელე მხარის (საწარმოს დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის) მიმართ ადგილი ჰქონდა ძალადობასა და მუქარას. მოვითხოვთ,

³⁰ 2015 წლის 23 მარტის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება, საქმეზე: 20/941-15. მოსამართლე: მაია ბაქრაძე.

³¹ ს.ს. „მრენვრკინიგზის“ 2015 წლის 6 აპრილის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ხარვეზის გასწორების (შეცვლის) შესახებ. რეგ. #212789.

გასაჩივრებული სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1.4. პუნქტის გაუქმებას და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილებას“ (სტილი დაცულია).

2015 წლის 16 აპრილის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 6.1. პუნქტის *(სამართლებრივი შეფასება)* დასაბუთებულობასთან ერთად, მოსარჩელის მიმართ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას ძალადობისა და მუქარის დასაბუთებულად და დამტკიცებულად მიჩნევის ნაწილში, დარჩა განუხილველი³², ხოლო სასამართლოს ამავე თარიღით მიღებული განჩინებით, ს.ს. „მრენვრკინიგზის“ სააპელაციო საჩივარი თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე გამიჯვნის შესახებ თანხმობის ბათილად ცნობის ნაწილში, მიღებულ იქნა განსახილველად³³.

2015 წლის 14 მაისს, ს.ს. „მრენვრკინიგზის“ მიერ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 16/04/2015 წლის განჩინებაზე, სააპელაციო საჩივრით გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 6.1. პუნქტის *(სამართლებრივი შეფასება)* დასაბუთებულობასთან ერთად მოსარჩელის მიმართ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას ძალადობისა და მუქარის დასაბუთებულად და დამტკიცებულად მიჩნევის ნაწილში, განუხილველად დატოვების გამო, წარდგენილი იქნა კერძო საჩივარი. განჩინება გასაჩივრდა საკასაციო წესით³⁴.

2015 წლის 28 მაისის საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით, ს.ს. „მრენვრკინიგზის“ კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად³⁵.

2015 წლის 17 ივნისს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით, ს.ს. „მრენვრკინიგზის“ კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელი დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 16 აპრილის განჩინება³⁶.

³² 2015 წლის 16 აპრილის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება ს.ს. „მრენვრკინიგზის“ სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

³³ 2015 წლის 16 აპრილის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება ს.ს. „მრენვრკინიგზის“ სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ.

³⁴ 2015 წლის 14 მაისის ს.ს. „მრენვრკინიგზის“ კერძო საჩივარი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარშო და გაკოტრების საქმეთა პალატას. რეგ. #213979.

³⁵ 2015 წლის 28 მაისის საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება ს.ს. „მრენვრკინიგზის“ კერძო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ. მოსამართლე: ზურაბ ძლიერიშვილი.

³⁶ 2015 წლის 17 ივნისის საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება ს.ს. „მრენვრკინიგზის“ კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. მოსამართლე: ზურაბ ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ბესარიონ ალავიძე, ნინო ბაქაძე.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თავის განჩინებაში განმარტა შემდეგი: – საკასაციო სასამართლო სრულიად ეთანხმება სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ გადაწყვეტილების მხოლოდ აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების გასაჩივრება დაუშვებელია, რადგან მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მხარის მიერ სააპელაციო წესით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილის ან მისი რომელიმე პუნქტის გასაჩივრების შესაძლებლობას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილია გადაწყვეტილების ფორმალური (სსკ-ის 264-ე მუხლი) და მატერიალური (სსკ-ის 266-ე მუხლი) კანონიერი ძალა, რომელიც პირველ შემთხვევაში გულისხმობს მიმდინარე პროცესში დავის განხილვის დამთავრებას, ხოლო მატერიალური კანონიერი ძალა უზრუნველყოფს გადაწყვეტილების საბოლოო ხასიათსა და სავალდებულობას არა მარტო კონკრეტული პროცესისათვის, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე, მათ უფლებამონაცვლევებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე, სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი.

მითითებული ნორმის შესაბამისად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალას გააჩნია კანონით განსაზღვრული სუბიექტური და ობიექტური ფარგლები, რომელიც აზუსტებს გადაწყვეტილების მოქმედების საზღვრებს. გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება საქმის განხილვაში მონაწილე პირთა წრეზე (*სუბიექტური ფარგლები*) და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე (*ობიექტური ფარგლები*). შესაბამისად, გასაჩივრებას ექვემდებარება გადაწყვეტილება, თუ სადავოა მისი სარეზოლუციო ნაწილით და არა აღწერილობითი ან სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ფაქტი.

მართალია, ზემოთ მოყვანილ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლში პირდაპირ არ არის მითითება გადაწყვეტილების რომელიმე ნაწილის გასაჩივრების უფლებაზე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი შეზღუდვის პირდაპირ მიუთითებელობა არ ნიშნავს, რომ მხარეს გადაწყვეტილების სხვადასხვა ნაწილების ცალ-ცალკე გასაჩივრების უფლება გააჩნია.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრონციპებისა და დანაწესების ერთობლიობაში განმარტებით საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება მის სარეზოლუციო ნაწილზე, რომელიც

სარჩელზე პირდაპირ და ზუსტ პასუხს წარმოადგენს. გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ (*სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მეხუთე ნაწილი*). ამდენად, პირი, სარჩელის შეტანის გზით იცავს რა თავის უფლებას და შელახულ ინტერესებს, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება იმავდროულად იწვევს მისი პრეტენზიის აღმოფხვრას, ვინაიდან სადავოდ მიჩნეული უფლება მოდავე პირის სასარგებლოდაა დაცული და შესაბამისად, მხარის იურიდიული ინტერესიც დაკმაყოფილებული.

საკასაციო პალატის მსჯელობას ამყარებს ის გარემოებაც, რომ გადანყვეტილების აღსრულებისას აღსასრულებლად მიეცევა მხოლოდ სარეზოლუციო და არა სამოტივაციო ნაწილი, თუნდაც ეს უკანასკნელი ადგენდეს რაიმე უფლების ან ვალდებულების არსებობას (*„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლი*). სასამართლო გადანყვეტილება მართლმსაჯულების აქტია და მისი სამართლებრივი შედეგები თვით კონსტიტუციითაა რეგლამენტირებული. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისთვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. სასამართლო გადანყვეტილების სავალდებულობა დღის წესრიგში აყენებს მისი აღსრულებადობის უზრუნველყოფის საკითხს. თუ პირი, რომლის მიმართაცაა სასამართლო აქტი გამოცემული, თავისი ნებით არ შეასრულებს ამ გადანყვეტილებას, კრედიტორის განცხადების საფუძველზე, საქმეში ერთვება საამისოდ უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო— სააღსრულებო ბიურო, რომელიც უზრუნველყოფს გადანყვეტილების აღსრულებას „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ამ კანონის პირველი მუხლის მიხედვით, ეს კანონი ანესრიგებს საერთო სასამართლოების მიერ მიღებული აქტების აღსრულების წესსა და პირობებს. ამავე კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სასამართლო გადანყვეტილებაზე სააღსრულებო წარმოება არ დაიშვება სააღსრულებო ფურცლის გარეშე, რომელშიც ასახულია აღსასრულებელი გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი.

აღსანიშნავია, რომ განსახილველი ტიპის საქმეებზე არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა (*სუსგ 2009 წლის 7 სექტემბერი, საქმე ნ.ას-710-1011-09*), რომელსაც სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება სრულად შეესაბამება. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ვერძო საჩივრის არგუმენტს, რომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილის გასაჩივრება დასაშვებია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის შესაბამისად.

მითითებული ნორმის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც გამოტანილია საქმის პირველ ინსტანციაში განხილვასთან დაკავშირებით და რომლებიც წინ უსწრებს სასამართლო გადაწყვეტილებების გამოტანას იმისაგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა.

კანონის აღნიშნული დანაწესი განსაზღვრავს იმ განჩინებების გასაჩივრების წესს, რომლებიც სასამართლომ საქმეზე არსებითად განხილვის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებებამდე გამოიტანა. იგულისხმება ისეთი შუალედური განჩინებები, რომელთა გასაჩივრება კერძო საჩივრის შეტანით დაუშვებელია.

- **განსახილველ შემთხვევაში, სს „მრწვერკინიგზამ“ სააპელაციო წესით გაასაჩივრა არა ზემოთ მითითებული სახის განჩინება, არამედ საქმეზე არსებითად მიღებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის დებულება, რაზეც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მესამე ნაწილის მოქმედება ვერ გავრცელდება.**

2015 წლის 30 სექტემბერს, მოსამართლე მაია ბაქრაძის სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ამოწურვის გამო, საქმე ახალი მოსამართლის განსაზღვრის მიზნით გაეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის სექტორს³⁷. საქმის განმხილველ მოსამართლედ დადგინდა ლილი ტყემალაძე. 2016 წლის 15 მარტის ლილი ტყემალაძის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, მოსამართლის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე და საქმეთა განხილვის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, მათ შორის ს.ს. „მრწვერკინიგზის“ საქმის გადაცემა მოხდა სასამართლოს სხვა შემადგენლობისთვის. საქმის განმხილველ შემადგენლობად დადგინდა: ლევან გვარამია (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ეკატერინე ცისკარიძე, ლილი ტყემალაძე (შემდეგში – დიანა ბერეკაშვილი), თუმცა საბოლოოდ, კვლავ შეიცვალა შემადგენლობა და საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება (განჩინება) მიიღო: ლევან გვარამიამ (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ხათუნა არევაძემ და ლილი ტყემალაძემ.

2016 წლის 3 ნოემბრის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით, ს.ს. მრწვერკინიგზის“, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივრები, არ დაკმაყოფილდა. უცვლელ-

³⁷ 2015 წლის 30 სექტემბრის თბილისის სააპელაციო სასამართლოს წერილი სამოქალაქო საქმეთა პალატის სექტორს.

ლი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატის დასკვნებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად გაამახვილა ყურადღება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლის განმარტებაზე იმის შესახებ, რომ უძრავი ქონების ნაწილზე საკუთრების უფლების მიტოვების მოტივი შესაძლოა ყოფილიყო ჩადენილი სისხლისამართლებრივი დანაშაულის გამოსწორება. პალატა შენიშნავს, რომ სისხლის სამართლის საქმეზე, რომლის ფარგლებშიც მოწმის სახით იქნა დაკითხული ჯუმბერ შენგელია, რაიმე სახის სამართლებრივი შედეგი არ დამდაგარა. სისხლის სამართლის საქმეზე რაიმე სახის საგამოძიებო მოქმედება სახელმწიფოს ქონების უკანონოდ დაუფლების ფაქტის და შესაძლო დანაშაულის ჩამდენ პირთა გამოვლენის მიზნით, არ განხორციელებულა. შესაბამისად, არ დადგენილა სახელმწიფოსთვის ზიანის მიყენების ფაქტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა იზიარებს იმ პოზიციას, რომ სახელმწიფოსათვის ქონების უსასყიდლოდ გადაცემა, რომელიც დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებას ემსახურება, მაღალი ალაბთობით, ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგს არ წარმოადგენდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 3 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ. განჩინება საკასაციო წესით არ გაუსაჩივრებია ს.ს. „მრეწვერკინიგზას“. სააქციო საზოგადოების მხრიდან წარდგენილ იქნა მხოლოდ შესაგებელი საკასაციო საჩივრებზე.

2017 წლის 17 თებერვლის საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივრები დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო³⁸.

³⁸ 2017 წლის 17 ივნისის საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე: #ას-1184-1145-2016, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივრების განუხილველად დატოვების შესახებ. მოსამართლე: მურაბ ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ბესარიონ ალავიძე, ნინო ბაქაძე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინების სამართლებრივი მსჯელობა და არგუმენტაცია დაეფუძნა შემდეგ გარემოებებსა და მითითებებს:

სამოქალაქო დავის გადაწყვეტის ორიენტირი არის საქმის კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები და არა ზოგადად კანონის მხოლოდ აბსტრაქტული შემადგენლობა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქმეზე დადგენილია დავის ფაქტობრივი გარემოებები, ადგილი აქვს ნორმის შემადგენლობის ნიშნების მისადაგებას დადგენილად ცნობილ ფაქტობრივ გარემოებებთან. მოცემულ შემთხვევაში, სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მოსარჩელე მასზე განხორციელებულ ზემოქმედებაზე აპელირებდა, რასაც სახელმწიფოს სასარგებლოდ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დათმობის მოტივად მიიჩნევდა.

ერთ-ერთ საქმეში საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „ცხადია მოსარჩელისა და მისი ოჯახის წევრების სისხლის სამართლის საქმეში პასუხისგებაში მიცემის ეტაპზე, მოსარჩელის მიერ, მის საკუთრებაში არსებული მანქანის სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის სესახებ, გარეგნულად გამოვლენილი ნება არ ასახავდა ნების გამოვლენის ნამდვილ, შინაგან, მოტივირებულ ნებას, რის გამოც იგი ერთმნიშვნელოვნად, ნაკლის მქონედ უნდა იქნეს მიჩნეული. სასამართლოს ეს მოსაზრება გამყარებულია იმ მოსალოდნელი შედეგით, რაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა მოსარჩელისა და მისი ოჯახის წევრების მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმის მსვლელობას და შეიძლებოდა მოტივირებული ყოფილიყო მოსალოდნელი პასუხისგმებლობისგან საკუთარი ოჯახის წევრების დაღწევისა ან სასჯელის შემსუბუქების მცდელობად. დასკვანს ამყარებს ისიც, რომ მანქანას სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შემდეგ, 2014 წლის 11 თებერვლის განაჩენით მოსარჩელე და მისი ოჯახის წევრები წარდგენილ ბრალდებაში გამართლდნენ (იხ. სუსგ საქმე #ახ-15-15-2016, 01 მარტი, 2016 წელი)“.

სადავო შემთხვევაში, მესაკუთრის მიერ გამოვლენილი ნება ვერ ჩაითვლება ნამდვილად. ადგილი აქვს ნების გამოვლენის იმგვარ ნაკლს, რომელიც იწვევს მისი იურიდიული შედეგის გაბათილებას შემდეგი დასაბუთებით: საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში მართლწესრიგის არსებობას უზრუნველყოფს, როგორც კანონი, ასევე, მორალური ქცევის სტანდარტი. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ვერძო სამართლებრივ ურთიერთობაში ვერძო ავტონომიისა და თავისუფალი კონტრაქტების პრინციპი მოქმედებს, გარიგება, რომელიც საზოგადოებაში „საყოველთაოდ მიღებულ ქცევის სტანდარტს“ ეწინააღმდეგება, ამორალურ გარიგებად მიიჩნევა და ბათილობის სამართლებრივ შედეგებს უკავშირდება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის საკანონმდებლო დანაწესის მიზანს სწორედ იმგვარი გარიგებების თავიდან აცილება წარმოადგენს, რომელთაც ფორმალურად კანონსაწინააღმდეგო არ არის, თუმცა, თავისი არსით, საზოგადოებრივ მართლწესრიგს არღვევს და სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტთა თანაცხოვრებას აუარესებს, რაც შედეგობრივად, სამოქალაქო ბრუნვას აფერხებს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზოგადად, ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. კეთილსინდისიერების პრინციპი დიდწილად დაკავშირებულია მორალურ სტანდარტებთან. კეთილსინდისიერება ნიშნავს გულწრფელობას, მიუკერძოებლობას, ობიექტურობას, სამართლიანობას და სხვა.

კეთილსინდისიერების ინსტიტუტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამოქალაქო სამართლისთვის და იგი მთლიანად კერძო სამართლის უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს.

გარიგების მართლწინააღმდეგობისა და ამორალურობის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა მხარეთა ნებას ენიჭება, თუმცა აუცილებელი არ არის მხარეთა ნება თანხვედრი იყოს, ანუ გარიგების დადების ამორალური და მართლსაწინააღმდეგო მოტივი და მიზანი ორივე მხარეს ამოძრავებდა. გარიგების ამორალურად და მართლსაწინააღმდეგოდ მიჩნევის მიზნებისთვის, საკმარისია, გარიგების ერთ-ერთი მხარის არამართლზომიერი ამორალური განზრახვა.

სამართალურთიერთობის საფუძველი მორალურად ყოველთვის გამართლებული უნდა იყოს, აღნიშნული პრინციპი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი სამართალურთიერთობის არსებობისას, როდესაც ამავე ურთიერთობის მახრეებს შორის ნდობისა და კეთილსინდისიერების სტანდარტი მაღალია. პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ყველა იმ სამართალურთიერთობაში, რომელშიც სახელმწიფო მონაწილეობს, ნდობისა და კეთილსინდისიერების ხარისხი განსაკუთრებულად მაღალია. ამ შემთხვევაში, არ უნდა შეიქმნას პრობლემა კეთილსინდისიერების პრინციპის ფართოდ განმარტებასა და გამოყენებაში. გამოსავალი ამ შემთხვევაში, სტრუქტურული დისბალანსის აღდგენაში უნდა ვეძებოთ. უპირატესობა უნდა მიენიჭოს კეთილსინდისიერების ქცევის სტანდარტს, მორალს, ნდობას – ეს სწორედ ის პრიორიტეტებია, რომ-

ლებსაც განსაზღვრავს თავად მოვალეობა – დავიცვათ კერძო ავტონომიის ფარგლებში დადებული გარიგებები.

კერძო ავტონომიის ფარგლებში დადებული გარიგებების არსებობის პირობებში, დაცული უნდა იქნეს ხელშეკრულების მონაწილე სუსტი მხარის ინტერესი თავად გარიგების მიმართ და კეთილსინდისიერი შემძენის არსებობის შემთხვევაში, სოციალური თანასწორობის აღდგენისკენ სწრაფვისას არ უნდა დაგვავინწყდეს სუსტი მხარის ინტერესების დაცვა. უფრო მეტიც, მიუხედავად სამართალური თვითობის კერძოსამართლებრივი ბუნებისა, კერძო სამართლის სუბიექტების მხრიდან კონტრაჰენტი ძლიერი მხარის, სახელმწიფოს ქმედებების მიმართ კანონიერი ნდობის პრინციპი მოქმედებს. რადგანაც, ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია საჯარო წესრიგის დაცვა. „საჯარო წესრიგის“ ცნება სამოქალაქო კოდექსში მორალურ იმპერატივებთანაა დაკავშირებული.

საჯარო წესრიგი ხელს უწყობს ზნეობრივი და სამართლიანი სამოქალაქო ბრუნვის დამკვიდრებას. საჯარო წესრიგის დარღვევით ილახება არა მხოლოდ ვინმეს კერძო ინტერესები, არამედ საჯარო ინტერესები. ეს იმიტომ, რომ საჯარო წესრიგით დაცული სიკეთე საზოგადო ფასეულობისაა და მისი დარღვევა ძირს უთხრის საზოგადოების არსებობის საფუძვლებს. სსკ-ის 54-ე მუხლი ბათილად მიიჩნევს ამ წესრიგის საწინააღმდეგო გარიგებას. აქედან აშკარა ხდება, რომ სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლება შებოჭილია და გარკვეული საზოგადოებრივი ინტერესების ფარგლებშია მოქცეული. მაშასადამე, ყოფილა ურთიერთობანი, რაც არ შეიძლება იყოს მხოლოდ „კერძო ავტონომიის საქმე“.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო ბრუნვის მნიშვნელოვანი თავისებურება ის არის, რომ ყოველი მხარე იმ ტვირთის მატარებელი შეიძლება იყოს, რომლის ზიდვაც მას შეუძლია. როცა დასტურდება, რომ იგი უძღურია ზიდოს ეს ტვირთი, პასუხისმგებლობის საითხიც იხსნება.

განსახილველ შემთხვევაში, სწორედ, სახელმწიფოს ეკისრება იმისი მტკიცების ვალდებულება, რომ მასსა და ფიზიკურ პირს შორის დადებული უსასყიდლო გარიგება არ ეწინააღმდეგებოდა მორალურ იმპერატივებსა და სუსტი მხარის ინტერესებს. ამ გარემოების სამტკიცებლად კი, კასატორი (*სახელმწიფო უწყებები – ავტ*) მხოლოდ იმაზე მითითებით შემოიფარგლა, რომ სახელმწიფოს არ ეკისრებოდა იმის გამორკვევის ვალდებულება, თუ რა მოტივი გააჩნდა მოსარჩელის მიერ საკუთრების მითოვებას სახელმწიფოს სასარგებლოდ, რაც საკასაციო პალატის მოსაზრებით, ყოველგვარ სამართლებრივ დასაბუთებასაა მოკლებული. ამდენად, საკასაციო პალატას ჩამოუყალიბდა მტკიცე შინაგანი რწმენა იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელის (*ს.ს.*

„მრეწვრკინიგზა) მიერ გამოვლენილი ნება, მისი ამორალურობისა და მართლსაწინააღმდეგობის სამართლებრივი საფუძვლით, ბათილია.

საქართველოს უზენაესი სასამართლო, სახელმწიფო უწყებების არგუმენტის საპასუხოდ, რომელიც შეეხებოდა გარიგების შეცილების ხანდამშულობას (*„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი სპეციალური ხანდამშულობის ვადის გავრცელება*), ასევე, მნიშვნელოვან განმარტებას აკეთებს და აღნიშნავს, რომ *სამეთვალყურეო საბჭოს 2011 წლის 20 მაისის სხდომის ოქმის ხანდამშულობაზე მსჯელობა, არ წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან სამართლებრივად ვარგის პრეტენზიას. ვინაიდან გასაჩივრებულია სამეთვალყურეო საბჭოს 2011 წლის 20 მაისის #3 სხდომის ოქმი პირველი უძრავი ქონების 35 705 კვ.მ. – ის ნაწილში, აგრეთვე, მეორე უძრავ ქონებასა და მესამე უძრავ ქონებაზე სახელმწიფოს სასარგებლოდ საკუთრების უფლების მიტოვების შესახებ, ხოლო სადავო გარიგებათა ბათილად ცნობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა სსკ-ის 54-ე მუხლი, განსახილველ შემთხვევაში მოქმედებდა სსკ-ის ხანდამშულობის საერთო – ათწლიანი ვადა.*

2017 წლის 22 სექტემბერს, ს.ს. „მრეწვრკინიგზამ“ განცხადებით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მოითხოვა რეგისტრაციების გაუქმება, თუმცა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მხრიდან სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა, ვინაიდან აღინიშნა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომელიც მარეგისტრირებელ ორგანოში სააქციო საზოგადოების მიერ იქნა წარდგენილი, არ შეიცავდა განმარტებებს თანმდევ შედეგებზე³⁹.

2017 წლის 4 ოქტომბერს, ს.ს. „მრეწვრკინიგზამ“ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა კანონიერ ძალაში შესული 2015 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილების განმარტება. წერილში აღინიშნა: *„მარეგისტრირებელი ორგანო მოითხოვს სასამართლო განმარტებას მიღებული გადაწყვეტილების თანმდევი შედეგების შესახებ... ჩვენი აზრით, საჯარო რეესტრის თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს სურს განმარტება იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა განახორციელოს სარეგისტრაციო ცვლილებები... ჩვენი სარჩელის თავში: დავის საგანი, მივუთითებთ, რომ ჩვენი იურიდიული ინტერესი მდგომარეობს გასაჩივრებული გარიგებების ბათილობის შედეგად „მრეწვრკინიგზის“ საკუთრების უფლების აღდგენაში სრულად. მოგეხსენებათ, რომ აღიარებითი სარჩელის შემთხვევაში, მიკუთვნებითი მოთხოვნები, არ*

³⁹ 2017 წლის 26 სექტემბრის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილება #882017882273-03, გადაწყვეტილება #882017882285-03 და გადაწყვეტილება #882017882240-03.

განიხილება, რადგან სარჩელის დაკმაყოფილების თანმდევი შედეგია ყველა იმ უფლების აღდგენა, რაც ბათილი გარიგებების შედეგად ს.ს. „მრეწვრკინიგზამ“ დაკარგა. შესაბამისად, გთხოვთ განმარტოთ ხსენებული გადაწყვეტილება. კერძოდ, განსამარტავი გადაწყვეტილების დებულებებიდან გამომდინარეობს თუ არა ის, რომ ს.ს. „მრეწვრკინიგზის“ ქონებრივი უფლებები აღდგენილი უნდა იქნას სრულად, თავდაპირველ მდგომარეობაში“ (სტილი დაცულია)⁴⁰.

2017 წლის 13 ოქტომბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით, ს.ს. „მრეწვრკინიგზას“ უარი ეთქვა განცხადების დაკმაყოფილებასა და გადაწყვეტილების დაკმაყოფილებაზე. სასამართლოს განჩინებაში აღნიშნულია შემდეგი: „სარჩელის მოთხოვას წარმოადგენდა ს.ს. „მრეწვრკინიგზის“ სამთვალყურეო საბჭოს 2011 წლის 20 მაისის #3 და 2011 წლის 15 ივნისის #4 სხოდმის ოქმების, საკუთრების უფლების მიტოვების შესახებ ს.ს. „მრეწვრკინიგზის“ დირექტორის 2011 წლის 23 მაისის განცხადებების და ჯუმბერ შენგელიას მიერ 2011 წლის 16 ივნისის გაცემული ტანხმობის ბათილად ცნობა. ამდენად, წარმოდგენილი სარჩელით მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია უძრავ ქონებებზე ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის და ს.ს. „საქართველოს რკინიგზას“ საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძვლები. შესაბამისად, სასამართლოს მითითებულ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილება არ გამოუტანია“⁴¹ (სტილი დაცულია).

2017 წლის 25 ოქტომბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს 13/10/17 წლის განჩინება გადაწყვეტილების განმარტებაზე უარის თქმის შესახებ, ს.ს. „მრეწვრკინიგზის“ მიერ გასაჩივრებულ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს წესით⁴².

2017 წლის 6 ნოემბრის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით, ს.ს. „მრეწვრკინიგზის“ კერძო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული⁴³.

⁴⁰ 2017 წლის 4 ოქტომბრის ს.ს. „მრეწვრკინიგზის“ წარმომადგენლების: თემურ ტაბატაძისა და ნანა ორაგველიძის განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების განმარტების შესახებ. რეგ. #2115329.

⁴¹ 2017 წლის 13 ოქტომბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება გადაწყვეტილების განმარტებაზე უარის თქმის შესახებ, საქმეზე: #2/2669-14, მოსამართლე: სოსო ლურჯაია.

⁴² 2017 წლის 25 ოქტომბრის ს.ს. „მრეწვრკინიგზის“ კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას. რეგ. #2174015.

⁴³ 2017 წლის 6 ნოემბრის თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება ს.ს. „მრეწვრკინიგზის“ კერძო საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ, საქმეზე: #2ბ/6226-17. მოსამართლე: ქეთევან დუგლაძე.

2018 წლის 8 იანვრის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით, ს.ს. „მრენვრკინიგზის“ კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილება⁴⁴.

სასამართლოს ორი ინსტანციის განმარტებით, განსამარტი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით არ გადაწყვეტილა მასში მითითებული სამი უძრავი ქონების ა) მდებარე – თბილისი, ლილოს სამრეწველო ზონაში, მშენებლობის სამინისტროს №1 სახლმშენებელი კომბინატის ტერიტორია, უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №01.19.26.004.032, ბ) მდებარე – თბილისი, ლილოს სამრეწველო ზონაში მშენებლობის სამინისტროს მიწების საიზოლაციო სანარმოს ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონება, უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №01.19.26.004.035, გ) მდებარე – თბილისი, კაიროს ქუჩა #36, ფართი – 1 285 კვ.მ, უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №01.19.21.002.154, ს.ს. "მრენვრკინიგზა"-ს საკუთრებაში დაბრუნების საკითხი, სასამართლოს გადაწყვეტილება კი განიმარტება მხოლოდ მიღებული გადაწყვეტილების ფარგლებში, სარეზოლუციო ნაწილის შინაარსის შეუცვლელად. სასამართლოების დასკვნით, სასამართლოს 20/01/15 წლის გადაწყვეტილება არ არის მიღებული უძრავ ქონებებზე ე. თბილისის თვითმმართველი ერთეულის და ს.ს. „საქართველოს რკინიგზას“ საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძვლების კანონიერების შესახებ, იმდენად, რამდენადაც აღნიშნული არ გამხდარა დავის საგანი. შესაბამისად, სასამართლოს 20/01/15 წლის გადაწყვეტილებით, არ არის გადაწყვეტილი საკუთრების უფლების საკითხი სადაო უძრავ ქონებებზე.

2018 წლის 21 მარტს, ს.ს. „მრენვრკინიგზამ“ სარჩელით და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, ე. თბილისის თვითმმართველი ერთეულის – ე. თბილისის მერიის, ს.ს. „საქართველოს რკინიგზის“, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ. დავის საგანს უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა საკუთრებაში გადაცემა წარმოადგენდა.

⁴⁴ 2018 წლის 8 იანვრის თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება ს.ს. „მრენვრკინიგზის“ კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, საქმეზე: #2ბ/6226-17. მოსამართლე: ქეთევან დუგლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ანა გოგიშვილი, ლევან გვარამია.

2018 წლის 22 მარტის სასამართლოს განჩინებით, ს.ს. „მრენვრკინიგზას“ უარი ეთქვა სარჩელისა და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებაზე.

მოსარჩელეს უნდა დაეზუსტებია სასარჩელო მოთხოვნა და მოჰასუხეთა წრე, სარჩელიდან არ იკვეთებოდა, თუ რა მოთხოვნა არსებობდა სამინისტროსა და მარეგისტრირებელი ორგანოს მიმართ. სარჩელს უნდა დართვოდა წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. კერძოდ, სააქციო საზოგადოების ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, რომელიც დაადასტურებდა სააქციო საზოგადოების დირექტორის უფლებამოსილებას, რომელიც ხელს აწარდა ადვოკატის რწმუნებულებას. შესაბამისად, დასახელებული საფუძვლებით, სასამართლომ სარჩელი და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ განცხადება წარმოებაში არ მიიღო, რაც არ გასაჩივრებულა სააპელაციო წესით⁴⁵.

2018 წლის 15 თებერვალს, სს „მრენვრკინიგზამ“ მოჰასუხეების: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის, მესამე პირების: ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეული – ქ. თბილისის მერიისა და შპს „საქართველოს რკინიგზას“ მიმართ, სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა (*აღნიშნული სარჩელის განხილვა იხ. დამატებით გვერდზე – ავტ*). სარჩელით, ერთ-ერთ მოთხოვნას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ (მისი უფლებამონაცვლეა სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“) 2011 წლის 30 ივნისის #1-3/522 ბრძანების ბათილად ცნობა წარმოადგენს, რომლითაც დგინდება, რომ ქ. თბილისის შემოვლითი რკინიგზის განხორციელებასთან დაკავშირებით, ს.ს. „საქართველოს რკინიგზის“ კაპიტალში შეტანილ იქნა სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული ოცდაათი ერთეული, მათ შორის #01.19.21.002.154 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ს.ს. „მრენვრკინიგზიდან“ გასული 1285 კვ.მ მიწის ფართობი.

2018 წლის 15 ნოემბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით, 2011 წლის 30 ივნისის #1-3/522 ბრძანების ბათილად ცნობაზე სასარჩელო მოთხოვნა, განსახილველად გადაი-

⁴⁵ 2018 წლის 22 მარტის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინება, საქმეზე: #2/8584-18, მოსამართლე: თინა ვაშყმაძე.

გზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში და შეფასდა, როგორც სამოქალაქო სამართალწარმოების გზით გადასაწყვეტი მოთხოვნა⁴⁶.

სასამართლოს განმარტებით, 1997 წლის 29 მაისის რედაქციით მოქმედი „სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი იყო, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აფუძნებდა სააქციო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს ან/და არაკომერციულ იურიდიულ პირებს სახელმწიფო ქონების ბაზაზე. სსიპ სანარმოთა მართვის სააგენტო, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს თანხმობით, იღებდა გადაწყვეტილებას მის მართვაში არსებული სანარმოს საწესდებო ვაპიტალში სახელმწიფო ქონების შეტანის შესახებ. ამდენად, სასამართლოს დასაბუთებით, სსიპ სანარმოთა მართვის სააგენტო, სადავო ბრძანების მიღების დროს, ახორციელებდა სახელმწიფოს, როგორც ს.ს. „საქართველოს რკინიგზის“ 100%-იანი წილის მფლობელი პარტნიორის უფლებამოსილებას და სააგენტოს მიერ მიღებული ბრძანება, მისი სახელწოდების მიუხედავად, წარმოადგენდა სანარმოს პარტნიორის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და მისი კანონიერება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონთან მიმართებით, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა განხილულიყო.

2019 წლის 31 ოქტომბრის სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე, ს.ს. „მრეწვერკინიგზის“ შუამდგომლობა, *საერთო სასამართლოებში, ადმინისტრაციული წესით მიმდინარე დავის დასრულებამდე*, საქმისწარმოების შეჩერების შესახებ, დაკმაყოფილდა⁴⁷. აღნიშნულ საქმეზე საქმისწარმოება შეჩერებულია ამჟამადაც.

სასამართლომ, ამავე სხდომაზე არ დააკმაყოფილა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლის შუამდგომლობა სარჩელის განუხილველად დატოვების თაობაზე⁴⁸. სახელმწიფოს წარმომადგენელი მიუთითებდა, რომ ს.ს. „მრეწვერკინიგზა“ ვალდებული იყო

⁴⁶ 2018 წლის 15 ნოემბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინება, საქმეზე: #3/923-18, საქმის განსჯად სასამართლოში გადაგზავნის შესახებ, მოსამართლე: ლეილა გოგიშვილი.

⁴⁷ 2019 წლის 31 ოქტომბრის სასამართლოს მოსამზადებელი სხდომის ოქმი, საქმეზე: #2/34313-18, მოსამართლე: თინა ვაშაყმაძე.

⁴⁸ 2019 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი იურისტ ნინო ხაჭაპურიძის შუამდგომლობა, საქმეზე: #2/34313-18.

განსჯად სასამართლოში საქმის გადაგზავნის შემდგომ, კანონით დადგენილი წესით, სარჩელი მოპასუხისთვის ჩაებარებინა, რაც არ იქნა გაზიარებული იმ საფუძვლით, რომ სასარჩელო მოთხოვნა წარმოადგენდა თავდაპირველი ადმინისტრაციული სარჩელით ერთ მთლიან მოთხოვნას, მხარეს კი ადმინისტრაციული სარჩელი თანდართული მასალებით ჩაბარებული ჰქონდა და მოთხოვნის სამოქალაქო სამართალწარმოების გზით განხილვის მიუხედავად, სარჩელის ხელთავეიდან ჩაბარებას აღარ საჭიროებდა.

3.2 სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება

2014 წლის 20 თებერვლის სამოქალაქო სარჩელით მოთხოვნილ იქნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება. სააქციო საზოგადოებამ მოითხოვა ყადაღა დადებოდა ს/კ #01.19.26.004.035-ით რეგისტრირებულ 6448.00 კვ.მ მიწის ფართობს, რომელიც რეგისტრირებული გახლდათ მოპასუხე: ქ. თბილისის თვითმმართველ ერთეულზე – მერიაზე, ს/კ #01.19.26.004.032-ით რეგისტრირებულ 10705.00 კვ.მ მიწის ფართობს, რომელიც რეგისტრირებული გახლდათ მოპასუხე: ქ. თბილისის თვითმმართველ ერთეულზე – მერიაზე, ს/კ #01.19.21.002.154-ით რეგისტრირებულ 1285 კვ.მ მიწის ფართობს, რომელიც რეგისტრირებული გახლდათ მოპასუხე: შპს „საქართველოს რკინიგზის“ საკუთრებად და ს/კ 01.19.21.002.153-ით სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრირებულ 34420 კვ.მ მიწის ფართობს და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობებს, რომელიც რეგისტრირებული გახლდათ მოპასუხე: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკუთრებად⁴⁹.

2014 წლის 21 თებერვლის თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, შეამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა⁵⁰. სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილებულიყო შემდეგი გარემოებების გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

⁴⁹ ს.ს. „მრეწველ რკინიგზის“ 2014 წლის 20 თებერვლის სარჩელი. გვ. 9-10.

⁵⁰ 2014 წლის 21 თებერვლის თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება, საქმეზე: #2/2669-14, მოსამართლე: სოსო ღურნაკია.

აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას, თუ მას მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებების შეფასების შედეგად გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.

სარჩელის უზრუნველყოფის წინაპირობას წარმოადგენს საფუძვლიანი ეჭვი იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილება აღუსრულებელი დარჩება ან მნიშვნელოვანწილად გაძნელებდა აღსრულებას უზრუნველყოფის ღონისძიების გარეშე. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ დარღვეულ უფლებასა თუ კანონიერ ინტერესზე აპელირება, არ წარმოადგენს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველს. სარჩელის უზრუნველყოფის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინამძღვრები გადაწყვეტილების აღუსრულებლობის ან მისი აღსრულების გაძნელების დასაბუთებაში უნდა მდგომარეობდეს. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე განცხადება საჭიროებს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებით დასაბუთებას, რომელიც დაარწმუნებს სასამართლოს, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროებაში.

სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელე განმარტავდა, რომ შესაძლებელია განხორციელდეს ყადაღადასადები უძრავი ქონების რეალიზაცია, რაც გააძნელებდა ან შეუძლებელს გახდიდა ს.ს „მრეწველური“ სასარგებლოდ მისაღები გადაწყვეტილების აღსრულებას. სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმებისა და დირექტორის უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვების შესახებ განცხადების ბათილად ცნობა. შესაბამისად, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებაზე:

ა) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2011 წლის 08 დეკემბრის ბრძანების საფუძველზე, უძრავი ქონება: ა) მდებარე – თბილისი, ლილოს სამრეწველო ზონაში, მშენებლობის სამინისტროს #1 სახლმშენებელი კომბინატის ტერიტორია, უძრავი ქონების საკადასტრო კოდი #01.19.26.004.032; ბ) მდებარე – თბილისი, ლილოს სამრეწველო ზონაში, მშენებლობის სამინისტროს მიღების საიზოლაციო საწარმოს ტერიტორიაზე, უძრავი ქონების საკადასტრო კოდი #01.19.26.004.035, აღირიცხა ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად; გ) უძრავი ქონება, მდებარე – თბილისი, ვაიროს ქ. #36, ფართი – 1285 კვ.მ., უძრავი ქონების საკადასტრო კოდი #01.19.21.002.154 იურიდიული პირის საწესდებო

ვაპიტალში შეტანის საფუძველზე, აღირიცხა „საქართველოს რკინიგზის“ საკუთრებად.

ბ) უძრავი ქონების ამჟამინდელი მესაკუთრეების საკუთრების უფლების წარმოშობის უშუალო საფუძველს არ წარმოადგენდა ს.ს. „მრეწველრკინიგზას“ მიერ სადაოდ გამხდარი გარიგებები. შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილება და სადაოდ გამხდარი გარიგებების ბათილად ცნობა, არ გამოიწვევდა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას ანუ ქონება, მხოლოდ სადაოდ გამხდარი გარიგებების ბათილად ცნობის საფუძველზე, არ დაუბრუნდება სს „მრეწველრკინიგზას“ საკუთრებაში. ქონების საკუთრებაში დაბრუნებისთვის საჭირო იქნებოდა სხვა სასამართლო დავა. ამდენად, მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიზანი, შეიძლება ყოფილიყო, არა მოცემულ საქმეზე მისაღები გადაწყვეტილების, არამედ სხვა სასამართლო დავის დროს მისაღები გადაწყვეტილების აღსრულება.

გ) მოსარჩელე არ მიუთითებდა ყადაღადასადებ უძრავ ქონებაზე აუქციონის დანიშვნის ან პირდაპირი მიყიდვის ფორმით მთავრობის ან საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი გადაწყვეტილების არსებობის თაობაზე. შესაბამისად, მოთხოვნა ჩაითვალა უსაფუძვლოდ.

2014 წლის 28 თებერვალს, თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ, გასაჩივრდა განჩინების მიმღები სასამართლოს მეშვეობით⁵¹.

2014 წლის 5 მარტის თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, საჩივარი სასამართლოს 21/02/14 განჩინების გაუქმების მოთხოვნით, მიღებულ იქნა წარმოებაში⁵²

2014 წლის 17 მარტის თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიღო განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და საჩივრის საქმის მასალებთან ერთად ზემდგომ სასამართლოში გადაგზავნის შესახებ.⁵³

2014 წლის 16 მაისის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით, ს.ს. „მრეწველრკინიგზის“ საჩივარი დაკმაყოფილებაშია.

⁵¹ ს.ს. „მრეწველრკინიგზის“ 2014 წლის 28 თებერვლის საჩივარი.

⁵² 2014 წლის 5 მარტის თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება, საქმეზე: #2/2669-14, მოსამართლე: სოსო ლურნუაია.

⁵³ 2014 წლის 17 მარტის თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება, საქმეზე: #2/2669-14, მოსამართლე: სოსო ლურნუაია.

ფილდა ნანილობრივ⁵⁴. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 21 თებერვლის განჩინება სახელმწიფოს (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს) საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის მდებარე ქ. თბილისი, ქაიროს ქუჩა #36, ს/კ #01.19.21.002.153, 34420 კვ.მ წილზე ყადაღის დადებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი განჩინება.

ყადაღა დაედო სახელმწიფოს (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს) სახელზე რიცხულ წილ 34420 კვ.მ-ს უძრავ ნივთში მდებარე: ქ. თბილისი, ქაიროს ქუჩა #36, ს/კ #01.19.21.002.153.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ განჩინებაში ნათქვამია, რომ პალატა ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებას იმ უძრავ ნივთებთან მიმართებაში, რომლებიც მოპასუხეს არ ეკუთვნის. რას შეეხება პირველი ინსტანციის სასამართლოს 2014 წლის 21 თებერვლის განჩინებას – სახელმწიფოს წილზე – 34420 კვ.მ – ზე უზრუნველყოფის გამოყენებაზე უარის თქმის ნაწილში, პალატამ მიიჩნია, რომ ამ ნაწილში განჩინება უნდა გაუქმებულიყო. მსჯელობა დაეფუძნა შემდეგ არგუმენტაციას:

ა) პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ უძრავ ქონებაზე, რომლის მესაკუთრეებსაც წარმოადგენდნენ მოპასუხე – სახელმწიფო (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო) და მოსარჩელე ს.ს „მრეწვერკინიგზა“. კერძოდ, საქმეში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერი დგინდება, რომ უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისი, ქაიროს ქუჩა #36, საკადასტრო კოდი: #01.19.21.002.153 არის ს.ს. „მრეწვერკინიგზისა“ და სახელმწიფოს თანასაკუთრება. მოცემულ უძრავ ქონებაზე ნილობრივი მონაცემები განსაზღვრულია შემდეგნაირად: 1. ს.ს. „მრეწვერკინიგზა“ 12201 კვ.მ და 2. სახელმწიფო – 34420. სასამართლომ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ ყველა მოთხოვნილი დასაყადაღებელი ქონება ერთ რეჟიმში მოაქცია და ისე მიიღო განჩინება (უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის თაობაზე), მაშინ, როცა ამ ნივთებიდან ერთ-ერთის წილის მესაკუთრეს წარმოადგენდა მოპასუხე სახელმწიფო (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო).

ბ) სასამართლოს განმარტებით, სარჩელის უზრუნველყოფის მიზანია მომავალში სარჩელის შესაძლო დაკმაყოფილების თაობაზე მიღებული გადაწყვე-

⁵⁴ 2014 წლის 16 მაისის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება, საქმეზე: #2ბ/1819-14. მოსამართლეები: ირაკლი ადვიშვილი (თავმჯდომარე), თინათინ უცადაშვილი, გოდერძი გიორგიშვილი.

ტილების აღსრულებისთვის მოსალოდნელი დაბრკოლების თვიდან აცილება, ს.ს „მრეწვერკინიგზა“ კი ითხოვდა 2011 წლის 23 მაისის განცხადებების (*უძრავ ნივთებზე საკუთრების მიტოვების შესახებ*), ასევე სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმების ბათილად ცნობას. მოცემული განცხადებების და ოქმების ბათილად ცნობის მოთხოვნა მიმართულია იყო მატერიალური უფლების აღდგენაში, რაც მოსარჩელეს უძრავ ნივთებზე საკუთრების მიტოვებამდე ჰქონდა. მოსარჩელე ითხოვდა რამოდენიმე უძრავ ნივთებზე პირვანდელი მდგომარების აღდგენას, რაც თავის მხრივ დავის საგანს მიკუთვნებით ხასიათს ანიჭებდა. აქედან გამომდინარე, თუ სარჩელი დაკმაყოფილდებოდა, იმ უძრავი ქონების ნაწილში, რომლის 34420 კვ.მ-ს მესაკუთრეს სახელმწიფო წარმოადგენდა, ხოლო მიღებული გადაწყვეტილების მომენტისთვის, მოჰასუხე ამ წილს გაასხვისებდა ან უფლებრივად დატვირთავდა, გადაწყვეტილება ვერ აღსრულდება ან მისი აღსრულება გაძნელდებოდა.

გ) სასამართლო ვერ გაიზიარებდა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს არგუმენტს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის დასაბუთების დროს, რიდესაც მითითებები გაკეთდა უძრავი ქონებების გასხვისების კანონით გათვალისწინებულ წესთან და პროცედურულ ნაწილთან (*თბილისის საქალაქო სასამართლოს მითითება „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლთან მიმართებით*). მართალია, კანონის მე-18 მუხლი აწესრიგებს და განსაზღვრავს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისების წესს, მიუთითებს გარკვეულ პროცედურებზე, თუმცა პალატის მოსაზრებით, ეს გარემოება არ წარმოადგენს იმ საკმარისს არგუმენტს, რომელითაც გადაფარული იქნება მოსარჩელის ინტერესების დაცვა. ამდენად, ვინაიდან განსახილველი დავის ხასიათიდან გამომდინარე, სამომავლოდ მას სჭირდება დაცვა, სააპელაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილებულიყო და დაყადაღებულიყო სახელმწიფოს (*საქართველოს ეონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს*) სახელზე რიცხული წილი – საკადასტრო კოდი #01.19.21.002.153 ქვეშ 34420 კვ.მ უძრავ ნივთში.

3.3. ადმინისტრაციული სარჩელი 2018-2020 წლებში

2018 წლის 15 თებერვალს, სს „მრეწვერკინიგზამ“ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას⁵⁵ მოპასუხეების: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის, მესამე პირების: ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეული – ქ. თბილისის მერიისა და შპს „საქართველოს რკინიგზას“ მიმართ, დავის საგანზე: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალეზა.

ს.ს. „მრეწვერკინიგზამ“ უძრავ ქონებებზე საკუთრების უფლების აღდგენის იურიდიული მიზანი იმ ადმინისტრაციული აქტების გაუქმების საფუძველზე დაისახა, რომელიც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, შემდგომ კი მარეგისტრირებელმა ორგანომ – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მიიღო. ამასთან, მხარემ სადავო გახადა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის კანონიერ ძალაში შესული 2015 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილების შემდგომ მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლითაც ს.ს. „მრეწვერკინიგზას“ უარი ეთქვა უძრავ ქონებებზე საკუთრების უფლების აღდგენის მოთხოვნასა და საქმისწარმოების შეწყვეტაზე.

შესაბამისად, *თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში გასაჩივრებული აქტების დასახელება და შინაარსი შემდგენიერად ჩამოყალიბდა:*

1. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2011 წლის 02 დეკემბრის №05/28253 მიმართვა №01.19.26.004.032 და №01.19.26.004.035 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონებების ნაწილში *(სახელმწიფო მოითხოვდა უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობას)*
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2011 წლის 08 დეკემბრის №1-1/2588 ბრძანება *(სახელმწიფომ უძრავი ქონება დამატებითი ქონების სახით გადასცა თვითმმართველ ქალაქ თბილისს).*

⁵⁵ 2018 წლის 15 თებერვლის ს.ს. „მრეწვერკინიგზის“ ადმინისტრაციული სარჩელი. რეგ. #2307203.

3. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2011 წლის 10 მაისის №05/9230 მიმართვა *(სახელმწიფო მოთხოვნა უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობას)*
4. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2011 წლის 21 ივნისის №05/12833 მიმართვა *(სახელმწიფოს მოთხოვნა ქ. თბილისში, კაიროს ქ. #36-ში მდებარე თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის გამიჯვნაზე)*
5. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 05 დეკემბრის №882011587513-03 გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ *(უძრავ ქონებაზე სახელმწიფოს საკუთრების უფლების დარეგისტრირება)*
6. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 29 დეკემბრის №882011631812-03 გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ *(უძრავ ქონებაზე სახელმწიფოს საკუთრების უფლების დარეგისტრირება)*
7. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 05 დეკემბრის №882011587511-03 გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ *(უძრავ ქონებაზე სახელმწიფოს საკუთრების უფლების დარეგისტრირება)*
8. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 03 ივნისის №882011264218 -03 გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ *(უძრავ ქონებაზე სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნა)*
9. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 22 ივნისის №882011294211-05 გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ *(უძრავი ნივთის გამიჯვნის მოთხოვნის დაკმაყოფილება)*
10. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 01 ივლისის №882011316410-03 გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ *(„საჯარ-*

თველოს რკინიგზის“ მიერ უძრავი ქონების სანესდებო კაპიტალში ასახვის გადანაცვტილება)

11. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 25 სექტემბრის №882017882240 -03 გადანაცვტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ *(სარეგისტრაციო წარმოების შეჩერება სასამართლოს გადანაცვტილების თანმდევი პროცესის მიითითებების არარსებობის გამო)*
12. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 25 სექტემბრის №882017882285 -03 გადანაცვტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ *(სარეგისტრაციო წარმოების შეჩერება სასამართლოს გადანაცვტილების თანმდევი პროცესის მიითითებების არარსებობის გამო)*
13. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 26 სექტემბრის №882017882273 -03 გადანაცვტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ *(სარეგისტრაციო წარმოების შეჩერება სასამართლოს გადანაცვტილების თანმდევი პროცესის მიითითებების არარსებობის გამო)*
14. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 28 ნოემბრის №502540 გადანაცვტილება ადმინისტრაციული საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ *(სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ ახალი გადანაცვტილების მიღების დავალების გამო)*
15. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 17 იანვრის №30289 გადანაცვტილება ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ *(სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტა უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისთვის სათანადო სასამართლო გადანაცვტილების წარმოუდგენლობის გამო)*
16. დაევალოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტი ლილოს სამრეწველო ზონის №1 სახლმშენებელი კომბინატის ტერიტორიაზე მდებარე №01.19.26.004.032 საკადასტრო კოდის და 10705 კვ.მ ფართობის მქონე უძრავი ნივთის სს „მრეწვრკინიგზის“ საკუთრებად რეგისტრაციის თაობაზე;

17. დაევალოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტი ლილოს სამრეწველო ზონის მიწების საიზოლაციო სანარმოს ტერიტორიაზე მდებარე №01.19.26.004.035 საკადასტრო კოდის და 6448 კვ.მ ფართობის მქონე უძრავი ნივთის სს „მრეწვრკინიგზის“ საკუთრებად რეგისტრაციის თაობაზე;
18. დაევალოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტი ქ. თბილისში, ვაიროს ქუჩა №36-ში მდებარე №01.19.21.002.153 საკადასტრო კოდის და 46621 კვ.მ ფართობის მქონე უძრავი ნივთიდან სახელმწიფო საკუთრებად რიცხული 34420 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა – ნაგებობების სს „მრეწვრკინიგზის“ საკუთრებად რეგისტრაციის თაობაზე.
19. დაევალოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტი ქ. თბილისში, ვაიროს ქუჩა №36-ში მდებარე №01.19.21.002.154 საკადასტრო კოდის და 1285 კვ.მ ფართობის მქონე უძრავი ნივთის სს „მრეწვრკინიგზის“ საკუთრებად რეგისტრაციის თაობაზე.

ს.ს. „მრეწვრკინიგზას“ ადმინისტრაციული სარჩელი მოპასუხეებმა: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტომ, არ ცნეს დაუსაბუთებლობისა და უსაფუძვლობის გამო, ხოლო ს.ს. „საქართველოს რკინიგზას“ წერილობითი ფორმით შესაგებელი არ წარმოდგენილა. სასამართლო სხდომაზე მესამე პირის წარმომადგენელმა სარჩელს მხარი არ დაუჭირა.

2019 წლის 11 იანვრის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, ს.ს. „მრეწვრკინიგზის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა⁵⁶.

სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება, არგუმენტი და მსჯელობა ეფუძნება „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის,

⁵⁶ 2019 წლის 11 იანვრის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება, საქმეზე: №3/923-18. მოსამართლე: ლეილა გოგიშვილი.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის #4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ იმ დებულებებსა და ნორმატიულ შინაარსს, რომლის თანახმადაც, სახელმწიფოს უნდა ემოქმედა მის სასარგებლოდ მიტოვებული უძრავი ქონებების საკუთრებაში ასახვაზე და გააჩნდა სრული უფლებამოსილება, მოეხდინა მიღებული უძრავი ქონების შემდგომი განკარგვა. რაც შეეხება ს.ს. „მრეწველნიკობას“ მოთხოვნას სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2017 წელს გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობაზე, სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარემ ვერ შეძლო კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილების შემდგომ უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების აღდგენისთვის ვარგისი მტკიცებულებების წარმოდგენა და მარეგისტრირებელი ორგანოს მხრიდან განცხადებებსა და საჩივარზე უარი, განაპირობა აღნიშნულმა გარემოებებმა.

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 1.1 მუხლის თანახმად, ეს კანონი აწესრიგებს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვასთან, განკარგვასა და სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. ამავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ქონების მართვასა და განკარგვას ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქონება არის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი და უძრავი ნივთები, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე. ამავე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქონების განკარგვა ნიშნავს სახელმწიფო ქონების თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში გადაცემა, პრივატიზება, მართვის უფლებით გადაცემა, რეალიზაცია, ლიზინგის ფორმით გაცემა, განაწილება და განადგურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სასამართლო, ასევე მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილებით დამტკიცებულ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულებაზე, რომლის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტო ახორციელებს ქონების, მათ შორის, უმკვიდრო/მიტოვებული უძრავი ქონების, ასევე, სახელმწიფოსათვის გადმოცემული ქონების სახელმწიფოს საკუთრებად მიღებას ან/და რეგისტრაციასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, ამავე მუხლის „ღ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, სააგენტო ახორციელებს თვითმმართველი ერთეულისათვის ქონების (ძირი-

თადი (განუსხვისებელი) და დამატებითი) საკუთრებასა და სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს.

ამდენად, სასამართლო მიიჩნევს, რომ მარეგისტრირებელმა ორგანომ წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, სახელმწიფოსა და ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის სახელზე სწორად მოახდინა №01.19.26.004.035 და №01.19.26.004.032 და №01.19.21.002.006 (რომელიც შემდგომ დაიყო №01.19.21.002.153, და №01.19.21.002.154 კოდებად) საკადასტრო კოდის მქონე უძრავი ნივთების რეგისტრაცია, ვინაიდან არ არსებობდა რეგისტრაციაზე უარის თქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი, რაც იმას ნიშნავს, რომ მითითებული რეგისტრაციის შესახებ გადაწვეტილებების ბათილად ცნობის თაობაზე მოთხოვნის ნაწილში, სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო წესით, ხოლო მკითხველი უკვე გაცნო, რომ *2019 წლიდან საქმეზე შეიცვალა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.*

2020 წლის 5 აგვისტოს, ს.ს. „მრეწვერკინიგზამ“ შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში წარდგენილი იქნა სააქციო საზოგადოების სარჩელი მოპასუხე: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ, დავის საგანზე: უძრავ ნივთზე მესაკუთრედ ცნობა, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა. შესაბამისად, მხარემ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში წარმოებული ახალი სამოქალაქო სარჩელის ფარგლებში, მასზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, შეჩერებულიყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში არსებული საქმის განხილვა⁵⁷.

2020 წლის 25 ნოემბრის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით, ს.ს. „მრეწვერკინიგზას“ შუამდგომლობა, მასში მოყვანილი ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთების ერთობლიობით, სრულად დაკმაყოფილდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში წარმოებული #2/15120-20 საქმეზე მიღებუ-

⁵⁷ 2020 წლის 5 აგვისტოს „მრეწვერკინიგზას“ წარმომადგენლის, არჩილ კაიკაციშვილის განცახდება თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ილონა თოდუას მიმართ;

ლი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, შეჩერდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში მიმდინარე საქმის #3ბ/915-19 საქმისწარმოება⁵⁸. ამასთან, აღსანიშნავია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ დააკმაყოფილა ს.ს. „მრეწვრკინიგზას“ შუამდგომლობა საქმის სამი მოსამართლის შემადგენლობით: ილონა თოდუა (თავმჯდომარე), გიორგი გოგიაშვილი, შოთა გენაძე – განხილვის მოთხოვნაზე⁵⁹.

2019 წლის 11 იანვარს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით, თავდაპირველი სარჩელით დასმულ სამ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით, საქმის წარმოების შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო⁶⁰. კერძოდ, სასამართლომ საქმისწარმოება შეწყვიტა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2011 წლის 25 მაისს მიღებულ №882011241835-03, №882011241842-03 და №882011241853-03 გადაწყვეტილებების რეგისტრაციის გაუქმებაზე, რითაც განხორციელდა №01.19.26.004.035, №01.19.26.004.032 და №01.19.21.02.006 საკადასტრო კოდის მქონე უძრავ ნივთებზე ს.ს. „მრეწვრკინიგზის“ საკუთრების უფლების მიტოვების რეგისტრაცია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 11 იანვრის განჩინება გასაჩივრდა სააპელაციო წესით.

2019 წლის 4 ივნისის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით, ს.ს. „მრეწვრკინიგზას“ კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა⁶¹, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 11/01/2019 წლის განჩინება.

საქმის განმხილველმა სასამართლოებმა განმარტეს შემდეგი: იმ პირობებში, როდესაც სასამართლო არ არის უფლებამოსილი თავად გამოაცხადოს ძალადაკარგულად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, მოსარჩელე კი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 25 მაისს მიღებულ №882011241835-03, №882011241842-

⁵⁸ 2020 წლის 25 ნოემბრის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება, საქმეზე: #3ბ/915-19

⁵⁹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები: ილონა თოდუა (თავმჯდომარე), შოთა გენაძე, გიორგი გიორგიშვილი.

⁶⁰ 2019 წლის 11 იანვრის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინება, საქმეზე: #3/923-18, საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, მოსამართლე: ლეილა გოგიშვილი.

⁶¹ 2019 წლის 4 ივნისის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება, საქმეზე: #3ბ/915-19, მოსამართლე: ილონა თოდუა.

03 და №882011241853-03 გადანყვეტილებების ძალადაკარგულად გამოცხადებას ითხოვს, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნულ ნაწილში ცალსახად არსებობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი, ამ ნაწილში სარჩელის დაუშვებლობის გამო. სასამართლომ საგულისხმოდ მიიჩნია ის გარემოებაც, რომ სასამართლომ არაერთ სხდომაზე განუმარტა მოსარჩელე მხარეს მოთხოვნის დაბუსტების თაობაზე, რაც ს.ს. „მრეწვერ-კინიგზის“ მიერ არ იქნა განხორციელებული.

4 დავა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან

2017 წლის 14 აგვისტოს, სს „მრეწვრკინიგამ“ №432493/17 განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 20 იანვრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების (საქმე №2/2669-14) საფუძველზე მოითხოვა №01.19.21.002.006, №01.19.26.004.035 და №01.19.26.004.032 საკადასტრო კოდების მქონე უძრავ ნივთებზე ცვლილებების განხორციელება. მათ საფუძველზე, 2017 წლის 22 სექტემბერს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მიიღო №882017882240, №882017882285 და №882017882273 პირობითი სარეგისტრაციო განცხადებები №01.19.21.002.006, №01.19.26.004.035 და №01.19.26.004.032 საკადასტრო კოდების მქონე უძრავ ნივთებზე რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით.

- №882017882240 სარეგისტრაციო განცხადებასთან დაკავშირებით, 2017 წლის 25 სექტემბერს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა №882017882240-03 გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, რომლითაც დაინტერესებულ პირს განემარტა, რომ მის მიერ მოთხოვნილი იყო რეგისტრაციის გაუქმება უძრავ ნივთზე, საკადასტრო კოდით №01.19.21.002.006, თუმცა, აღნიშნული საკადასტრო კოდი იყო დაყოფილი. თანდართულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2669-14, რომელიც არ შეიცავდა ინფორმაციას გადაწყვეტილების თანმდევი შედეგების შესახებ, რადგანაც გადაწყვეტილების მიხედვით მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, ბათილად იქნა ცნობილი საკუთრების უფლების მიტოვების რეგისტრაცია და არ დაკმაყოფილდა დაყოფის რეგისტრაციის ბათილად ცნობის მოთხოვნა. დაინტერესებულ პირს ასევე განემარტა, რომ 30 კალენდარული დღის ვადაში წარსადგენი იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს განმარტება №01.19.21.002.006 საკადასტრო კოდის მქონე უძრავი ნივთის შესახებ და მის თანმდევ შედეგებზე.
- №882017882285 სარეგისტრაციო განცხადებასთან დაკავშირებით 2017 წლის 25 სექტემბერს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა №882017882285-03 გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, რომლითაც დაინტერესებულ პირს განემარტა, რომ მის მიერ მოთხოვნილი იყო რეგისტრაციის გაუქმება უძრავ ნივთზე, საკადასტრო კოდით №01.19.26.004.035, თუმცა, თანდართულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2669-14, რომელიც არ შეიცავდა ინფორმა-

ციას გადაწყვეტილების თანმდევი შედეგების შესახებ, რადგანაც გადაწყვეტილების მიხედვით მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, ბათილად იქნა ცნობილი საკუთრების უფლების მიტოვების რეგისტრაცია. დაინტერესებულ პირს ასევე განემარტა, რომ 30 კალენდარული დღის ვადაში წარსადგენი იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს განმარტება №01.19.26.004.035 საკადასტრო კოდის მქონე უძრავი ნივთის შესახებ და მის თანმდევ შედეგებზე, რადგან საკუთრების მიტოვების შემდეგ სახელწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ განკარგულ იქნა ზემოაღნიშნული უძრავი ნივთი ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის სასარგებლოდ.

- №882017882273 სარეგისტრაციო განცხადებასთან დაკავშირებით 2017 წლის 25 სექტემბერს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა №882017882273-03 გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, რომლითაც დაინტერესებულ პირს განემარტა, რომ მის მიერ მოთხოვნილი იყო რეგისტრაციის გაუქმება უძრავ ნივთზე, საკადასტრო კოდით №01.19.26.004.032, თუმცა, თანდართულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2669-14, რომელიც არ შეიცავდა ინფორმაციას გადაწყვეტილების თანმდევი შედეგების შესახებ, რადგანაც გადაწყვეტილების მიხედვით მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, ბათილად იქნა ცნობილი საკუთრების უფლების მიტოვების რეგისტრაცია. დაინტერესებულ პირს ასევე განემარტა, რომ 30 კალენდარული დღის ვადაში წარსადგენი იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს განმარტება №01.19.26.004.032 საკადასტრო კოდის მქონე უძრავი ნივთის შესახებ და მის თანმდევ შედეგებზე, რადგან საკუთრების მიტოვების შემდეგ სახელწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ განკარგულ იქნა ზემოაღნიშნული უძრავი ნივთი ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის სასარგებლოდ.

2017 წლის 04 ოქტომბერს, ს.ს „მრეწვერკინიგამ“ №542590/17 ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 25 სექტემბრის №882017882240-03, 2017 წლის 25 სექტემბრის №882017882285-03 და 2017 წლის 26 სექტემბრის №882017882273-03 გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა.

- *სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №882017882240-04 გადაწყვეტილებით*, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში დაინტერესებული პირის მიერ შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტის/ინფორმაციის წარუდგენ-

ლობის გამო, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ.

- *სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 27 ოქტომბრის №882017882285-04 გადაწყვეტილებით*, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში დაინტერესებული პირის მიერ შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტის/ინფორმაციის წარუდგენლობის გამო, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ.
- *სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 31 ოქტომბრის №882017882273-04 გადაწყვეტილებით*, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში დაინტერესებული პირის მიერ შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტის/ინფორმაციის წარუდგენლობის გამო, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ.

2017 წლის 28 ნოემბრის №502540 სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით, ს.ს „მრეწვერკინიგზას“ 2017 წლის 04 ოქტომბრის №542590/17 ადმინისტრაციული საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ბათილად იქნა ცნობილი სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურის 2017 წლის 25 სექტემბრის №882017882240-03, 2017 წლის 25 სექტემბრის №882017882285-03, 2017 წლის 26 სექტემბრის №882017882273-03 გადაწყვეტილებები და სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ 2017 წლის 30 ოქტომბრის №882017882240-04, 2017 წლის 27 ოქტომბრის №882017882285-04 და 2017 წლის 31 ოქტომბრის №882017882273-04 გადაწყვეტილებები და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურს დაევალა №882017882240, №882017882285 და №882017882273 სარეგისტრაციო განცხადებებთან დაკავშირებით მიმდინარე სარეგისტრაციო წარმოებების განახლება და წინამდებარე გადაწყვეტილების 4.2.13 პუნქტის გათვალისწინებით, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ ახალი გადაწყვეტილებები მიღება.

2017 წლის 28 ნოემბრის №502540 სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილების საფუძველზე, 2017 წლის 29 ნოემბერს მიღებულ იქნა №882017882273-05 გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების განახლების შესახებ და №882017882273-06 გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, რომლითაც დაინტერესებულ პირს განემარტა, რომ მის მიერ მოთხოვნილი იყო რეგისტრაციის გაუქმება უძრავ ნივთზე, საკადასტრო კოდით №01.19.26.004.032, თუმცა, თანდართულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2669-14, რომელიც არ შეიცავდა ინფორმაციას გადაწყვეტილების თანმდევი შედეგების შესახებ, რადგანაც გადაწყვეტილების მიხედვით მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ვერძოდ, ბათილად იქნა ცნობილი საკუთრების უფლების მიტოვების რეგისტრაცია. ამასთან, საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად, სს „მრეწვერკინიგზის“ საკუთრების მიტოვების შემდეგ, სახელწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ განკარგულ იქნა ზემოაღნიშნული უძრავი ნივთი ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის სასარგებლოდ. დაინტერესებულ პირს ასევე განემარტა, რომ 30 კალენდარული დღის ვადაში წარსადგენი იყო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად ან ძალადაკარგულად იქნებოდა ცნობილი №01.19.26.004.032 საკადასტრო კოდის მქონე უძრავ ნივთზე ს.ს „მრეწვერკინიგზას“ საკუთრების უფლების მიტოვების რეგისტრაციის შემდეგ განხორციელებული რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებები.

2017 წლის 27 დეკემბერს, სს „მრეწვერკინიგზამ“ №727593/17 ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 29 ნოემბრის №882017882273-06 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

2018 წლის 04 იანვრის №882017882273-07 საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში დაინტერესებული პირის მიერ შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტის/ინფორმაციის წარუდგენლობის გამო, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ.

2018 წლის 17 იანვრის №30289 სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით, ს.ს „მრეწვერკინიგზას“ 27/12/17 წლის №727593/17 ადმინისტრაციული საჩივარი, არ დაკმაყოფილდა.

5 აღიარებითი სარჩელი: სამართალწარმოება 2020

2020 წლის 30 ივლისს, ს.ს. „მრწვერკინიგზამ“ აღიარებითი სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ და მოითხოვა უძრავ ნივთზე მესაკუთრედ აღიარება და უძრავი ნივთის გამოთხოვა. სასარჩელო მოთხოვნები ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

– აღიარებულ იქნეს ს.ს. "მრწვერკინიგზას" საკუთრების უფლება თბილისში, ლილოს სამრეწველო ზონაში მშენებლობის სამინისტროს მიწების საიზოლაციო საწარმოს ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე, საკადასტრო კოდით: №01.19.26.004.035, ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 6448.00კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: 4;

– აღიარებულ იქნეს ს.ს. "მრწვერკინიგზას" საკუთრების უფლება თბილისში, ლილოს სამრეწველო ზონაში, მშენებლობის სამინისტროს №1 სახლ-მშენებელი კომბინატის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე, საკადასტრო კოდით: №01.19.26.004.032, ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 10705.00კვ.მ., ნაკვეთის წინა ნომერი – 4;

– აღიარებულ იქნეს ს.ს. "მრწვერკინიგზას" საკუთრების უფლება თბილისში, კაიროს ქუჩა №36 მდებარე უძრავ ქონებაზე საკადასტრო კოდით: №01.19.21.002.153 ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 46621.00 კვ.მ., ნაკვეთის წინა ნომერი – №01.19.21.002.006, 34420 კვ. მ მიწის ნაკვეთსა და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობების ნაწილში.

– მოპასუხე სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნეს თბილისში, ლილოს სამრეწველო ზონაში მშენებლობის სამინისტროს მიწების საიზოლაციო საწარმოს ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონება, საკადასტრო კოდით: №01.19.26.004.035, ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 6448.00კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: 4 და უძრავი ქონება გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაეცეს ს.ს. "მრწვერკინიგზას";

– მოპასუხე სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნეს ლილოს სამრეწველო ზონაში, მშენებლობის სამინისტროს №1 სახლ-მშენებელი კომბინატის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე, საკადასტრო კოდით: №01.19.26.004.032, ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 10705.00კვ.მ., ნაკვეთის

წინა ნომერი – 4 და უძრავი ქონება გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაეცეს ს.ს. "მრეწვერკინიგზას";

– მოპასუხე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნეს თბილისში, კაიროს ქუჩა №36 მდებარე უძრავ ქონებაზე საკადასტრო კოდით: №01.19.21.002.153 ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 46621.00 კვ.მ., ნაკვეთის წინა ნომერი – №01.19.21.002.006, 34420 კვ. მ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების ნაწილი და უძრავი ქონება გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაეცეს ს.ს. "მრეწვერკინიგზას".

2020 წლის 6 აგვისტოს ს.ს. „მრეწვერკინიგზას“ სარჩელი წარმოებაში იქნა მიღებული, ხოლო 2020 წლის 31 ივლისს დაკმაყოფილდა მხარის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე⁶².

სარჩელი და აღიარებითი მოთხოვნა ეფუძნება შემდეგ დასაბუთებას: ვინაიდან კანონიერ ძალაში შესული 2015 წლის 20 იანვრის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ს.ს. "მრეწვერკინიგზას" სარჩელი:

ა) ბათილად იქნა ცნობილი ს.ს. „მრეწვერკინიგზას“ სამეთვალყურეო საბჭოს 2011 წლის 20 მაისის #3 სხდომის ოქმი ს.ს. „მრეწვერკინიგზას“ საკუთრებაში არსებულ შემდეგ უძრავ ქონებაზე: 1) მდებარე – თბილისი, კაიროს ქუჩა #36, მიწის ნაკვეთის ფართობი – 35 705 კვ.მ, უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №01.19.21.002.006, 2) მდებარე – თბილისი, ლილოს სამრეწველო ზონაში, მშენებლობის სამინისტროს №1 სახლმშენებელი კომბინატის ტერიტორია, მიწის ნაკვეთის ფართობი – 10705.00 კვ.მ, უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №01.19.26.004.032, 3) მდებარე – თბილისი, ლილოს სამრეწველო ზონაში მშენებლობის სამინისტროს მიწების საიზოლაციო საწარმოს ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონება, მიწის ნაკვეთის ფართობი – 6448.00მ კვ.მ, უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №01.19.26.004.035, სახელმწიფოს სასარგებლოდ საკუთრების უფლების მიტოვების შესახებ;

ბ) ბათილად იქნა ცნობილი ს.ს. „მრეწვერკინიგზას“ დირექტორის ჯუმბერ შენგელიას 2011 წლის 23 მაისის განცხადებები ს.ს. "მრეწვერკინიგზას" საკუთრებაში არსებულ შემდეგ უძრავ ქონებაზე: 1) მდებარე – თბილისი, კაიროს ქუჩა #36, მიწის ნაკვეთის ფართობი – 35 705 კვ.მ, უძრავი ქონების საკადას-

⁶² 2020 წლის 31 ივლისის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინება, საქმეზე: N2/15120-20, მოსამართლე: თამარ ბურჯანაძე.

ტრო კოდი №01.19.21.002.006, 2) მდებარე – თბილისი, ლილოს სამრეწველო ზონაში, მშენებლობის სამინისტროს №1 სახელმშენებელი კომბინატის ტერიტორია, მიწის ნაკვეთის ფართობი – 10705.00 კვ.მ, უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №01.19.26.004.032, 3) მდებარე – თბილისი, ლილოს სამრეწველო ზონაში მშენებლობის სამინისტროს მიწების საიზოლაციო საწარმოს ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონება, მიწის ნაკვეთის ფართობი – 6448.00მ კვ.მ, უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №01.19.26.004.035, სახელმწიფოს სასარგებლოდ საკუთრების უფლების მიტოვების შესახებ.

ბათილად ცნობილია უფლებადამდგენი დოკუმენტების შემდგომ, ს.ს. „მრეწვ-რკინიგზას“ სამართლებრივი შედავება შეეხება:

ა) №01.19.26.004.035 საკადასტრო კოდის ქვეშ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ 6448 კვ.მ მიწის ნაკვეთზე უფლების აღიარებას;

ბ) №01.19.26.004.032 საკადასტრო კოდის ქვეშ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ 10 705 კვ.მ მიწის ნაკვეთზე უფლების აღიარებას

გ) და №01.19.21.002.006 საკადასტრო კოდის გამიჯვნის და შედეგად წარმოქმნილ №01.19.21.002.153 საკადასტრო კოდის ქვეშ სახელმწიფოსთან თანასაკუთრებაში არსებულ უძრავ ქონების 34420 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობებზე უფლების აღიარებას.

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ სწორედ უძრავი ქონების გამიჯვნამდე და გამიჯვნის შედეგად, მისი არსებული საკუთრების მდგომარეობა, 20/01/2015 წლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თანახმად, ამ უფლებრივი მდგომარეობით გამოიყურება. საქმის მასალებიდან და უტყუარი მტკიცებულებებიდან გამომდინარე, სახეზე არ არის მოცემულობა, როდესაც „იურიდიული ინტერესი არ შეიძლება იყოს მოსარჩელის სასარგებლოდ სხვა სახის გადაწყვეტისთვის ხელშეწყობა“. კანონიერი ინტერესების აღდგენა შესაძლებელია მოხდეს ერთ სარჩელში. სასამართლო არ უნდა გაცდეს მოსარჩელის ნამდვილ, სწორ და მიღწევად იურიდიულ ინტერესს, რაც გამოიხატება საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნაში, რასაც საფუძვლად უდევს კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება, საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები.

2020 წლის 13 აგვისტოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ხოლო 2020 წლის 18 აგვისტოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სარჩელზე წარმოადგინეს შესავალებელი, რომლითაც სასარჩელო

მოთხოვნები, არ ცნეს. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია არ ეთანხმება სარჩელს, მიაჩნია უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად, თვლის, რომ არ უნდა დაკმაყოფილდეს. შესაგებელში აღნიშნულია, რომ მერიის შესაბამისი სამსახურებიდან გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია/დოკუმენტაცია, რომლის მიღების შემდგომაც მოხდებოდა დაზუსტებული შესაგებლის წარმოდგენა, მაგრამ 2020 წლის დეკემბრის თვის მდგომარეობით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაზუსტებული შესაგებელი საქმეზე, არ წარმოუდგენია. რაც შეეხება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პოზიციას, უწყების აზრით, უძრავი ქონებების სახელმწიფოს არამართლზომიერ მფლობელობაში ყოფნის ფაქტი ვერ იქნება გაზიარებული, ვინაიდან უფლების დამდგენი დოკუმენტაცია და შესაბამისი გადაწყვეტილებები ძალაში მყოფი აქტებია.

2020 წლის 17 აგვისტოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სასამართლოში წარმოდგენილი იქნა საჩივარი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების მოთხოვნით.

2020 წლის 24 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული.

2020 წლის 14 სექტემბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჩივარი, დაუსაბუთებლობის გამო, არ დაკმაყოფილდა. მიღებული განჩინება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან გასაჩივრებული იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოში. 2020 წლის დეკემბრის თვის მდგომარეობით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოში, არ განხილულა და არც საქმეზე დანიშნულა მოსამზადებელი სხდომა.

6 დასკვნა

საკუთრების უფლება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა რიცხვს განეკუთვნება, რომლის გარეშეც შეუძლებელია დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობა. „საკუთრების უფლება ადამიანის არა მარტო არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების ადეკვატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას“⁶³. იმავდროულად, კერძო საკუთრება, როგორც ინსტიტუტი, საბაზრო ეკონომიკის ბირთვს წარმოადგენს. შესაბამისად, ის არის არა მხოლოდ მესაკუთრეებს შორის ეკონომიკური კონკურენციის, არამედ, ასევე, დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობა.

ორგანიზაციას საქმის მასალების შესწავლის შედეგად, ერთმნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ ს.ს. „მრეწვერკინიგზას“ საქმე წარმოადგენს სისტემური დანაშაულის შედეგს, რომელიც 2012 წლის 1 ოქტომბრამდე სახელმწიფო ხელისუფლების პოლიტიკის შემადგენელს წარმოადგენდა. უძრავი ქონებების სახელმწიფოს სასარგებლოდ, საკუთრების უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემა მიტოვების ფორმით წინამდებარე საქმის მასალების მიხედვით, საკუთრების უფლებაზე განხორციელებული ტოტალური ზენოლის შედეგია. სახელმწიფო, რომელსაც თავად უნდა მოეხდინა კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვა, ყოფილიყო ვეთილსინდისიერი პარტნიორი, საქართველოში ხელისუფლების ცვლილების შემდგომაც, არ ახდებს ს.ს. „მრეწვერკინიგზას“ ქონებრივ უფლებებში აღდგენას და მხარეს კვლავ სჭირდება ხანგრძლივი სამართლებრივი ძალისხმევა დარღვეული უფლებების აღდგენისთვის. ს.ს. „მრეწვერკინიგზამ“ რთულად, მაგრამ ნაწილობრივ შეძლო იურიდიული ინტერესის დაკმაყოფილება, როდესაც სასამართლოებმა ბათილად ცნო სახელმწიფოს სასარგებლოდ მიტოვებული ქონებების უფლებადამდგენი დოკუმენტები, მაგრამ სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, ვერ შეძლო გამიჯნის დოკუმენტების ბათილად ცნობა.

ასეთ ვითარებაში, ს.ს. „მრეწვერკინიგზას“ უძრავი ქონებების მფლობელი კვლავ სახელმწიფოა, რომელსაც შეეძლო დამოუკიდებელი ინიციატივის ფარგლებში, კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 20/01/2015 წლის გადაწყვეტილების საფუძველზე, მოეხდინა მომავალი მესაკუთრისთვის ქონების პრივატიზაციის გზით, სიმბოლურ ფასად – 1 ლარად გადაცემა. ამასთან, საქართველოს

⁶³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2017 წლის 17 ოქტომბრის №3/4/550 გადაწყვეტილება – „ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

პროკურატურის მიერ არ მიღებულია ს.ს. „მრენვრკინიგზას“ დაზარალებულად ცნობისა და საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება, რაც არ პასუხობს კანონიერებისა და სამართლიანობის პრინციპებს. ამდენად, სამართალში აღიარებული საერთო პრინციპების თანახმად, ყველა იმ სამართალ-ურთიერთობაში, სადაც სახელმწიფო მონაწილეობს, ნდობისა და კეთილსინდისიერების ხარისხი მაღალია. სახელმწიფოს მიმართ მოქმედებს ნდობის პრინციპი, ხოლო სახელმწიფოს მონაწილეობით დადებული გარიგებების მიმართ მოქმედებს კანონსესაბამისობისა და მორალური სტანდარტების დაცვის პრეზუმცია.

განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 20/01/2015 წლის გადაწყვეტილების საფუძველზე, სახელმწიფოს და ს.ს. „მრენვრკინიგზას“ შორის წარმოშობილი ურთიერთობები, ქონების მითვისების ცალმხრივი გარიგებები ექცევა კანონსაწინააღმდეგო და ამორალური გადაწყვეტილებების ქვეშ, რაც მთლიანად, იურიდიულ საფუძველს აცლის სახელმწიფოს, როგორც კეთილსინდისიერ მხარეს და უძრავი ქონებების ფლობის კანონიერების პრეზუმცია და სისრულე, დამდგარი შედეგით – გაქარწყლებულია. შესაბამისად, ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს არავითარი სამართლებრივი მტკიცება არ გააჩნია, რომლითაც ს.ს. „მრენვრკინიგზას“, როგორც უძრავი ქონების ერთადერთი კანონიერი მომავალი რეგისტრირებული მესაკუთრის უფლებებს გააბათილებდა. ამიტომაც, მას ნების გარეშე დათმობილი ქონებები უნდა დაუბრუნდეს.

საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, *მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. რაიმე შემთხვევაში მოსამართლეზე ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით. არავის აქვს უფლება მოსახოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. ბათილია ყველა აქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას.* ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, *ყოველი ადამიანი, მისი სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების, ან მისთვის წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძველიანობის გამორკვევისას, აღჭურვილია გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლებით კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.* სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „სასამართლოს“ აქვს ვალდებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე, აგრუმენტებსა და მტკიცებულებებზე (Kraska v. Switzerland, § 30; Van de Hurk v. the

Netherlands, § 59; Perez v. France, § 80). იმისათვის რომ მე-6 მუხლით უზრუნველყოფილი უფლება ეფექტური იყოს, ხელისუფლებამ „გულისხმიერად“ უნდა იმოქმედოს: იმ მხარესთან მიმართებით, რომელსაც ადვოკატი არ წარმოადგენს (იხ., Kerojärvi v. Finland, § 42 and Fretté v. France, § 49); და იმ მხარესთან მიმართებით, რომელსაც ჰყავს ადვოკატი (იხ. Göç v. Turkey [GC], § 57). სამართალწარმოების სამართლიანობის დადგენა ხდება მთლიანობაში მისი შესწავლით (Ankerl v. Switzerland, § 38; Centro Europa 7 S.R.L. and di Stefano v. Italy [GC], § 197). **სწორედ ამ თავისებურებების გათვალისწინებით, ორგანიზაციას მიაჩნია, რომ უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების მიტოვების განცხადებების, სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებებისა და მიწის ნაკვეთის გამიჯვნის შესახებ თანხმობის ბათილად ცნობის დავაზე, საერთო სასამართლოების მიერ ამომწურავად და პრინციპულად არ შეფასდა საქმის მთლიანობა და მხარისთვის არასასურველი შედეგი – უძრავი ნივთის გამიჯვნის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები (სამეთვალყურეო საბჭოს 2011 წლის 15 ივნისის კრების ოქმი, დირექტორის 2011 წლის 16 ივნისის თანხმობის დოკუმენტი გამიჯვნაზე) სასამართლოებმა არასწორი სამართლებრივი შეფასების შედეგად დატოვეს კანონიერ ძალაში.**

ორგანიზაცია იზიარებს საერთო სასამართლოების მიერ სადაოდ ქცეული ცალმხრივი ნების დამდგენი გარიგებების მიმართ გაუქმებისთვის მისადაგებულ სამართლებრივ ნორმებს (*ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საქარო წესრიგს ან მნეობის ნორმებს, სსკ 54 მუხლი*), თუმცა არ იზიარებს მასთან ერთად აღნიშნული გარიგებების წარმოქმნისთვის იძულებით დადებული გარიგების სამართლებრივი კვალიფიკაციის გამორიცხვას, (*გარიგების დადების მიზნით იმ პირის იძულება (ძალადობა ან შექარა), რომელმაც დადო გარიგება, ანიჭებს ამ პირს გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლებას მაშინაც, როცა იძულება მომდინარეობს მესამე პირისაგან, სსკ 85 მუხლი*). დადგენილია, რომ კომპანიის უძრავი ქონებების მიტოვების ცალმხრივი გარიგებების გაუქმების სამართლებრივი დასაბუთება ეფუძნება შემდეგ არგუმენტაციას – იმ ვითარებაში, როდესაც მიმდინარეობდა გამოძიება სადავო მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების მოპოვების კანონიერების შემოწმების მიზნით და კომპანიის დირექტორის მოწმის სახით დაკითხვიდან რამდენიმე საათში მოხდა სადავო ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის გადაწყვეტილების მიღება, სწორედ სახელმწიფოს მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა ფაქტი, რომ ის მოქმედებდა კეთილსინდისიერად და მისი ქცევა შეესაბამებოდა მორალურ სტანდარტებს.

განსახილველ შემთხვევაში, როგორც 2012-2011 წლებში, ასევე სასამართლოში სამოქალაქო სარჩელის განხილვის შემდგომ საამისოდ უფლებამოსილი ორგანოს მიერ არ გამოვლენილა და დადასტურებულა დანაშაულის ჩადენის ფაქტი. ორგანიზაცია ეთანხმება სასამართლოს მსჯელობას – *იმ შემთხვევაში, თუ მივიჩნევთ, რომ ქონებაზე საკუთრების უფლების მიტოვება განხორციელდა ჩადენილი დანაშაულის გამოსყიდვის მიზნით, მაშინ სადაო გარიგებები წარმოადგენენ ამორალურ გარიგებებს, ხოლო თუ მივიჩნევთ, რომ შესაძლო ჩადენილი დანაშაულის, სახელმწიფო ქონების უკანონოდ მითვისების ფაქტზე გამოძიება და შესაბამისი სამართლებრივი პროცედურები არ გაგრძელდა ქონებაზე საკუთრების უფლების მიტოვების გამო, მაშინ სადაო გარიგებები – არამართლზომიერია.* შესაბამისად, ასეთ ვითარებაში, როდესაც სასამართლომ ბათილი გარიგებები დაუკავშირა სისხლის სამართლებრივი წესით წარმოებულ გამოძიებას, დასკვნები იმის შესახებ, რომ გამომძიებელი არ წარმოადგენდა იმ სტატუსის მქონე პირს, რომელსაც შეეძლო ერთპიროვნულად გადაეწყვიტა დირექტორისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება და დაპატიმრება, აღნიშნული უფლებამოსილება მხოლოდ გააჩნდა სასამართლოს, სარწმუნოდ არ მიჩნეულიყო ბრალდების მხრიდან კომპანიის დირექტორის ან/და მოწმეთა განმარტებები საგამოძიებო უწყების/კონკრეტული გამომძიებლის ბენოლასა და მუქარაზე, უსაფუძვლოდ გამორიცხავს გასაჩივრებული გადაწყვეტილებების იძულებით დადებული გარიგებებად მიჩნევის სამართლებრივ კვალიფიკაციას, ვინაიდან სადავო გარიგებების ნაწილი გაუქმდა სწორედ იმ გამო, რომ სახელმწიფომ ვერ შეძლო კომპანიის მიერ უძრავი ქონების უკანონოდ მიღების ვარაუდოს დამტკიცება, სახელმწიფოს წარმომადგენელმა უძრავი ქონებების სახელმწიფოს სასარგებლოდ მიტოვების გარემოება განმარტა, როგორც ჩადენილი დანაშაულის გამოსწორება (2014 წლის 16 დეკემბრის სასამართლო სხდომის აუდიო ოქმი), რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-85-ე მუხლებით, კუმულაციურად, ცალმხრივი გარიგებების გაუქმების ერთმნიშვნელოვან საფუძველს ტოვებდა.

ორგანიზაცია არ ეთანხმება სასამართლოს სამართლებრივ პოზიციას, რის საფუძველზეც კანონიერ ძალაში დარჩა სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს 2011 წლის 15 ივნისის სხდომის ოქმი და დირექტორის 16 ივნისის თანხმობის წერილი გამიჯვნის შესახებ. სასამართლოს განმარტება ეფუძნება იმ გარემოებას, რომ გასაჩივრებული აქტებით განხორციელდა სახელმწიფოსა და კომპანიას შორის 2011 წლის 20 მაისის გარიგების საფუძველზე, თანასაკუთრებაში არსებული უკვე მიტოვებული ქონების გამიჯვნა. კერძოდ, საქმის მასალებით დადგენილია, რომ ე. თბილისში, კაიროს ქ.№36-ში მდებარე მინის ნაკვეთი, ს/კ №01.19.21.002.153, თანასაკუთრების უფლებით აღირიცხა სს „მრეწვერკინიგზის“ (12201 კვ.მ. მინის ნაკვეთი და მასზე

არსებული შენობა-ნაგებობები) და სახელმწიფოს (34420 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები, ნაკვეთის საკუთრების ტიპი – თანასაკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო-სამეურნეო, დამუსტებული ფართობი: 46621.00კვ.მ., ნაკვეთის წინა ნომერი – 01.19.21.002.006) სახელზე, ხოლო, ქ. თბილისში, ვაიროს ქ. №36-ში მდებარე მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდით: №01.19.21.002.154, ფართობი: 1285.00კვ.მ. (ნაკვეთის წინა ნომერი – 01.19.21.002.006) 2011 წლის 22 ივნისიდან საკუთრების უფლებით აღირიცხა სახელმწიფოს სახელზე. სასამართლოს შეხედულებით, სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორის 2011 წლის 15-16 ივნისის გადაწყვეტილებები, არ წარმოადგენენ იძულებით დადებულ გარიგებებს და ვერც კანონსაწინააღმდეგო და ამორალურ გარიგებებათა შემადგენლობით უნდა დაკვალიფიცირებულიყო, ვინაიდან გარიგებები განხორციელდა უკვ არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის (თანასაკუთრების) საფუძველზე და მათ ამორალური ან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი არ ჰქონიათ.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ ასეთი დასკვნების წარმოდგენის დროს, სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო 1285.00კვ.მ მიწის ნაკვეთთან ანუ გამიჯვნის საფუძველთან არსებული საქმის ერთ-ერთი მთავარი მტკიცებულება – 2011 წლის 20 მაისის კომპანიის დირექტორის მოწმის სახით, ქ. თბილისის პროკურატურის ანტიკორუფციულ საგამოძიებო ნაწილში, დაკითხვის ოქმი, სადაც უძრავი ქონებების მიტოვების ნებაზე საუბარი და აღნიშნულია, რომ მათ შორის ახდენდა 1285.00კვ.მ. მიწის ნაკვეთის გამიჯვნას. საზოგადოების დირექტორმა აღნიშნული ნება სწორედ იმ უძრავი ქონებების მიტოვების ნების პარალელურად გამოთქვა, რომელიც სასამართლომ კანონსაწინააღმდეგო და ამორალურ გარიგებებად ცნო. ორგანიზაცია ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ შემდგომში – 2012 წლის 26 ნოემბრის საქართველოს პროკურატურის მიმართ წარდგენილ საჩივარში, საზოგადოების დირექტორი აღნიშნავდა, რომ როგორც 2011 წლის მაისის, ასევე ივნისის თვეში მიღებული აქტები, ჩარევისა და ნების საწინააღმდეგოდ მიიღო. 2011 წლის მაისის გარიგებები საგამოძიებო უწყებიდან განხორციელებული ზარის შედეგად კომპანიის მენეჯმენტმა, იძულებით მოამზადა და წარმოადგინა, ხოლო 2011 წლის ივნისის თვის გადაწყვეტილებები სანოტარო ბიუროში იმავე მეთოდით განხორციელებული ჩარევის შედეგს წარმოადგენდა.

სასამართლოს მიდგომა ვერ აბათილებს ქონების დათმობის ერთიანი პროცესის მხარეს, ვინაიდან თუ გაუქმებული გარიგებების საფუძველი გახდა ჯუმბერ შენგელიას დაკითხვიდან რამდენიმე საათში სადავო ქონებების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის ფაქტი და 2011 წლის ივნისის თვეში მიღებული გადაწყვეტილებების გაუქმების საფუძველი არ გახდა უკვე

სახელმწიფოსთან თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაიჭვნის მხოლოდ სურვილის ფაქტი, სასამართლოს უნდა მოეხდინა საფუძვლიანი დასკვნების გაკეთება იმის შესახებ, რომ საზოგადოების საკუთრებაში არსებული ყველა ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ მიტოვების ნება, მათ შორის 1285.00კვ.მ. მიწის ფართობის თანასაკუთრებიდან გამოყოფის სურვილი, არ დაფიქსირებულა არც ერთ სხვა ვითარებაშია, გარდა 2011 წლის 20 მაისის კომპანიის დირექტორის მოწმის სახით, ქ. თბილისის პროკურატურის ანტიკორუფციულ საგამოძიებო ნაწილში შედგენილი დაკითხვის ოქმისა.

შესაბამისად, ერთ შემთხვევაში, სასამართლო გარიგებების ბათილობის საფუძვლად საგამოძიებო ორგანოში კომპანიის დირექტორის მიმართ დაწყებულ პროცესს უკავშირებს, სადაც დოკუმენტურად მტკიცდება რას მოითხოვდა პროკურატურა და რას პასუხობდა საზოგადოების დირექტორი, მათ შორის ცალსახაა 1285.00კვ.მ. მიწის ფართობის თანასაკუთრებიდან გამოყოფის ჩანაწერიც, რაც „მართლზომიერად“ იქნა მიჩნეული იმ საფუძველზე დაყრდნობით, რომ საკითხი ეხებოდა უკვე სახელმწიფოსთან თანასაკუთრებიდან გამიჭვნის შემთხვევას, სახელმწიფოსთან თანასაკუთრებაში საზოგადოების 1285.00კვ.მ. მიწის ფართობის შესახებ კი პირველი ჩანაწერი სწორედ კომპანიის დირექტორის დაკითხვის ოქმში გხვდება, რომელიც სხვა ქონებების დათმობასთან ერთად, ნების სანინაალმდეგოდ სრულად ქმნის კანონსაწინააღმდეგო და ამორალურ საფუძვლებს. შესაბამისად, 2011 წლის ივნისის თვეში, 1285.00კვ.მ. მიწის ფართობზე დოკუმენტურად გაფორმებულ გადაწყვეტილებებს არ შეიძლება ჰქონოდა კანონიერი სახე, ვინაიდან ასეთი გადაწყვეტის მიზანი, ჯერ კიდევ 2011 წლის 20 მაისის დირექტორის დაკითხვის ოქმში დაფიქსირდა, რომელიც სასამართლოს მხრიდან, როგორც პროცესი და მისგან დამდგარი შედეგი – ქონებების მიტოვები ფაქტი, შეფასებული აქვს, როგორც კანონსაწინააღმდეგო და ამორალურ გარიგებებად.

ორგანიზაციას არ გააჩნია ვარიაციები, თუ რა არასამართლებრივი შეხედულებების გამო არ მიიღო ს.ს. „მრეწვერკინიგზას“ სასარგებლოდ სასამართლომ 2011 წლის 15-16 ივნისის ცალმხრივი გარიგების გაუქმების გადაწყვეტილება, ვინაიდან საქმე განიხილა ორი ინსტანციის⁶⁴ კვალიფიციურმა და გამოცდილმა მოსამართლეებამ და შეუძლებელია, მხედველობიდან გასულიყო საქმისთვის 2011 წლის 20 მაისის საზოგადოების დირექტორის დაკითხვის ოქმის მნიშვნელობა. ერთი რამ ცხადია – 1285.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი საკუთრების უფლებით გადავიდა სახელმწიფოს (*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი*

⁶⁴ საქართველოს უზენაესს სასამართლოში კომპანიის მოთხოვნა არ გასაჩივრებულა და სასამართლომ მხოლოდ იმსჯელა სახელმწიფო უწყებების მიერ წარდგენილ საჩივრებზე ქვემდგომი ინსტანციის გადაწყვეტილებების კანონიერებაზე. შესაბამისად, ორგანიზაცია არ მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განიხილა ს.ს. „მრეწვერკინიგზას“ სასარჩელო მოთხოვნები.

განვითარების სამინისტროს) საკუთრებაში. 2011 წლის 30 ივნისს სსიპ საწარმოთა მართვის სააგენტომ (ამჟამად – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო) ქ. თბილისის შემოვლითი რკინიგზის განხორციელებასთან დაკავშირებით, მიიღო გადაწყვეტილება სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული საწარმოს – შპს „საქართველოს რკინიგზის“ საწესდებო ვაპიტალში აღერიცხა ოცდაათი ერთეული მიწის ნაკვეთი, მათ შორის ს.ს. „მრეწვრკინიგზას“ საკუთრებიდან გასული 1285.00 კვ. მ მიწის ნაკვეთი. აღნიშნული უძრავი ნივთი 2011 წლის 01 ივლისიდან საკუთრების უფლებით აღირიცხა შპს „საქართველოს რკინიგზის“ სახელზე, თუმცა 2011 წლის 25 ოქტომბრიდან – 1 დეკემბრის მდგომარეობით, დასახელებული მიწის ნაკვეთი ირიცხებოდა, თავის მხრივ შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ დაფუძნებულ შემლუდული პასუხისმგებლობის საწარმოს – „ჯორჯიან რეილვეი ქონსტრაქშენის“⁶⁵ საკუთრებაში. დადგენილია, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 01 დეკემბრის რეგისტრაციის შესახებ №882011579417-03 გადაწყვეტილების საფუძველზე, განხორციელდა იურიდიული პირის საწესდებო ვაპიტალში შენატანის დაბრუნების საფუძველზე, შპს „საქართველოს რკინიგზაზე“ საკუთრების უფლების რეგისტრაცია და 1285.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი საკუთრების უფლებით კვლავ აღირიცხა შპს „საქართველოს რკინიგზის“ სახელზე. ამდენად, ს.ს. „მრეწვრკინიგზას“ საკუთრებაში არსებული და ნების საწინააღმდეგოდ გასული 1285 კვ.მ მიწის ფართობი თავიდანვე მოქცა სახელმწიფოს განსაკუთრებული ინტერესის ქვეშ და მისი მდებარეობა უშუალოდ დაუკავშირდა თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობის პროექტით მოცულ ფართობს. თბილისის შემოვლითი რკინიგზა, 2010 წელს დაიწყო და 2011 წლის 20 მაისსა და 15-16 ივნისის მდგომარეობით, ამ პროექტის მიზნებისთვის, სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენდა. 2013 წლის 5 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობის პროექტის 3 წლით დაკონსერვებასთან დაკავშირებით, რომელიც ამჟამადაც უპერსპექტივო მდგომარეობაშია. ამდენად, ორგანიზაცია გამოთქვამს საფუძვლიან მტკიცებას იმის შესახებ, რომ 2014-2017 წლებში, საერთო სასამართლოებში წარმოებული ცალმხრივი გარიგებების გაუქმების მოთხოვნით საქმეზე, გამიჯვნის გადაწყვეტილებების გაუქმებაზე უარის თქმის საფუძველი, არა წარმოდგენილი სამართლებრივი დასაბუთება, არამედ 1285 კვ.მ მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი, თუმცა შეჩერებული პროექტის ფარგლებში მოქცევის ფაქტი გახდა და სასამართლოებმა ანგარიში გაუწიეს სადავო საკითხზე შექმნილი ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე მთავრობის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ ინტერესებს.

⁶⁵ იხ. ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) პირების რეესტრიდან, შპს „ჯორჯიან რეილვეი ქონსტრაქშენი“, ს/კ 204576887

ორგანიზაცია ცალკე მნიშვნელოვან ყურადღებას დაუთმოს თბილისის საქალაქო სასამართლოში სააქციო საზოგადოების მიმართ დამდგარ შედეგთან დაკავშირებით წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში დავის გადაწყვეტის სტრატეგიას და მოთხოვნის ფარგლებს. აღძრული სარჩელის შინაარსიდან დგინდება, რომ წარმომადგენლის სტრატეგიის ნაწილს წარმოადგენდა ადმინისტრაციული დავის, როგორც მეორე ეტაპის ცალკე წარმოებად განხორციელება, რომლის მიზანი საკუთრების უფლებს მოპოვება იქნებოდა მარნმუნებლისათვის, თუმცა სამოქალაქო სარჩელზე მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, იმედოვნებდა, რომ უძრავ ქონებებზე საკუთრების უფლება ავტომატურად აღდგებოდა. აღნიშნულზე მიუთითებს კანონიერ ძალაში შესული 20/01/2015 წლის გადაწყვეტილების ამ მოთხოვნით წარდგენა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, შემდეგ კანონიერ ძალაში შესული 20/01/2015 წლის გადაწყვეტილების განმარტების სასამართლოს მეშვეობითვე მოთხოვნა, თუმცა წარმომადგენელს პასუხად ეცნობა, რომ სარჩელით წარდგენილი მოთხოვნები არ წარმოადგენდა აღიარებითი ხასიათის მოთხოვნებს, რის შემდგომაც, ს.ს. „მრენვრკინიგზა“ ავტომატურად შეძლებდა უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციას. შესაბამისად, ორგანიზაციას მიაჩნია, რომ წარმომადგენელმა თავიდანვე მცდარი სტრატეგიით მიმართა სასამართლოს და საჭირო იყო აღიარებითი სარჩელით მოთხოვნების წარდგენა, ვინაიდან წარმომადგენელის თვითიმედოვნება, რომ ასეთ აღიარებას ადმინისტრაციული სამართალწარმოების გზითაც შეძლებდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილებით, უშედეგო აღმოჩნდა.

ორგანიზაცია, პატივს სცემს „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით“ საყოველთაოდ აღიარებულ კოლეგიალობის პრინციპს, მისი სრული დაცვით, საჭიროდ მიიჩნევს შეფასება გამოხატოს საქმისწარმოების წარმომადგენლობით უფლებამოსილებასთან და აღნიშნავს, რომ გაოგნებულია დაშვებული პროფესიული შეცდომებით. საქმის ყოველმხრივი შესწავლის შედეგად დგინდება – მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ადვოკატმა აიღო ვალდებულება ს.ს. „მრენვრკინიგზისთვის“ აღმოეჩინა დროული და კვალიფიციური მომსახურება, ცალმხრივად არ ეთქვა უარი მოსარჩელის დაცვაზე, დროის არც ერთ მონაკვეთში, უარი არ განეცხადებინა მოსარჩელის იურიდიულ მომსახურებაზე. ადვოკატთან დადებული ხელშეკრულება ადვოკატის მიერ კლიენტის წინაშე, არ იწვევს (ნიშნავს) არანაირი გარანტიის ვალდებულებას, გარდა კეთილსინდისიერი და კვალიფიციური მომსახურებისა. ამასთან, ხელშეკრულების ერთადერთი პუნქტი, სადაც საუბარია ადვოკატის ვალდებულებაზე დაიცვას კომპანიის ინტერესები სასამართლო დავებში „ხელშეკრულების საგნის“ თავში, პირველ აბზაცშია მითი-

თებული, რომლის მიხედვითაც: „ადვოკატი ვალდებულია ვისრულოს სამართლებრივი ხერხებისა და საშუალებების გამოყენებით დაიცვას კლიენტის, როგორც დაინტერესებული პირის უფლებები და კანონიერი ინტერესები დავაში ქონებაზე (მინაზე) სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგ სახელმწიფო საკუთრების უფლების გაუქმებისა და სს „მრეწვერკინიგზას“ საკუთრების უფლების აღდგენის მოთხოვნით“

მოცემულ შემთხვევაში, დგინდება, რომ სააქციო საზოგადოების ქონებრივ უფლებებში აღდგენა უნდა მომხდარიყო ერთ სარჩელში, აღიარებითი სარჩელის გზით. ადვოკატმა მოითხოვა ქონების დათმობისა და გამიჯვნის შესახებ გადაწყვეტილებების გაუქმება და არა – თანმდევი შედეგით. მას შემდეგ, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, გაუქმდა ქონების დათმობის გადაწყვეტილებები და არა – გამიჯვნის გადაწყვეტილებები, სააპელაციო წესით წარდგენილ სარჩელში არ მომხდარა ქონების დათმობისა და გამიჯვნის გადაწყვეტილებების ერთიან პროცესად დასაბუთება. სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 3 ნოემბრის განჩინება არ გასაჩივრებულა საქართველოს უზენაეს სასამართლოში (რაც კომპანიის მენეჯმენტისთვის ცნობილი 2019 წელს გახდა) და ადვოკატი მხოლოდ შემოიფარგლა პროცესის მონაწილე მონაწილემდე მხარის – სახელმწიფო უწყებების საკასაციო საჩივარზე შესაგებლის წარდგენით. ის ფაქტი, რომ ადვოკატი სამოქალაქო დავის პროცესში არ აყენებდა სადავო ქონებაზე საკუთრების უფლების აღდგენის მოთხოვნას და ამ მოთხოვნას უკავშირებდა მომავალში – ადმინისტრაციული სამართალწარმოების გზით ახალ დავაში უფლებადამდგენი აქტების ბათილობას, აღნიშნულია სარჩელის იურიდიული ინტერესის დასაბუთებაში, თუმცა სასამართლოში დამდგარი შედეგით აშკარა უკმაყოფილება გამოთქვა. დგინდება, რომ ადვოკატი სწორედ სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში, წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნებით იმედოვნებდა და ვარაუდობდა, რომ თუ დასახელებული აქტების გაუქმებას სასამართლო მოახდენდა, ავტომატურად უნდა მომხდარიყო ქონებაზე საკუთრების უფლების აღდგენაც, თუმცა როგორც სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებამ და შედეგებმა, ასევე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე მიღებულ შუალედურ განჩინებებშიც ჩანს (*კერძოდ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ განჩინებაში*), სასამართლომ ადვოკატს ერთმნიშვნელოვნად მიუთითა, რომ წარმოებული დავის ფარგლებში, მას გააჩნდა ფუჭი მოლოდინი, რომ საკუთრების უფლების აღდგენა სამოქალაქო სარჩელის ფარგლებში, შეუძლებელი იქნებოდა.

ამდენად, ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს დავალების ხელშეკრულებას, არ ტოვებს ბუნდოვანებას და ნების გამოვლენის

ნაკლს, რომელიც შეიძლება სათანადოდ ვერ აღეჭვა წარმომადგენელს სტრატეგიის მომზადებასა და განხორციელების პროცესში. ხელშეკრულებით არსებითად განისაზღვრა კლიენტის იურიდიული ინტერესი და სასარჩელო მოთხოვნის ფარგლები, რომლის ფორმულირების მოხდენაც, მხოლოდ ადვოკატის პროფესიული ცოდნისა და პასუხისმგებლობის საკითხს წარმოადგენდა. ამასთან, ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ მართალია, ადვოკატის მიერ ნაწარმოები საქმის სამართლებრივი შეფასების გაკეთება სამართლებრივად რთული პროცესია, რადგან საბოლოოდ სასურველი შედეგის მიღებას უკავშირდება, შედეგების შეპირება და მასზე გარანტიების გაცემა კი ადვოკატთა ეთიკის კოდექსის მიხედვით – დაუშვებელია საადვოკატო საქმიანობაში. ადვოკატს უფლება არა აქვს კლიენტს მისცეს გარანტიები მისგან აღებული საქმის შედეგებთან დაკავშირებით, თუმცა წინამდებარე საკითხის განხილვისას, კრიტიკის საფუძველი არ არის საქმის შედეგები, რამდენადაც სასარჩელო მოთხოვნების არასწორი ხაზით წარმართვამ გამოიწვია იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებით, მხარეთა შორის შეთანხმებული სტრატეგიიდან ცალმხრივად, ადვოკატის თვითიმედოვნებით გადახვევა, რამაც განაპირობა საქმეზე დამდგარი შედეგებიც⁶⁶.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თავის არაერთ განჩინებაში განმარტა, რომ – „სასამართლოს უპირველესი ამოცანაა დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რა ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს მხარე თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა, რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რომლის მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომელთა შემომებაც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით. ანუ, სასამართლომ უნდა დაადგინოს ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ

⁶⁶ დადგენილია, რომ კომპანიამ წარმომადგენელს იურიდიული მომსახურების სახით, სულ გადაუხადა – 40,926 ლარი. აქედან 2000 ათასი ლარი გადახდილ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის სააპელაციო სასამართლოში წარმომადგენლობითი უფლებამოსილებისთვის, ინსტანციური პრინციპის გათვალისწინებით. კერძოდ, 2013 წლის 7 ოქტომბერს ადვოკატის ჰონორარის დანიშნულებით, ადვოკატმა მიიღო – 1000 ლარი, ასევე 2013 წლის 24 დეკემბერს – 1000 ლარი, ხოლო 2014 წლის 17 ივნისს გადახდილი – 2000 ლარი, 2015 წლის 22 მაისს გადახდილი – 14,000 ლარი და 2017 წლის 10 მარტს გადახდილი – 22,926 ლარი წარმოადგენდა ავანსის სახით, დავის მოგებით დასრულების პირობით, მოპასუხის მიმართ გადახდილ თანხას. ამჟამად, ავანსის სახით გადახდილი თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნით, კომპანიასა და ადვოკატს შორის წარმოებს სასამართლო დავა. 2020 წლის 25 მარტის თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ს.ს. „მრეწვერკინიგზას“ სარჩელი, არ დაკმაყოფილდა, რაც გასაჩივრებელია სააპელაციო წესით.

მცირე უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი შემადგენლობის არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას” (იხ. სუსგ #1529 -1443 -2012, 09.12.2013 წ.; ას-502-476-2015, 24.12.2015 წ.).

საქართველო უზენაესი სასამართლოს განმარტებით – „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტი ავალდებულებს მოსარჩელეს, სარჩელში მიუთითოს იმ სამართლებრივ საფუძვლებზე, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს, თუმცა ასეთის მიუთითებლობა ან ფაქტობრივი გარემოებების არასწორი სამართლებრივი შეფასება არ შეიძლება იყოს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი. მხარის მიერ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების კონკრეტულ მატერიალურ-სამართლებრივ ნორმასთან შესაბამისობის დადგენა სასამართლოს უფლება-ცაა და ვალდებულებაც. დავის სამართლებრივი შეფასებისას მოსამართლე სრულიად დამოუკიდებელია, განსხვავებით პროცესის ფაქტობრივ საფუძვლებზე მუშაობისაგან და არ არის შეზღუდული დისპოზიციურობის და შეჭიბრებითობის პრინციპებით. **თუ საქმის მასალებზე დაყრდნობით და სხვაგვარი დასაბუთებით, კანონიერი გადაწყვეტილების გამოტანა შესაძლებელია, მოსამართლეს სხვა გზის არჩევის უფლება არ აქვს. სწორედ აღნიშნული წარმოადგენს სამოსამართლო საქმიანობას, რაც უზრუნველყოფს კერძო სამართლის სუბიექტთა დარღვეული უფლებებისა და ინტერესების სრულყოფილად და ეფექტურად დაცვას“** (იხ. სუსგ #ას-833-885-2011, 18.10.2011 წ.).

ორგანიზაცია ს.ს. „მრეწვერკინიგზას“ საქმის მასალების საფუძვლიანი შესწავლის შედეგად, მიდის დასკვნამდე, რომ სააქციო საზოგადოების ქონებრივ უფლებებში აღდგენა, დროსა და სივრცეში, შეაფერხა იმ სასარჩელო მოთხოვნების ფორმულირებამ, რომელითაც იმთავითვე გამოირიცხა თანმდევი შედეგების უზრუნველყოფა – სააქციო საზოგადოების საკუთრების უფლების დაბრუნება ქონებებზე, რომელიც ნების საწინააღმდეგოდ, სახელმწიფოს საკუთრებაში აღმოჩნდა. მხარის იურიდიული ინტერესი ადმინისტრაციული სამართალწარმოების გზით, უძრავ ქონებებზე საკუთრების უფლების აღდგენაზე, არ გამომდინარეობდა ობიექტურად მიღწევადი შედეგიდან, ვინაიდან სასამართლოს წინაშე, 2014 წელს, უნდა წარდგენილიყო მიკუთვნებითი (აღიარებითი) ხასიათის სარჩელი, რაც უფლებადამდგენი ბათილი ცალმხრივი გარიგებების შედეგად, უზრუნველყოფდა დარღვეული უფლების აღდგენას სახელმწიფოს საკუთრებაში გადასულ ს.ს. „მრეწვერკინიგზას“ უძრავ ნივთებსა და შენობა-ნაგებობებზე.

არჩეული მცდარი სამართალწარმოების სტრატეგიის ფარგლებში, საერთო სასამართლოებში, როგორც სამოქალაქო, ასევე ადმინისტრაციული სამართალწარმოების გზით სარჩელებზე დამდგარი შედეგი, კანონთან კონფლიქტში არ მოდის (ორგანიზაცია იმჯელა სასამართლოს შეფასების საკითხზე იმ ნაწილში, რითაც არ დაკმაყოფილდა საექციო საზოგადოების მოთხოვნა სამეთვალყურეო საბჭოს 2011 წლის 15 ივნისისა და დირექტორის 2011 წლის 16 ივნისის თანხმობის წერილის ბათილობაზე). სასამართლო ვერ გაცდა დავის საგნის ფარგლებში დასმულ მოთხოვნებს. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 13 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული განჩინება გადაწყვეტილების განმარტებაზე უარის თქმის შესახებ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 22 მარტის კანონიერ ძალაში შესული განჩინება სარჩელისა და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების მიღებაზე უარის თქმის შესახებ, 2019 წლის 11 იანვრის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის კანონიერ ძალაში შესული განჩინება აქტების ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, 2019 წლის 11 იანვრის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება (*შეჩერებულია საქმისწარმოება*), თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში განსჯადობით გადაგზავნილი სსიპ საწარმოთა მართვის სააგენტოს ბრძანების გაუქმების სარჩელი (*შეჩერებულია საქმისწარმოება*), აგრეთვე, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ყველა გადაწყვეტილება, მათი სამართლებრივი დასაბუთებით, სამწუხაროდ, ასახავს საქმეზე თავდაპირველი მცდარი იურიდიული სტრატეგიის თანმდევ გამოვლინებებსა და შედეგებს, რომლის თავიდან აცილებაც, აღიარებითი სარჩელის წარდგენის პირობებში, სრულიად შესაძლებელი იყო.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ ს.ს. „მრეწველური ინჟინერული“ კანონიერად ეკუთვნის სადავო ქონებებზე საკუთრების უფლების აღიარება და მას საამისოდ გააჩნია ერთადერთი, სწორი და მიღწევადი იურიდიული ინტერესი. მხარის კანონიერი ინტერესების აღდგენა შესაძლებელია მოხდეს ერთ სარჩელში. სასამართლო არ უნდა გაცდეს მოსარჩელის ნამდვილ, სწორ და მიღწევად იურიდიულ ინტერესს, რაც გამოიხატება საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნაში, რასაც საფუძვლად უდევს კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება, საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, "სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების არსე-

ბობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადანყვეტილებით მოხდეს".

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა აღიარებითი სარჩელის სამართლებრივ ბუნებაზე მსჯელობისას განმარტავს, რომ იურიდიული ინტერესი არის ის ფაქტობრივი და სამართლებრივი შედეგი, რომლის მიღწევასაც ცდილობს მხარე აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილებით. აღიარებითი სარჩელის მიმართ ნამდვილი იურიდიული ინტერესის არარსებობა არათუ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, არამედ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველსაც კი წარმოადგენს. დავის მიმართ იურიდიული ინტერესის არსებობის შემოწმება განეკუთვნება სამართლის საკითხს, შესაბამისად, ვიდრე საქმის განმხილველი სასამართლო სარჩელის საფუძვლიანობას შეამოწმებს, მნიშვნელოვანია, შეფასდეს, აქვს თუ არა მოსარჩელეს ნამდვილი იურიდიული ინტერესი დავის მიმართ და უზრუნველყოფს თუ არა მოსარჩელის მოთხოვნა ამ ინტერესის დაკმაყოფილებას. აღიარებითი სარჩელის შემთხვევაში, იურიდიული ინტერესის არსებობა განპირობებულია არა ზოგადად მხარის ინტერესით, არამედ მატერიალურ – სამართლებრივი დანაწესით, რომლის შედეგის რეალიზაცია შესაძლებელია აღიარებითი სარჩელის აღძვრით. აღიარებითი სარჩელი უნდა ემსახუროდეს მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით განსაზღვრული უფლების დაცვას (სუსგ დიდი პალატა, საქმე №ას-121-117-2016, 17.03.2016წ.). აღიარებით სარჩელზე მსჯელობისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტებზე, სადაც ერთმნიშვნელოვნად არის განმარტებული, რომ „საერთო სასამართლოებმა ყურადღება უნდა გამახვილონ აღძრული სარჩელისადმი მოსარჩელის იურიდიულ ინტერესზე, ასევე იმ საკითხზე, თუკი აღიარებითი სარჩელის ნაცვლად შესაძლებელია მიკუთვნებითი მოთხოვნის წაყენება მოპასუხისადმი, რაც იმავდროულად გადანყვეტილების აღსრულებაუნარიანობის საკითხსაც უკავშირდება, რადგან გადანყვეტილების აღსრულება მხარისათვის გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს განუყოფელი ნაწილია. (იხ. Apostol Georgia; §37; /Hornsby v. Greece, §40).

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ ვინაიდან ბათილად ცნობილია უფლებადამდგენი დოკუმენტები, ს.ს. "მრენვრკინიგზას" სამართლებრივი შედავება შეეხება: ა) №01.19.26.004.035 საკადასტრო კოდის ქვეშ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ 6448 კვ.მ მიწის ნაკვეთზე უფლების აღიარებას, ბ) №01.19.26.004.032 საკადასტრო კოდის ქვეშ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ 10 705 კვ.მ მიწის ნაკვეთზე უფლების აღიარებას, გ) და №01.19.21.002.006 საკადასტრო

კოდის გამიჯვნის და შედეგად წარმოქმნილ №01.19.21.002.153 საკადასტრო კოდის ქვეშ სახელმწიფოსთან თანასაკუთრებაში არსებულ უძრავ ქონების 34420 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობებზე უფლების აღიარებას, ვინაიდან მხარე აღნიშნავს, რომ სწორედ უძრავი ქონების გამიჯვნამდე და გამიჯვნის შედეგად, მისი არსებული საკუთრების მდგომარეობა, 20/01/2015 წლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თანახმად, ამ უფლებრივი მდგომარეობით გამოიყურება. შესაბამისად, ორგანიზაცია ცალსახად მიუთითებს, რომ მხარეს გააჩნია დასახელებული ქონებების განკარგვის სრული უფლება, ხოლო არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა, სააქციო საზოგადოების კანონიერი ინტერესების პირდაპირი, საზიანო შედეგის მომტანია. კანონიერ ძალაში შესულმა სასამართლოს გადაწყვეტილებამ, იურიდიული საფუძველი გამოაცალა დასახელებული უძრავი კოდის ქვეშ არსებულ ქონებების შემდგომ განკარგვას, ვინაიდან მხარე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 311-312 მუხლების ერთობლიობაში, შეძლო რეესტრის ჩანაწერის უზუსტობის დამტკიცება და დღევანდელი მდგომარეობით, სახელმწიფოს გამოაცალა დასახელებული საკუთრებების ფლობისა და განკარგვის კეთილსინდისიერი, ლეგალური და ობიექტური ყველა საფუძველი, რითაც აღიარებით სარჩელს გააჩნია წარმატების პერსპექტივა და არ არის ხანდაზმულობის ვადებით შემოსაზღვრული.

ორგანიზაცია მსჯელობის დასასრულს წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ ამ პროცესს ვერ მოესწრო ს.ს. „მრეწვერკინიგზას“ პირველი დირექტორი და მამოძრავებელი, ბატონი *ჯუმბერ შენგელია*, რომელმაც საქართველოში ხელისუფლების ცვლილების შემდგომ, პირველმა დაიწყო მოქმედება დათმობილი ქონების დაბრუნებისა და სამართლიანობის აღდგენისთვის. ბატონი ჯუმბერ შენგელია 2014 წელს გარდაიცვალა და დასაფასებელია, რომ სააქციო საზოგადოების მენეჯმენტს და წევრებს, არ შეუწყვეტიათ ბრძოლა დარღვეული უფლებების აღგენისთვის.

7. რეკომენდაციები

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ

სახელმწიფომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახით, კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილების თანახმად, უფლებადამდგენი დოკუმენტების გაუქმების პირობებში, ნებაყოფლობით მოახდინოს ს.ს. „მრეწვერკინიგზას“ მიმართ №01.19.21.002.006 საკადასტრო კოდის გამიჯვნის და შედეგად წარმოქმნილ №01.19.21.002.153 საკადასტრო კოდის ქვეშ სახელმწიფოსთან თანასაკუთრებაში არსებულ უძრავ ქონების 34420 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობებზე, ს.ს. „მრეწვერკინიგზას“ საკუთრების უფლების აღიარება.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილების თანახმად, უფლებადამდგენი დოკუმენტების გაუქმების პირობებში, ნებაყოფლობით მოახდინოს ს.ს. „მრეწვერკინიგზას“ მიმართ ა) №01.19.26.004.035 საკადასტრო კოდის ქვეშ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ 6448 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და ბ) №01.19.26.004.032 საკადასტრო კოდის ქვეშ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ 10 705 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობებზე, ს.ს. „მრეწვერკინიგზას“ საკუთრების უფლების აღიარება.

შპს „საქართველოს რკინიგზას“

სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულმა შპს „საქართველოს რკინიგზამ“, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში განსჯადობით გადაგზავნილი საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების სწორი შეფასების პირობებში, *(ამჟამად შეჩერებულია საქმისწარმოება)* დაიწყოს ს.ს. „მრეწვერკინიგზასთან“ დიალოგი და მოლაპარაკება №01.19.21.002.154 საკადასტრო კოდის ქვეშ სანესდებო ვაპიტალში რიცხულ 1285 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთსა და შენობა-ნაგებობის მომავალ სამართლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით, ს.ს. „მრეწვერკინიგზას“

ზიანის ანაზღაურების მოსალოდნელი სარჩელისა და სახელმწიფოს საწარმოსთვის მოსალოდნელი ფინანსური დანაკისრის თავიდან არიდების მიზნით.

საქართველოს გენერალურ პროკურატურას

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, სამართლიანობის აღდგენის სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში, ს.ს. „მრეწვერკინიგზას“ 2012 წლის 26 ნოემბრის საჩივრის საფუძველზე, საქმეზე მიიღოს შემაჯამებელი გადაწყვეტილება და ს.ს. „მრეწვერკინიგზას“ დაზარალებულად ცნობის დადგენილება.

საქართველოს სახალხო დამცველს

საქართველოს სახალხო დამცველმა, ს.ს. „მრეწვერკინიგზას“ საქმესთან დაკავშირებით, განახორციელოს სახელმწიფო სტრუქტურების გადანყვეტილების კონტროლი, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში წარმოებული ს.ს. „მრეწვერკინიგზას“ საჩივარზე ზედამხედველობა და წინამდებარე საქმეზე შეფასებას ყურადღება დაუთმოს საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის შესახებ ყოველწლიური ანგარიშის მომზადების დროს.

ინფორმაცია ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ

ორგანიზაციის სახელწოდება: ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“ ს/კ
401973094

მისამართი: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ #171

ელ-ფოსტა: pryoungbarristers@yahoo.com;

იურიდიული სტატუსი: არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი

დაარსების თარიღი: 2012 წლის 09 ივლისი

ვებ-გვერდი: www.barristers.ge

FB: www.facebook.com/AkhalgazrdaAdvokatebi

ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“,

ანგარიშის ნომერი: GE31BG0000000161544925GEL

„ახალგაზრდა ადვოკატები“ დაფუძნდა 2012 წლის 9 ივლისს. ორგანიზაციის დევიზია: „ღირსება, თავისუფლება, თანასწორობა“. ორგანიზაცია წარმოადგენს ახალგაზრდა სპეციალისტებით დაკომპლექტებულ ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციას.

2017 წელს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ ორგანიზაცია ადამიანის უფლებების დაცვისა და პროფესიული ერთგულებისთვის, სპეციალური სიგელით დააჭილდოვა.

2016-2014 წლებში, ორგანიზაცია წარმოადგენდა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან არსებულ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრს.

2016 წელს, მიწვეულ იქნა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა უმაღლესი სკოლის შექმნის სამუშაო ჯგუფში.

2015 წლიდან მიწვეულ იქნა ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის მიმართულებით საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწესთან არსებულ სამუშაო ჯგუფში. 2015 წლიდან მიწვეულ იქნა საქართველოს მთავრობის ინიციატივით შექმნილ შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირების საკითხებზე საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შემსწავლელ სამუშაო ჯგუფში. 2015 წლის აპრილში, მიწვეულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრად. 2015-2018 წლებში, წარმოადგენდა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საკონსულტაციო საბჭოს წევრს. 2015 წელს დააფუძნა სამოქალაქო ორგანიზაციათა მუდმივმოქმედი ალიანსი: „ასოციირების ხელშეკრულების ხელმოწერიდან ევროკავშირის წევრობამდე“. 2015 წელს ჩაერთო „Peace Corps“-ის პროგრამაში, რომლის ფარგლებში, 6 თვის მანძილზე, ორგანიზაცია გაძლიერდა სტრატეგიული პროექტების მომზადების, საერთაშორისო პარტნიორებთან კომუნიკაციის, ადამიანური რესურსის მართვისა და ადვოკატირების კამპანიების დაგეგმვის საკითხებზე.

2014 წელს, სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის“ გადანაცვებით, ორგანიზაცია საქართველოში დასახელდა „2014 წლის ყველაზე აქტიურ უფლებადაცვით ორგანიზაციად“. 2014 წელს გახდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა უფლებების დაცვის კომისიის წევრი.

2013 წლიდან წარმოადგენს „სისხლის სამართლის რეფორმის საქართველოს ალიანსის“ წევრს. 2012 წელს წარმოადგენდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იურიდიული დახმარების სამუშაო ჯგუფის წევრს.

2012 წლიდან არის არასამთავრობოთა ალიანსის: „ეკონომიკური სამართლიანობისა და ბიზნესის თავისუფლებისთვის“ თანადამფუძნებელი და წევრი.

ორგანიზაციის სამოქალაქო პოზიციისა და ჩართულობის მაგალითს წარმოადგენს 2017 წელს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარედ დავით ასათიანის წარდგენა და მხარდაჭერა, 2017 წელს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად შოთა ქადაგიძის წარდგენა და მხარდაჭერა, 2017 წელს, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის წევრის შესარჩევ კონკურსში ქეთევან ბექაურის წარდგენა და მხარდაჭერა, 2016 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრად თემო ჭეიშვილის წარდგენა და მხარდაჭერა, 2015 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ნინო გვენეტაძის წარდგენა და მხარდაჭერა, 2012 წელს საქართველოს სახალხო დამცველად ლია მუხაშავერიას კანდიდატურის წარდგენა და მხარდაჭერა.

ორგანიზაცია თანამშრომლობს პროფესიულ ჯგუფებთან, საჯარო დაწესებულებებთან, კერძო სექტორთან, საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ კორპუსთან. 2013 წლიდან ახორციელებს ინიციატივას: „ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებასთან“. განხორციელებული პროექტებიდან გამორჩეულად მნიშვნელოვანია 2017-2015 წლებში, საქართველოს მთავრობის „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამის“ ფარგლებში, გამარჯვებული პროექტი: „სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტთა უფასო იურიდიული დახმარება“. პროექტის მიზანს წარმოადგენდა მიგრანტების წინაშე არსებული იურიდიული პრობლემების იდენტიფიცირება, შეფასება, რეაგირება და გადაჭრა. მიგრანტების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და ინფორმირება სამართლებრივი პრობლემის გადაჭრის გზებზე. 2016 წელს, ორგანიზაციას პროექტის მაღალი პასუხისმგებლობით და წარმატებით განხორციელებისთვის, გადაეცა სახელმწიფოს მაღლობის სიგელი.

ორგანიზაციის პოზიცია არაერთხელ გამხდარა დისკუსიის საფუძველი მას შემდეგ, რაც „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ პრინციპული პოზიცია დაასაბუთეს 2003-2012 წლებში, ქვეყანაში ადამიანის უფლებების დარღვევის, სისტემური დანაშაულებისა და მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების კანონმდებლობით მოქმედების თაობაზე. ორგანიზაციის მკვეთრი პოზიცია დასახელებულ პერიოდში სისტემური დანაშაულის საქმეებზე, ცალკეული ჯგუფების მხრიდან აღქმულია, როგორც მიკერძოებული

დამოკიდებულება. შესაბამისად, ორგანიზაციის ბიოგრაფიის ნაწილია ცალკეული სასამართლო დავებიც, რომელიც მიზნად „ახალგაზრდა ადვოკატების“ საქმიანი რეპუტაციის დაცვას და ცილისწამებით მიყენებული ზიანის აღდგენას გულისხმობს.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მოქმედებს წესდების, შინაგანაწესისა და შიდა ნორმატიული აქტების საფუძველზე. გააჩნია საქმიანობის სტრატეგიული ხედვის დოკუმენტი, რომელიც ამჟამად განახლებულია 2018-2020 წლების საქმიანობისთვის. ამასთან, 2015 წლის იანვრიდან, „ახალგაზრდა ადვოკატები“ გადავიდა კაბინეტურ მმართველობაზე. ახალი წესდებით, შეიცვალა მმართველობითი რგოლი. ორგანიზაციას, სადამფუძნებლო საბჭოს ერთპიროვნული მმართველობის ნაცვლად, ხელმძღვანელობს არჩეული ხელმძღვანელი, რომელიც აკომპლექტებს კაბინეტს (გუნდს), რომელიც ანგარიშვალდებულია სადამფუძნებლო საბჭოს და ყველა სხვა მესამე პირთან მიმართებით.

ორგანიზაცია ახორციელებს უფასო იურიდიული კონსულტაციის პროგრამას. საერთო სასამართლოებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ახორციელებს იურიდიული კომპანია „კაიკაციშვილი და ადვოკატებთან“ პარტნიორობით და მეშვეობით. გამოსცემს პერიოდულ სამეცნიერო ჟურნალს და ამზადებს ყოველთვიური საქმიანობის მედია-დაიჯესტს.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შემოსავლის წყაროა: საგრანტო პროექტები, შემოწირულობები და კანონით ნებადართული სხვა შემოსავლები. ასევე, იურიდიული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი.